

## ბრონისლავ მალინოვსკი

1884-1942



ბრონისლავ კასპერ მალინოვსკი დაიბადა პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში. მან კრაკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა და მათემატიკა შეისწავლა და 1908 წ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა. შემდგომი ორი წლის განმავლობაში ლაიფციგის უნივერსიტეტში ფიზიკურ ქიმიას ეუფლებოდა, მოგვიანებით კი ზუსტ მეცნიერებათა შესწავლას თავი დაანება და 1910-1914 წწ. ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიას ეუფლებოდა. აქვე დაამთავრა ასპირანტურა. ამ წლებში მას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ანთროპოლოგებთან ჯ. ფრეზერთან, ჩ. ზელიგმანთან, ე. ვესტერმარკთან და ხევებთან. ცნობილ ანთროპოლოგებთან. ფრეზერის შრომამ – „ოქროს რტო“ მალინოვსკის, როგორც ანთროპოლოგისა და ეთნოგრაფის ფორმირებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა.

1914-1918 წწ. მალინოვსკი ახალი გვინეის კუნძულ ტრობრიანდის, კანარის კუნძულების და ავსტრალიის აბორიგენების ყოფას იკვლევდა. ევროპაში დაბრუნების შემდეგ, 1927 მალინოვსკიმ ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა მიიღო. 1938 წელს იგი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იელის უნივერსიტეტში ასწავლიდა და იმავდროულად მექსიკაში სავსე კვლევას ატარებდა.

მალინოვსკიმ პირველმა გამოიყენა ჩართული დაკვირვების მეთოდი. მისი აზრით, ეთნოგრაფი და სოციალური ანთროპოლოგიის მკვლევარი, გარკვეული დროის განმავლობაში იმ საზოგადოებაში უნდა ცხოვრობდეს, რომელსაც სწავლობს. მალინოვსკი ცდილობდა კონკრეტული საზოგადოების კულტურის პრობლემები ადამიანის ფუნდამენტური ბიოლოგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შეესწავლა და მოითხოვდა თითოეული კულტურის მთლიანობაში, მისი ელემენტების ფუნქციურ ურთიერთკავშირში განხილვას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, მან ჩამოაყალიბა კულტურის შესწავლის ფუნქციური მიდგომა,

რომლის თანახმადაც, ნებისმიერ ცივილიზაციაში ნებისმიერი ჩვეულება, მატერიალური ობიექტი, იდეა და რწმენა ასრულებს სასიცოცხლო ფუნქციას, წყვეტს გარკვეულ ამოცანას და არის კულტურის, როგორც მთელის, აუცილებელი ნაწილი. კულტურის ფუნქცია მალინოვსკის შეხედულებით ისაა, რომ პირდაპირ ან ირიბად დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებები. კულტურაში არაფერია ზედმეტი, შემთხვევითი. თუ რომელიმე ჩვეულება მყარად სრულდება – ის საჭიროა. ამა თუ იმ კულტურაში ესა თუ ის ჩვეულება მაგნედ ან უაზროდ გვეჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ საკმარისად არ ვიცით მისი კავშირი ადამიანის ბაზისურ მოთხოვნილებებთან ან სხვა კულტურულ მოვლენებთან კავშირის გარეშე ვაფასებთ.

მალინოვსკის პირველი წიგნი „წყნარი ოკეანის არგონავტები“ (1922), რომელიც ახალი გვინების უცნობი კულტურის შესწავლას ეძღვნება. ამ ნაშრომით დასრულდა სოციალურ ანთროპოლოგიაში გაბატონებული ტრადიცია კულტურის სპეკულანტური შესწავლისა და დაიწყო ახალი, ემპირიული სოციალური ანთროპოლოგიის ეტაპი. მალინოვსკიმ ჩამოაყალიბა „ჩართული დაკვირვების“ მეთოდი, რაც გულისხმობს მკვლევარის სრულყოფილ ინტეგრაციას საკვლევ კულტურაში. სწორედ ამ მეთოდით „შიგნიდან“ შეისწავლა ტრობრიანდიის კუნძულის მკვიდრთა ცხოვრება: აიშენა ქოხი, ისწავლა მათი ენა, აბორიგენებთან ერთად თევზაობდა, ნადირობდა, მონაწილეობდა რიტუალებსა და დღესასწაულებში. მის მიერ მოპოვებული მრავალი ემპირიული მასალა და რიტუალების დაწვრილებით აღწერა მკითხველს აბორიგენების კულტურაში ცხოვრებაში თანამონაწილეობის სრულ განცდას ანიჭებს. ამ შრომაში განსაკუთრებით საინტერესოაა გაანალიზებული საჩუქრების გაცვლის სისტემა და მისი სოციალური ფუნქცია. მალინოვსკიმ „წყნარი ოკეანის არგონავტებში“ პირველად გამოთქვა მოსაზრება კულტურის ფუნქციონალისტური შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

1929 წელს გამოქვეყნებულმა მეორე მნიშვნელოვანმა ეთნოგრაფულმა შრომამ – „ველურების სქესობრივი ცხოვრება ჩრდილო-აღმოსავლეთ მელანეზიაში. სიყვარული, ქორწინება და ოჯახური ცხოვრება ბრიტანული ახალი გვინების ტრობრიანდიის კუნძულის აბორიგენებში“ – დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა და მეცნიერთა შორის. სქესობრივი ცხოვრება მალინოვსკის აინტერესებდა ბუნებისა და კულტურის, სპონტანურობისა და წესის დუალობის თვალსაზრისით. ოჯახი, როგორც სქესების ურთიერთობის სოციალური შედეგი, აბორიგენების კულტურაში ემყარება ორმხრივი ურთიერთობის წესს. ოჯახის სოციალური საზრისი მდგომარეობს ორმხრივობის და, შესაბამისად, თემის (თემური ურთიერთობების) ფორმირებაში. ტრობრიანდიელები ერთმანეთისაგან მკაფიოდ განასხვავებენ სასიყვარულო ურთიერთობასა და ქორწინებას. სასიყვარულო ურთიერთობა დამყარებულია დროის თავისუფლად გატარებასა და სპონტანურ ორმხრივ ურთიერთობაზე, ხოლო

ქორწინება – იძულებასა და მავალდებულებელ ორმხრივ ურთიერთ-კავშირზე. ქორწინება (ინსტიტუციონალიზებული სქესობრივი კავშირი), მოზარდების მოწიფულობაში გადასვლისა და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალებაა და განსაკუთრებული როლი აკისრია მატერიალურ და სიმბოლურ „ქონებათა“ გაცვლაში. სასიყვარულო ურთიერთობა ასრულებს სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების ფუნქციას, ხოლო ქორწინება უზრუნველყოფს წყვილების სოციალურ აღიარებას, საზოგადოებაში მათ რანგსა და პრესტიჟს.

მალინოვსკის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოხდინა სოციოლოგიის განვითარებაზეც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნქციონალისტური მიდგომის ზეგავლენა სოციოლოგიაში სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური პარადიგმის ფორმირებაზე, რისი მკაფიო დადასტურებაც ამერიკელი სოციოლოგის ტალკოტ პარსონსის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური თეორიაა.

მალინოვსკი ამერიკაში, ნიუ ჰეივენში გარდაიცვალა.

## მაგია, მეცნიერება და რელიგია

### პრიმიტიული ადამიანი და მისი რელიგია

არ არსებობენ ხალხები რელიგიისა და მაგიის გარეშე, რაც არ უნდა პრიმიტიულნი იყვნენ ისინი. ასევე არ არსებობენ ველური რასები, რომელთაც არ აქვთ ან მეცნიერული მიდგომები, ან მეცნიერება ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ამას ხშირად აღნიშნავენ ხოლმე. კომპეტენტურ და სანდო მკვლევართა მიერ შესწავლილ ყოველ პრიმიტიულ თემში მოიძებნა ორი მკაფიოდ გარჩევადი სფერო – საკრალური და პროფანული; სხვა სიტყვებით, ერთი მხრივ – მაგია და რელიგია, მეორე მხრივ – მეცნიერება.

ერთი მხრივ, არის ტრადიციული აქტები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც საკრალურია მკვიდრთათვის. ეს აქტები სრულდება მოწიწებით და ძრწოლით, ასევე, გარკვეული აკრძალვების გათვალისწინებით და ქცევის განსაკუთრებული წესების დაცვით. ასეთი აქტები და წეს-ჩვეულებები ყოველთვის ასოცირებულია ზებუნებრივი ძალების, განსაკუთრებით, მაგიის რწმენასთან, ან იდეებთან არსებების, სულების, მოჩვენებების, მკვდარი წინაპრების ან ღმერთების შესახებ. მეორე მხრივ, წამიერი რეფლექსიაც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ვერავითარი უნარი ან ხელობა – ნადირობის, თევზაობის, მიწის დამუშავების ან საჭმლის ძებნის ორგანიზებული ფორმა – რამდენადაც პრიმიტიული არ უნდა იყოს ის, ვერ იქნებოდა აღმოჩენილი ან განხორციელებული ბუნებრივ პროცესზე გულმოდგინე დაკვირვების და ამ პროცესის რეგულარულობის მტკიცე რწმენის გარეშე; გონების ძალის და ამ ძალაში დარწმუნებულობის გარეშე – სხვაგვარად, მეცნიერების რუდიმენტების გარეშე.

რელიგიის ანთროპოლოგიურ სწავლას საფუძველი დაუდო ედუარდ ბ. ტაილორმა. თავის ცნობილ თეორიაში ის ამტკიცებს, რომ პრიმიტიული რელიგიის არსი ანიმიზმი, ანუ სულების არსებობის რწმენაა. ის აჩვენებს, რომ ამ რწმენის სათავე არის სიზმრების, ჩვენებების, ჰალუცინაციების, კატალექსიური მდგომარეობების და მსგავსი ფენომენების მცდარი, მაგრამ თანამიმდევრული ინტერპრეტაცია. მათზე რეფლექსიისას, ველური ფილოსოფოსი ან თეოლოგი მივიდა ადამიანის სულისა და სხეულის ერთმანეთისგან გარჩევის

იდემდე. სული, ცხადია, აგრძელებს არსებობას სიკვდილის შემდეგ, ჩნდება რა სიზმრებში, მოსვენებას არ აძლევს გადარჩენილებს მოგონებებში და ჩვენებებში და აშკარა გავლენა აქვს ადამიანთა ბედზე. ამგვარად წარმოიშვა მოჩვენებების, მკვდარი სულების, უკვდავების და იმქვეყნიური სამყაროს რწმენა. მაგრამ ადამიანს (განსაკუთრებით პრიმიტიულს) აქვს ტენდენცია, წარმოიდგინოს გარე სამყარო საკუთარი ხატიით. ვინაიდან ცხოველები, მცენარეები და ობიექტები მოძრაობენ, მოქმედებენ, იქცევიან, ეხმარებიან ან ხელს უშლიან ადამიანს, მათ ასევე უნდა გააჩნდეთ სული. ამგვარად, ანიმიზმი, პრიმიტიული ადამიანის ფილოსოფია და რელიგია, დაფუძნდა ასეთ მცდარ დაკვირვებებზე და დასკვნებზე, რომლებიც უმწიფარი და უსწავლელი გონებისთვის ადვილად აღქმადი იყო.

პრიმიტიული რელიგიის ტაილორისეული ხედვა მწირ მასალაზე დაფუძნებული, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, მან დაახასიათა ადრეული ადამიანი, როგორც ზედმეტად მოაზროვნე და რაციონალური. თანამედროვე სპეციალისტების მიერ გაწეული სავსე სამუშაოები გვიჩვენებს, რომ ველური უფრო დაინტერესებულია თევზაობით და ბაღებით, თემური დღესასწაულებით თუ ღირსშესანიშნავი დღეებით, ვიდრე სიზმრებით თუ ოცნებებით, ან ატიპური მოვლენების და კატალეფსიური შეტევების ახსნით. თანამედროვე კვლევები ასევე ააშკარავებს ადრეული რელიგიის ბევრ ისეთ ასპექტს, რომლებიც ტაილორის ანიმიზმის სქემაში ვერ ჩდება.

თანამედროვე ანთროპოლოგიის ჩაღრმავებული და გაფართოებული თვალსაწიერის ყველაზე ადეკვატური განსახიერებაა სერჯეიმს ფრეიზერის სამეცნიერო ნაშრომები. დღევანდელი ანთროპოლოგიისთვის აქტუალურია პრიმიტიული რელიგიის სამი მთავარი პრობლემა, რომლებიც სერჯეიმს ფრეიზერმა წამოჭრა. ესენია: მაგია და მისი მიმართება რელიგიასა და მეცნიერებასთან; ტოტემიზმი და ადრეული რწმენის სოციოლოგიური ასპექტი და ნაყოფიერების და ვეგეტაციის კულტები. უკეთესი იქნება, თუ ამ სამ საგანზე რიგრიგობით ვიმსჯელებთ.

ფრეიზერის „ოქროს ტოტი“, პრიმიტიული მაგიის დიდი კოდექსი, ცხადად აჩვენებს, რომ ანიმიზმი არ არის პრიმიტიული კულტურის არც ერთადერთი, არც გაბატონებული რწმენა. ადრეული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მიზნებით ცდილობს ბუნებრივი მოვლენების გაკონტროლებას, და ის ამას აკეთებს პირდაპირ, რიტუ-

აღით ან შელოცვით, რათა დაიმორჩილოს ქარი თუ ამინდი, ცხოველები თუ მოსავალი. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ის აღიქვამს საკუთარი მაგიური ძალის შეზღუდულობას, ის მიმართავს (შიშით თუ იმედით, თხოვნით თუ გამოწვევით) აღმატებულ არსებებს, ანუ დემონებს, წინაპრების სულებს ან ღმერთებს. პირდაპირ კონტროლსა და აღმატებული ძალების გულის მოღობას შორის განსხვავებაში ფრეიზერი ხედავს სხვაობას მაგიას და რელიგიას შორის. მაგია დაფუძნებულია ადამიანის რწმენაზე, რომ მას შეუძლია პირდაპირ დაიმორჩილოს ბუნება, რომ მხოლოდ მან იცის ბუნების მაგიური კანონები. ასეთი სახით მაგია მეცნიერებას ენათესავება. რელიგიას, ზოგიერთ საკითხში ადამიანის უძლურების აღიარებას, ადამიანი მაგიაზე მაღლა აჭყავს და, მოგვიანებით, ის ინარჩუნებს დამოუკიდებლობას მეცნიერების გვერდით. მაგიამ კი ამ სქემაში მეცნიერებას უნდა დაუთმოს ადგილი.

მაგიისა და რელიგიის თანამედროვე კვლევებში ეს თეორია საწყის წერტილად მიიჩნევა. პროფესორმა პროისმა გერმანიაში, დოქტორ მარეტმა ინგლისში და ბატონებმა იუბერმა და მოსმა საფრანგეთში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოთქვეს თვალსაზრისი, რომელიც ნაწილობრივ აკრიტიკებდა ფრეიზერს, ნაწილობრივ კი იზიარებდა მის იდეებს. ეს მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მეცნიერება და მაგია, რამდენად მსგავსიც არ უნდა ჩანდნენ, რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მეცნიერება გამოცდილების ნაყოფია, მაგია – ტრადიციის. მეცნიერებას წარმართავს გონება და დაკვირვება, ხოლო მაგია გულგრილია ორივეს მიმართ და მისტიკურ გარემოში ცხოვრობს. მეცნიერება ღიაა ყველასთვის, ის საჯარო სიკეთეა მთელი საზოგადოებისთვის (თემისთვის), მაგია კი ოკულტურია, დაისწავლება მისტიკური ინიციაციებით, გადადის შთამომავლობით, ან, მინიმუმ, ექსკლუზიური ფილიაციით. მეცნიერება დაფუძნებულია ბუნებრივი ძალების გაგებაზე, მაშინ როდესაც მაგია დგას გარკვეულ მისტიკურ, უპიროვნო ძალაზე, რომლისაც პრიმიტიული ხალხების უმრავლესობას სჯერა. ამ ძალას ზოგი მელანეზიელი მანას, ზოგი ავსტრალიური ტომი არატკვილტხას, სხვადასხვა ამერიკული ინდიელები ვაკანს, ორენდას და მანიტუს უწოდებენ; სხვაგან მას სახელი არ აქვს. ამ ძალის იდეა უნივერსალურია ყველგან, სადაც არსებობს მაგია. აღნიშნული მკვლევარების მიხედვით, ზებუნებრივი, უპიროვნო ძალის რწმენას შეიძლება დავაკვირდეთ პრიმიტიული ხალხების უმ-

რავლესობაში და დაბალი განვითარების ველურებში. ეს ძალა ამოძრავებს ველურისთვის რელევანტურ ყველა აგენტს და ყველა მნიშვნელოვანი საკრალური მოვლენის მიზეზია. მაშასადამე, მანა, და არა ანიმიზმი არის „პრე-ანიმიზტური რელიგიის“ და, ასევე, მაგიის არსი. შესაბამისად, მაგია რადიკალურად განსხვავდება მეცნიერებისგან.

მაგრამ რჩება კითხვა – რა არის მანა, ეს უპიროვნო, ჯადოსნური ძალა, რომელიც თითქოს ადრეული რწმენის ყველა ფორმაზე დომინირებს? არის კი ის ფუნდამენტური იდეა, პრიმიტიული გონების თანდაყოლილი კატეგორია, თუ ის შეიძლება ავსხნათ ადამიანის ფსიქოლოგიის უფრო ფუნდამენტური ელემენტებით ან პრიმიტიული ადამიანის ცხოვრებისეული რეალობით?

ამ პრობლემებზე პასუხის გაცემაში ყველაზე ორიგინალური და მნიშვნელოვანი წვლილი განსვენებულმა პროფესორმა დიურკემმა შეიტანა. მისი ახსნა სხვა თემას, ტოტემიზმს და რელიგიის სოციოლოგიურ ასპექტს ეხება, რომელიც სერ ჯეიმს ფრეიზერის აღმოჩენაა. ფრეიზერის კლასიკური განსაზღვრების მიხედვით, ტოტემიზმი „არის ადამიანთა სისხლით სანათესაო ჯგუფსა და ბუნებრივი და ხელოვნური ობიექტების გარკვეულ ნაირსახეობებს (რომელთაც ამ ჯგუფის ტოტემებს ვუწოდებთ) შორის არსებული ახლო კავშირი“. შესაბამისად, ტოტემიზმს ორი მხარე აქვს: ის სოციალური დაჯგუფების სახეობა და რწმენისა და პრაქტიკების რელიგიური სისტემაა. როგორც რელიგია, ის გამოხატავს პრიმიტიული ადამიანის ინტერესს მის გარემომცველ სამყაროში, ასევე სურვილს, დაუახლოვდეს და გააკონტროლოს ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტები: უმეტესად, ცხოველები და მცენარეები, უფრო იშვიათად, სასარგებლო უსულო საგნები, ძალიან იშვიათად კი ადამიანის ხელით შექმნილი ნივთები. როგორც წესი, ცხოველთა და მცენარეთა იმ ტიპებს, რომლებიც ძირითად საკვებად გამოიყენება, ან, ყოველ შემთხვევაში, საჭმელად ან საორნამენტოდ გამოსადეგ ცხოველებს „ტოტემური რიდით“ უყურებენ. ისინი ტაბუდადებულია მასთან ასოცირებული კლანის წევრებისთვის, და ზოგჯერ მათი გამრავლებისას გარკვეული რიტუალებიც ტარდება. ტოტემიზმის სოციალურ ასპექტს ეხება თემის დაყოფა უფრო მცირე ზომის ერთეულებად, რომელთაც ანთროპოლოგიაში *კლანს*, *გენს*, *სიბს* ან *ფრატრიას* უწოდებენ.

მაშასადამე, ტოტემიზმში ჩვენ ვხედავთ არა ადრეული ადამიანის საეკულაციას მისტიკურ ფენომენებზე, არამედ ნაზავს მის გარემომ-

ცველ სამყაროში მყოფ ყველაზე აუცილებელ ობიექტებზე უტილიტარულ შეფოთვასა და გარკვეულ დაინტერესებულობას მისი წარმოსახვისთვის უჩვეულო თუ ყურადღების მიმქცევი ობიექტების – ლამაზი ფრინველების, რეპტილიების თუ სახიფათო ცხოველების მიმართ. ჩვენი ცოდნით გონების ტოტემური მდგომარეობის შესახებ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრიმიტიული რელიგია უფრო ახლოა რეალობასთან და ველურის უშუალო პრაქტიკულ ინტერესებთან, ვიდრე ეს გადმოცემული იყო ტაილორისა და უფრო ადრეული პერიოდის ანთროპოლოგების მიერ რელიგიის „ანიმიზტური“ ასპექტის კვლევისას.

ტოტემიზმის ერთი შეხედვით უცნაურმა კავშირმა სოციალური დაყოფის პრობლემატურ ფორმასთან – ვგულისხმობ კლანების სისტემას – ანთროპოლოგიას მორიგი გაკვეთილი ასწავლა: მან კულტის ყველა ადრეული ფორმის სოციოლოგიური ასპექტის მნიშვნელობა გამოააშკარავა.

ველური დამოკიდებულია იმ ჯგუფზე, რომელთანაც პირდაპირი კონტაქტი აქვს პრაქტიკული თანამშრომლობისა და სულიერი სიახლოვის/სოლიდარობის საფუძველზე. დამოკიდებულია ბევრად უფრო, ვიდრე ცივილიზებული ადამიანი. როგორც ტოტემიზმში, მაგიაში და ბევრ სხვა პრაქტიკაში შეგვიძლია დავაკვირდეთ, ადრეული კულტი და რიტუალი მჭიდროდ არის ასოცირებული როგორც პრაქტიკულ ამოცანებთან, ისე მენტალურ საჭიროებებთან – შესაბამისად, უნდა არსებობდეს ასეთივე ახლო კავშირი სოციალურ ორგანიზაციასა და რელიგიურ რწმენას შორის. ეს უკვე ესმოდა რელიგიის ანთროპოლოგიის პიონერს, რობერტსონ სმითს. მისი პრინციპი, რომლის მიხედვით, პრიმიტიული რელიგია „არსებითად, თემის საქმე იყო, ვიდრე ცალკეული ინდივიდებისა“, თანამედროვე კვლევის ლაიტმოტივად იქცა. პროფესორი დიურკემი უფრო შორს წავიდა და წამოაყენა თვალსაზრისი, რომ „რელიგიური“ და „სიციალური“ იდენტური ცნებებია. რადგან „ზოგადად, [...] საზოგადოებას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა გონებაში „ღვთაებრივის“ აღსაძრავად, მართო იმ ძალაუფლებით, რომელიც საზოგადოებას მის წევრებზე აქვს; რადგანაც ის მისი წევრებისთვის იგივეა, რაც ღმერთი – თაყვანისმცემლებისთვის“.<sup>1</sup> დიურკემი ამ დასკვნამდე ტოტემიზმის შესწავლის შემდეგ მიდის, რომელსაც ის რელიგიის ყველაზე პრიმიტიულ ფორმად მიიჩნევს. აქ „ტოტემურის პრინციპი“ მანას იდენტურია. იდენ-

ტურია პრინციპისა: „კლანის ღმერთი [...] შეუძლებელია იყოს რაიმე სხვა გარდა საკუთრივ კლანისა“.<sup>2</sup> ამ უცნაურ და საკმაოდ ბუნდოვან დასკვნებს მოგვიანებით გავაკრიტიკებთ. ასევე ვაჩვენებთ, რომ ისინი ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავენ და რომ ეს მარცვალი ძალზედ ნაყოფიერია. მან, სინამდვილეში, უკვე იქონია გავლენა როგორც კლასიკოსებზე, ასევე ანთროპოლოგებზე – საკმარისია მის ჯეინ ჰარისონის და მისტერ კორნფორდის კვლევების სხენება.

მესამე დიდი თემა, რომელიც სერ ჯეიმს ფრეიზერმა რელიგიის მეცნიერებაში განხილვის საგნად აქცია გამრავლების და ნაყოფიერების კულტია. „ოქროს ტოტში“, ნემის ტომის ხის ღვთაებების შიშისმომგვრელი და მისტიკური რიტუალის აღწერიდან დაწყებული, ავტორი გასაოცარი მრავალფეროვნების ჯადოსნურ და რელიგიურ კულტების გვაცნობს. ისინი ცის, მიწის, მზისა და წვიმის გამანაყოფიერებელი ზემოქმედების მასტიმულირებლად და გასაკონტროლებლად ადამიანის მიერ გამოგონილი. რჩება შთაბეჭდილება, რომ ადრეული რელიგიიდან ველური ცხოვრების მამოძრავებელი ძალები ჩქეფს, მისი ახალგაზრდობით და მოუმწიფებლობით, უხვად და იმდენად გააფთრებულად, რომ დროდადრო ადამიანი თვითმკვლელობითი მსხვერპლმეწირვის აქტებამდე მიყავს. „ოქროს ტოტის“ შესწავლა გვიჩვენებს, რომ სიკვდილი პრიმიტიული ადამიანისთვის უმთავრესად მკვდრეთით აღდგომისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. გახრწნა ხელახალი დაბადების ეტაპია, შემოდგომის სიმრავლე და ზამთრის დაცემა – საგაზაფხულო გამოცოცხლების პრელუდია. „ოქროს ტოტის“ ამ ნაწილებზე დაყრდნობით, მრავალმა მეცნიერმა (ხშირად უფრო ზუსტი და სრული ანალიზით, ვიდრე თავად ფრეიზერმა) განავითარა თეორია, რომელსაც შეგვიძლია რელიგიაზე ვიტალისტური შეხედულება ვუწოდოთ. მამასადამე, მისტერ კროლს თავის „სიცოცხლის ხეში“, ვან გენებს „გარდასვლის რიტუალებში“ და მის ჯეინ ჰარისონს რამდენიმე ნაშრომში მოყავთ არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ რწმენა და კულტი ადამიანური ყოფის კრიზისის დროს აღმოცენდება, რომ „სიცოცხლის, დაბადების, მომწიფების, ქორწინების, სიკვდილის დიდი მოვლენებისას [...] რელიგია უმეტესწილად სწორედ ასეთი მოვლენებისას იჩენს თავს“.<sup>3</sup> ინსტინქტურ მისწრაფებებს, ძლიერ ემოციურ გამოცდილებებს ამა თუ იმ გზით კულტამდე და რწმენამდე მიყავართ. „როგორც ხელოვნება, ისე რელიგია დაუქმყოფილებელი ვნებიდან აღმოცენდება“.<sup>4</sup> ჩვენ მოგვი-

ანებით გვექნება საშუალება, შევაფასოთ, თუ რამდენი სიმართლე და რამდენი გაზვიადებაა ამ საკმაოდ ბუნდოვან მტკიცებაში.

არსებობს კიდევ ორი ნაშრომი, რომლებმაც პრიმიტიული რელიგიის თეორიაში მნიშვნელოვანი წვილილი შეიტანა, და რომელთაც მხოლოდ აქ ვახსენებ, რადგანაც ისინი რაღაცნაირად ანთროპოლოგიური ინტერესის მთავარი კალაპოტის მიღმა დარჩა. ეს ნაშრომები, შესაბამისად, ერთდმერთიანობის პრიმიტიული იდეას და პრიმიტიულ რელიგიაში მორალის ადგილს ეხება. გასაოცარია, რომ ეს კვლევები დღემდე უგულებელყოფილია, რადგანაც ორივე დაყენებული შეკითხვა უწინარეს ყოვლისა მოსდის თავში ნებისმიერ, თუნდაც, უმწიფარი და რუდიმენტარული დონის რელიგიის მკვლევარს. ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება ის არის, რომ არსებობს წინასწარი განწყობა, თითქმის „საწყისი“ ფორმები მართლაც ძალიან უმწიფარი, მარტივი და განსხავებული უნდა იყოს „განვითარებული ფორმებისგან“. ან ახსნა შეიძლება ვეძებოთ იმ შეხედულებაში, რომ „ველური“ და „პრიმიტიული“ ადამიანი პირდაპირი მნიშვნელობით არის ველური და პრიმიტიული!

განსვენებულმა ენდრიუ ლანგმა ზოგიერთ მკვიდრ ავსტრალიურ თემში „ყოველთა-მამის“ რწმენა შენიშნა, ხოლო ლირსმა მამა ვილჰელმ შმიდტმა მოიყვანა ძალიან ბევრი მტკიცება იმისა, რომ ეს რწმენა უნივერსალურია უმარტივეს კულტურებში და შეუძლებელია, იყოს უგულებელყოფილი, როგორც მითოლოგიის უმნიშვნელო ფრაგმენტი, ან – კიდევ უფრო ნაკლებად – როგორც მისიონერთა ქადაგებების ექვ. ეს იდეა, მამა შმიდტის მიხედვით, ძალიან ჰგავს ადრეული მონოთეიზმის მარტივი და წმინდა ფორმის ინდიკაციას.

მორალი, როგორც ადრეული რელიგიის ფუნქციის პრობლემა ასევე გვერდით იყო დარჩენილი მანამ, სანამ ის ამომწურავად არ განიხილეს არა მარტო მამა შმიდტმა თავის ნამუშევრებში, არამედ პროფესორმა ე. უესტერმარკმა ტექსტში „მორალური იდეების და-საწყისი და განვითარება“ და პროფესორმა ლ. ტ. ჰობზაუსმა წიგნში „მორალი ევოლუციაში“.

ჩვენს სფეროში ანთროპოლოგიური კვლევებში განვითარებული ტენდენციის მოკლედ შეჯამება არ არის ადვილი. ზოგადად, რელიგიის უფრო ელასტიური და ყოვლისმომცველი გაგებისკენ მივდივართ. ტაილორის წინაშე ჯერ კიდევ იდგა ამოცანა, უარეყო მცდარი დასკვნა, თითქმის არსებობენ პრიმიტიული ხალხები რელიგიის გა-

რეშე. დღეს კი ჩვენ გაკვირვებულებიც კი ვართ იმ აღმოჩენით, რომ ველურისთვის ყველაფერი რელიგიაა, რომ ის მუდმივად მისტიციზმით და რიტუალიზმით გაჯერებულ სამყაროში ცხოვრობს. თუ რელიგია მოიცავს „სიცოცხლის“ და „სიკვდილის“ საკითხებს, თუ ის აღმოცენდება ყველა „კოლექტიური“ აქტისა და „ინდივიდუალური არსებობის კრიზისებიდან“, თუ ის შეიცავს ველურთა ყველა „თეორიას“ და მოიცავს მის ყველა „პრაქტიკულ საკითხს“, მაშინ ჩვენ შეგვიძლია შეშფოთებულებმა დავსვათ კითხვა: მაშ რა არის მის გარეთ, რა არის „პროფანულის“ სამყარო პრიმიტიულ ცხოვრებაში? ეს არის ის პრობლემა, რომელშიც თანამედროვე ანთროპოლოგიამ, წინააღმდეგობრივი შეხედულებების მთელი წყებით, გარკვეული არეულობა შემოიტანა – ეს ზემოთ გადმოცემული მოკლე შეჯამებიდანაც ჩანს.

შემდეგ თავში ჩვენ საშუალება გვქნება, გარკვეული წვლილი შევიტანოთ ამ პრობლემის გადაწყვეტაში. პრიმიტიული რელიგია, მისი თანამედროვე ანთროპოლოგიური გაგებით, მრავალ პეტეროგენულ ცნებას მოიცავს. პირველად ის შემოსაზღვრული იყო ანიმიზმით – მკვდარი წინაპრებით, მოჩვენებებით, სულებით, (გარკვეული მცირერიცხოვანი ფეტიშების გამოკლებით). შემდეგ მან თანდათანობით შეიფარა თხელი, ბლანტი და ყოვლისმომცველი მანა; შემდეგ, ტოტემიზმის შემოსვლით ის, როგორც ნოეს კიდობანი, სხვადასხვა ცხოველებით დაიტვირთა, თუმცა არა წყვილ-წყვილად, არამედ გუნდებით და სახეობებით, რომელთაც შემდეგ მცენარეები, ობიექტები და ხელთქმნილი ნივთებიც კი შეუერთდა; შემდეგ მოვიდა ადამიანური ქმედებები და ფიქრები კოლექტიური სულის, და გაღმერთებული საზოგადოების გიგანტური მოჩვენებაზე. შეიძლება თუ არა, მივაკვლიოთ რაიმე წესრიგს ან სისტემას ამ ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელი ობიექტების და პრინციპების ნარევში? ამ კითხვას ჩვენ მესამე თავში განვიხილავთ.

ჩვენ ეჭვქვეშ არ დავაყენებთ თანამედროვე ანთროპოლოგიის ერთ მიღწევას: ეს არის აღიარება, რომ მაგია და რელიგია არ არის უბრალოდ დოქტრინა ან ფილოსოფია. ის არა უბრალოდ ინტელექტუალური თვალსაწიერი, არამედ ქცევის გარკვეული ტიპი, გონების, გრძნობის და ნებისყოფის მიერ შექმნილი პრაგმატული დამოკიდებულებაა. ის არის ქცევის ტიპი, ისევე, როგორც რწმენის სისტემა, სოციოლოგიური ფენომენი, ისევე, როგორც პირადი გამოცდილება. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, სოციალურსა და ინდივიდუალურს

შორის ზუსტი დამოკიდებულება ცნობილი არ არის, რაშიც ორივე მხრიდან გაზვიადებული გადახრების განხილვისას დავრწმუნდით. არც ის არის ნათელი, თუ რა არის ემოციის და გონების შესაბამისი წილი. მომავალი ანთროპოლოგია ყველა ამ კითხვას უნდა შეეჭიდოს. ამ მოკლე ესეში კი ჩვენ მხოლოდ გარკვეული გადაწყვეტების შეთავაზება და საარგუმენტაციო ხაზების ჩვენება შეგვიძლია.

### ადამიანის მიერ გარემომცველი სამყაროს რაციონალური დაუფლება

ბოლო დრომდე, პრიმიტიული ცოდნის პრობლემა ანთროპოლოგიის განხილვის საგნად არ ქცეულა. ველურების ფსიქოლოგიის კვლევა ექსკლუზიურად შემოსაზღვრული იყო ადრეული რელიგიით, მაგიით და მითოლოგიით. მხოლოდ ახლახან, რამდენიმე ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი მეცნიერის ნაშრომებმა ბიძგი მისცა ველურის ქცევის შესწავლას გონების საღ მდგომარეობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორი ლევი-ბრიულის ბრწყინვალე და გაბედული ნაწერები. მისი დასკვნები მართლაც საოცარი იყო. მოკლედ რომ გადმოვცეთ, ის გვეუბნება, რომ პრიმიტიულ ადამიანს საერთოდ არ ახასიათებს საღად აზროვნება, რომ ის უიმედოდ და სრულადაა ჩაფლული მისტიკაში. მას არ აქვს მშვიდი და თანამიმდევრული დაკვირვების უნარი, მოკლებულია აბსტრაქციის ძალას, „აზროვნების მიმართ მტრულადაა განწყობილი“. მას არ შეუძლია, მიიღოს სარგებელი გამოცდილებიდან და შექმნას ან გაიგოს ბუნების ელემენტარული კანონებიც კი. „ასე ორიენტირებული გონებისთვის წმინდად ფიზიკური ფაქტი არ არსებობს.“ ასევე ვერ იარებებს არსის და მიკუთვნების, მიზეზ-შედეგობრიობის, იდენტობის და წინააღმდეგობის კატეგორიები. მათი თვალსაწიერი გზააბნეულად ცრუმორწმუნეულია – „პრელოგიკური“ (ლოგიკამდელი), აღსავსე მისტიკური „მონაწილეობებით“ და „ექსკლუზივებით.“ აქ მე ბრწყინვალე ფრანგი სოციოლოგის ნააზრევი შევაჯამე – ის ამ მიდგომის ყველაზე დარწმუნებული და კომპეტენტური წარმომადგენელია, თუმცა მის აზრს მრავალი ცნობილი ანთროპოლოგი და ფილოსოფოსი იზიარებს.

მაგრამ არსებობს განსხვავებული აზრიც. როცა პროფესორი ჯ. ლ. მაიერსის კალიბრის მკვლევარი და ანთროპოლოგი „Notes and Queries of Anthropology“<sup>5</sup>-ში აქვეყნებს სტატიას სათაურით „საბუ-

ნებისმეტყველო მეცნიერება“, სადაც ვკითხულობთ, რომ ველურის ცოდნა, „დაკვირვებაზე დაფუძნებული, განსაზღვრული და აკურატულია“, ჩვენ უნდა შევჩერდეთ, სანამ პრიმიტიული ადამიანის ირაციონალობას დოგმის სახით მივიღებთ. რაიმე სახის პრე-ემპირიულ ან პრელოგიკურ გონებაზე ძნელად მისაწერ პრიმიტიულ „აღმოჩენებზე, გამოგონებებზე და გაუმჯობესებებზე“ ლაპარაკისას კიდევ ერთი კომპეტენტური ავტორი, დოქტორი ა. ა. გოლდენგაიზერი ადასტურებს, რომ „არაკეთილგონიერი იქნება, პრიმიტიული საზოგადოების მექანიკას აღმოჩენების ჩასახვაში მხოლოდ პასიური როლი მივაკუთვნოთ. ალბათ მას ბევრმა სასიხარულო აზრმა გაუელვა თავში რადაციის გამოგონებისას, არც იდეის პრაქტიკაში განხორციელებით გამოწვეული ეიფორია იქნებოდა მისთვის უცხო“. აქ ველურში თანამედროვე მეცნიერის ანალოგიურ გონებრივ მდგომარეობას ვამჩნევთ!

პრიმიტიული ადამიანის გონებაზე ამ ორ საწინააღმდეგო აზრს შორის ხიდის გადასადებად, მართებული იქნება პრობლემა ორ კითხვად დავყოთ.

პირველ ყოვლისა, აქვს თუ არა ველურს რაიმე რაციონალური თვალსაწიერი, გარემომცველ რეალობაზე გარკვეული რაციონალური ძალაუფლება, თუ ის მთლიანად „მისტიკურია“, როგორც მესიელევი-ბრიული და მისი სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებენ? პასუხი არის, რომ ყოველ პრიმიტიულ თემს გააჩნია გამოცდილებაზე დაფუძნებული და გონებით სისტემატიზირებული ცოდნის დიდი მარაგი.

აქვე იბადება მეორე კითხვა: შეიძლება თუ არა ეს ცოდნა რუდიმენტურ მეცნიერულ ფორმას მივაწეროთ, თუ პირიქით, რადიკალურად განსხვავებულია: უხეშად ემპირიული, პრაქტიკული და ტექნიკური უნარების ნაკრები, რომელსაც არავითარი თეორიული ღირებულება არ გააჩნია? ეს მეორე კითხვა უფრო ეპისტემოლოგიურია, ვიდრე ადამიანის კვლევის სფეროდან. ჩვენ მას მცირედ შევეხებით და ამ ნაწილის ბოლოს მოზომილ პასუხს გავცემთ.

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ ცხოვრების, ხელობის, უნარების, და ეკონომიკური საქმანობის პროფანული მხარე. ჩვენ შევეცდებით, გამოვყოთ ასეთ, მაგიისა და რელიგიისგან რადიკალურად განსხვავებულ სფეროში ემპირიულ ცოდნაზე და ლოგიკაში დარწმუნებულობაზე დაფუძნებული ქცევა. შევეცდებით, გავიგოთ, განპირობებულია თუ არა ქცევის ასეთი ხაზი წინასწარ

ცნობილი, შესაძლოა, ზოგჯერ განხილული და შემოწმებული ტრადიციული წესებით. ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, განსხვავდება თუ არა რაციონალური და ემპირიული ცოდნით განპირობებული ქცევის სოციოლოგიური საფუძველი რელიგიისა და კულტისგან. დაბოლოს, უნდა ვიკითხოთ, განასხვავებენ თუ არა მკვიდრები ამ ორ სფეროს, თუ ცოდნის სფერო გამუდმებით ეფლობა ცრურწმენის, რიტუალიზმის, მაგიისა და რელიგიის ჭაობში? რადგანაც განხილულ თემებში რელევანტური და სანდო კვლევების დიდი ნაკლებობაა, მე საკუთარ, ძირითადად, გამოუქვეყნებელ მასალას დავეყრდნობი, რომელიც მოპოვებულია აღმოსავლეთ ახალი გვინეის და ირგვლივ მდებარე არქიპელაგების მელანეზიურ და პაპუო-მელანეზიურ ტომებში რამდენიმე წლის სავსელე სამუშაოებისას. რადგანაც მელანეზიელებს განსაკუთრებით მაგიით შეპყრობილების რეპუტაცია აქვთ, მათი კვლევა თლილი ქვის ხანაში მაცხოვრებელ ველურებში ემპირიული და რაციონალური ცოდნის არსებობის შესაფერისი ტესტი იქნება.

ეს მკვიდრები – აქ უმეტესად ვლაპარაკობ ძირითადი კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მარჯნის ატოლების, ტრობრიანის არქიპელაგის მკვიდრ მელანეზიელებზე – ოსტატი მეთევზეები, ინდუსტრიული მეწარმეები და ვაჭრები არიან, მაგრამ თავს ძირითადად მიწის დამუშავებით ირიჩენენ. ისეთი რუდიმენტარული ხელსაწყოებით, როგორიცაა წვეტიანი სათხრელი ჯოხი და მცირე ზომის ნაჯახი, ისინი იღებენ მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობისთვის საკმარის მოსავალს და ნამატიც კი რჩებათ. უწინ ეს ნამატი მოუხმარებლად ღებოდა, დღეს კი საექსპორტოდ, პლანტაციის მუშების გამოსაკვებად გამოიყენება. სოფლის მეურნეობის ასეთი წარმატება, შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემების გარდა, დამოკიდებულია ნიადაგის სხვადასხვა ტიპების და კულტივირებული მცენარეების ღრმა ცოდნაზე და ამ ორი ფაქტორის რომელიმე კომბინაციაზე. ამასთან, წარმატება ასევე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მუხლჩაუხრელი და აკურატული შრომის მნიშვნელობის აღიარებაზე. მათ უნდა შეარჩიონ ნიადაგი და თესლი, შეარჩიონ სათანადო დრო სახნავ-სათესი ყანის გასაწმენდად თუ ამოსაწვავად, დასათესად და გასამარგლად, სხვადასხვა მცენარეების თუ ბატატის ამოსაღებად. ამ ყველაფერში ისინი ხელმძღვანელობენ ამინდის და სეზონების, მცენარეების და სარეველების, ნიადაგის და ბოლქვების მკაფიო ცოდნით, და რწმენით, რომ ეს ცოდნა ჭეშმარიტია და საიმედო, რომ მას შეიძ-

ლება დაეყრდნო და აუცილებელია, ცოდნით ნაკარნახები ქმედებები ზედმიწევნით შეასრულო.

მაგრამ მთელ ამ აქტივობებს თან ახლავს მაგია – რიტუალების სერია, რომელიც წლიდან წლამდე, მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობით და წესრიგის დაცვით სრულდება. ვინაიდან მიწის დამუშავებისას ლიდერობა გრძნეულის ხელშია, და რადგან რიტუალი და პრაქტიკული სამუშაო გადაჯაჭვულია, ზედაპირულმა დამკვირვებელმა შეიძლება იფიქროს, რომ მისტიკა და რაციონალური ქცევა აღრეულია და რომ მკვიდრები მათ ეფექტებს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ, შესაბამისად კი მათ ვერც სამეცნიერო ანალიზი გააარჩევს. ასეა თუ არა ეს სინამდვილეში?

მკვიდრების აზრით, მაგია აბსოლუტურად შეუცვლელია მათი ყანების კეთილდღეობისთვის. ვერავინ იტყვის ზუსტად, თუ რა მოხდებოდა მის გარეშე, რადგანაც არ არსებობს ყანა, სადაც რიტუალი არ ჩატარებულა, მიუხედავად ევროპული ბატონობის ოცდაათ წელზე მეტის, მისიონერების გავლენის, და ას წელიწადზე უფრო დიდი პერიოდის კონტაქტისა თეთრკანიან ვაჭრებთან. თუმცა ნათელია, რომ დაულოცველ, მაგიის გარეშე დამუშავებულ ყანას სხვადასხვა უბედურება, მცენარეთა ავადმყოფობები, უდროო წვიმები, გარეული ღორები და კალიები გაანადგურებენ.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ მკვიდრები ყველა კარგ შედეგს მაგიას მიაწერენ? ნამდვილად არა. თუ თქვენ შესთავაზებთ მკვიდრს, მოუთაროს თავის ყანას მხოლოდ მაგიის დახმარებით და მუშაობას მოუკლოს, ის დასცინებს თქვენს გულუბრყვილობას. მას თქვენნაირად კარგად ესმის, რომ არსებობს ბუნებრივი პირობები და მიზეზები, და დაკვირვების შედეგად იცის, რომ შეუძლია გააკონტროლოს ბუნების ეს ძალები გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევით. მისი ცოდნა, უდავოდ, შეზღუდულია, მაგრამ ის სარწმუნო და კარგი არგუმენტია მისტიციზმის წინააღმდეგ. თუ გაფუჭდა ღობე, განადგურდა, ამოშრა ან წვიმამ დააზიანა ნათესი, ის მაგიას კი არა, მუშაობას – ცოდნით და გონებით განსაზღვრულ პროცესს მიმართავს. მეორე მხრივ, მას გამოცდილებამ ასწავლა, რომ მთელი ამ წინასწარ ნაფიქრისა და მთელი მისი შრომის მიუხედავად, ერთ წელს საქმეში ერთვება ისეთი ძალები, რომელნიც აწილდოვებენ მას ნაყოფიერების დაუმსახურებელი სარგებლით – ამის შემდეგ ყველაფერი კარგად მიდის, წვიმა და მზე შესაბამის მომენტში ჩნდება, მავნე მწერებიც

აღარ მოქმედებენ და მოსავალიც ძალიან უხვია. თუმცა სხვა წელს, ზუსტად იმავე ძალებს მოაქვთ უბედურება და გასაჭირი, რომლებიც მისდევენ მას თავიდან ბოლომდე, მიუხედავად ენერგიული, მტკიცე, ცოდნაზე დაფუძნებული მცდელობებისა. ამ (და მხოლოდ ამ) გავლენის გასაკონტროლებლად მიმართავს ის მაგიას.

მაშასადამე, არსებობს მკაცრი დაყოფა: პირველ რიგში, არის პირობების კარგად ცნობილი ნაკრები – ზრდის ბუნებრივი პროცესი, ისევე, როგორც ჩვეულებრივი მავნებლები, რომელთაც შეიძლება ებრძოლო შემოღობვით და გაფარცხვით. მეორე მხრივ, არის უკონტროლო და მტრული გავლენები, ისევე, როგორც დაუშასაზრებელი იღბალი და უხვი მოსავალი. პირველ მდგომარეობები ცოდნის და მუშაობის „გავლენის სფეროა“, მეორენი – მაგიის.

გაყოფის ამ ხაზს ასევე შეიძლება დავაკვირდეთ რიტუალისა და სამუშაოს სოციალურ გარემოცვაში. მიუხედავად იმისა, რომ ყანის გრძნეული, როგორც წესი, პრაქტიკული აქტივობების ლიდერია, მისი ეს ორი ფუნქცია მკაცრადაა ერთმანეთისგან განცალკევებული. ყველა მაგიურ ცერემონიას თავისი დასახელება, შესრულების შესაბამისი დრო და ადგილი აქვს სამუშაო სქემაში, და ის აქტივობის ყოველდღიური მიმდინარეობისგან სრულიად განცალკევებით დგას. ზოგიერთი მათგანი ცერემონიულია და მთელი თემი ვალდებულია, მას დაესწროს, თუმცა ყველა საჯაროა იმ მნიშვნელობით, რომ მათი ჩატარების დრო ცნობილია და მათზე დასწრება თავისუფალია. ისინი ყანებში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე სრულდება. ასეთ დროს მუშაობა ყოველთვის ტაბუდადებულია. ზოგჯერ მხოლოდ ცერემონიის მიმდინარეობისას, ზოგჯერ კი ერთი-ორი დღე. მისი „საერო“ მოღვაწეობისას ლიდერი, იგივე გრძნეული წარმართავს მუშაობას, ირჩევს საწყის თარიღებს, არიგებს და ამუშნათებს ზარმაც და დაუკვირვებელ მუშებს. მაგრამ მისი ეს ორი როლი არასოდეს იკვეთება და არ ირევა ერთმანეთში: ორივე მათგანი ყოველთვის ნათელია და ნებისმიერი მკვიდრი უყოყმანოდ შეგატყობინებთ, როგორ მოქმედებს ეს ადამიანი ამა თუ იმ დროს – როგორც გრძნეული, თუ როგორც მიწის დამუშავების საქმის ლიდერი.

ნებისმიერ სხვა აქტივობაშიც, სადაც მუშაობა და მაგია ერთმანეთის გვერდით, აღრევის გარეშე მოქმედებენ, იგივე შეიმჩნევა, რაც ყანების მაგალითზე განვიხილეთ. ამგვარად, კანოეს მშენებლობისას მატერიალის და ტექნოლოგიის, სტაბილურობის ზოგიერთი პრინ-

ციპის და ჰიდროდინამიკის ემპირიული ცოდნა მოქმედებს მაგიის გვერდით, მასთან ახლო ასოციაციაში, მაგრამ ისინი ერთმანეთში არ ირევიან.

მაგალითად, მკვიდრებს მშვენივრად ესმით, რომ რაც უფრო შორსაა აუტრიგერის(ბალანსირის) განლაგება კანოესგან, მით უფრო სტაბილურია ის, მაგრამ, შესაბამისად, მით უფრო ნაკლებად უძლებს დაჭიმვას. მათ შეუძლიათ გასაგებად ახსნან, თუ რატომ იყენებენ ისინი აუტრიგერის განსაღებლად გარკვეულ ტრადიციულ, მიღებულ მანძილს (სიფართოვეს), რომელიც იზომება კანოეს სიგრძის წილებში. მათ ასევე შეუძლიათ ახსნან, მართალია რუდიმენტარულ, მაგრამ აშკარად მექანიკურ ტერმინებში, თუ როგორ უნდა მოიქცე მოულოდნელი ქარიშხლის დროს, რატომ უნდა იყოს აუტრიგერი ყოველთვის ქარის მიმართულების მხარეს, რომელი ტიპის კანოეს შეუძლია ქარის მიმართულებით მანევრირება და რომელს – არა. მათ, სინამდვილეში, საკმაოდ რთულ და მდიდარ ტერმინოლოგიაში აქვთ ჩამოყალიბებული ზღვაოსნობის პრინციპების მთელი სისტემა, რომელიც ტრადიციულად ისეთივე რაციონალურია და თანამიმდევრული, როგორც თანამედროვე მეცნიერება – თანამედროვე მეზღვაურებისთვის. სხვანაირად, როგორ შეძლებდნენ ისინი ზღვაოსნობას ასეთ შესამჩნევად საშიშ პირობებში მათი მყიფე, პრიმიტიული ნაგებობით?

მაგრამ მთელი ამ მეთოდურად გამოყენებული, სისტემატიზირებული ცოდნის გამოყენების მიუხედავად, მათ მაინც ემუქრებათ ძლიერი და არაპროგნოზირებადი დინებები, უეცარი ქარიშხლები (მუსონების სეზონის დროს) და მათთვის უცნობი რიფები. და სწორედ აქ შემოდის მათი მაგია, რომელიც სრულდება კანოეზე, მისი მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ექსპედიციების დროს და რეალური საშიშროებებისას ღია ზღვაში. თუ თანამედროვე, მეცნიერებით და გონებით შეიარაღებულ მეზღვაურს, აღჭურვილს ყველა სახის უსაფრთხოების მოწყობილობებით, ფოლადის გემზე მოცურავესაც კი – თუკი მასაც აქვს საოცარი ლტოლვა ცრურწმენისადმი, რომელიც არ აქვეითებს არც მის ცოდნას, არც გონებას, არ ხდის მას პრელოგიკურს, რა გასაკვირია, რომ მისი ველური კოლეგა, გაცილებით უფრო საშიშ პირობებში, მაგიის უსაფრთხოებას და ნუგეშს ებღალუჭება?

მაგიის შესახებ საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა შეიძლება ტრობრიანის კუნძულებზე მეთევზეობაზე დაკვირვებისას. თუ ტრობრიანელები შიდა ლაგუნის სანაპიროს მიმდებარე სოფლებში თევზაობენ ადგილი და ძალიან საიმედო მეთოდებით – მოწამვლით, საკმაოდ კარგი შედეგებით ყოველნაირი საშიშროების და გაურკვევლობის გარეშე, ღია ზღვის პირობებში თევზაობა ძალზე საშიშია და მონაგარი ხშირად დამოკიდებულია იმაზე, გამოჩნდებიან თუ არა თევზჭერის ადგილებში თევზთა გუნდები წინასწარ. მნიშვნელოვანია, რომ ლაგუნაში თევზაობისას, სადაც ადამიანს შეუძლია მთლიანად დაეყრდნოს საკუთარ ცოდნას და უნარებს, მაგია არ არსებობს, მაშინ როდესაც ღია ზღვაში – საშიშროებით და გაურკვევლობით მოცულ თევზაობისას – არსებობს ვრცელი მაგიური რიტუალი უსაფრთხოების და კარგი შედეგების უზრუნველსაყოფად. კიდევ ერთხელ – ომის დროს, მკვიდრებმა იციან, რომ წარმატებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა, გამბედაობა და სიმარდეა, თუმცა ისინი ასეთ დროსაც მიმართავენ მაგიას – იღბალის და შემთხვევითობის ელემენტების დამორჩილებისთვის.

არსად ისე არ ჩანს ბუნებრივისა და ზებუნებრივის დუალიზმი, როგორც ადამიანის ბედის ორ ყველაზე საბედისწერო ძალაში: სიკვდილსა და ჯანმრთელობაში. თუმცა სწორედ ამ ორ სფეროშია ბუნებრივი და ზებუნებრივი ძალიან მკვეთრად, შეუმჩნეველი ხაზით განცალკევებული, მაგრამ ამასთანავე, გულმოდგინე დაკვირვებისას, განსხვავება აშკარა, გადამწყვეტი და ყურადსაღები ხდება. მეღანეზიელებისთვის ჯანმრთელობა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა – თუ მას ხელს არ შეუშლი, ადამიანის სხეული სრულად ჯანმრთელი იქნება. მაგრამ მკვიდრებმა მშვენივრად იციან ბუნებრივი ფაქტორების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ჯანმრთელობაზე და გაანადგურონ კიდევ სხეული. შხამი, ჭრილობები, დამწვრობა, საიდანმე გადმოვარდნა ცნობილი მიზეზებია, რომლებიც დასახიჩრებას ან სიკვდილს იწვევენ. ეს არ არის ამა თუ იმ ინდივიდის კერძო თვალსაზრისი – ის ჩაბეჭდილია ტრადიციულ, თაობიდან თაობაში გარდამავალ ცოდნაში და რწმენაშიც კი, რადგანაც ითვლება, რომ არსებობს იმპლემენტალური წასვლის განსხვავებული გზები – მათთვის, ვინც ბუნებრივად გარდაიცვალა და მათთვის, ვინც გრძნეულების ზემოქმედებით დაიღუპა. კიდევ ერთხელ – აღიარე-

ბულია, რომ სიცივემ, სიცხემ, მეტისმეტმა დაძაბულობამ, ზედმეტმა მზემ და ღორმუცელობამ შეიძლება უმნიშვნელო დაავადებები გამოიწვიოს, რომელნიც ბუნებრივი საშუალებებით – მასაჟით, ორთქლით, მზესთან გათბობით და გარკვეული ბანგით იკურნება. ცნობილია, რომ მოხუცებულობა სხეულის ხრწნას იწვევს. მიჩნეულია, რომ, როდესაც ძალიან მოხუცი ადამიანები სუსტდებიან, იხურება მათი საყლაპავი მილი და შესაბამისად, ისინი კვდებიან.

მაგრამ ამ ბუნებრივი მიზეზების გარდა, არსებობს გრძნეულების ძალიან დიდი სფერო და სნეულებათა და სიკვდილთა დიდი უმრავლესობა სწორედ მას მიეწერება. განსხვავება გრძნეულებასა და სხვა მიზეზებს შორის მკაფიოა თეორიულადაც და პრაქტიკული შემთხვევების უმრავლესობაშიც, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეს მიზეზები პირად პერსპექტივაზეცაა დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო ახლოს მიაქვს გულთან ადამიანს გარკვეულ შემთხვევა, მით მეტად განიხილავს ის მას „მაგიურად“ და ნაკლებად – „ბუნებრივად.“ ამრიგად, მოხუცი, რომლის მოსალოდნელი სიკვდილი თემში ბუნებრივად აღიქმება, გრძნეულების შიშით აღივსება და არ განიხილავს საკუთარ სიკვდილს, როგორც ბუნებრივს. მეტ-ნაკლებად ავადმყოფი ადამიანი თავის ავადმყოფობას ხშირად გრძნეულებას მიაწერს, მაშინ, როდესაც დანარჩენები ზედმეტი ბეტელის კაკლის<sup>6</sup> მიღებას, ღორმუცელობას ან რაიმე სხვა თავშეუკავებლობას მიიჩნევენ სნეულების მიზეზად.

მაგრამ რომელ ჩვენგანს ჯერა, რომ ჩვენი სნეულებები და მოახლოებული სიკვდილი წმინდად ბუნებრივი მოვლენაა უმნიშვნელო, უსასრულო მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში? ყველაზე რაციონალური და ცივილიზებული ადამიანისთვისაც კი ჯანმრთელობა, დაავადება და სიკვდილის გარდაუვალობა ემოციურ ნისლშია გახვეული, რომელიც უფრო სქელი და გაუვალი ხდება საბედისწერო მოვლენების მოახლოებასთან ერთად. ამიტომ ნამდვილად საოცარია, რომ „ველურებს“ შეუძლიათ ამ საკითხებში ასეთი საღი, უემოციო თვალთახედვა ჰქონდეთ.

მამასადამე, ბუნებასთან და ბედისწერასთან დამოკიდებულებაში (პირველის საკუთარი მიზნებისთვის გამოსაყენებლად და მეორესგან თავის ასარიდებლად) პრიმიტიული ადამიანი აღიარებს როგორც ბუნებრივ, ისე ზებუნებრივ ძალებს და ცდილობს ორივესგან რაიმე ხეირი ნახოს. როდესაც მას გამოცდილება კარნახობს, რომ ცოდნაზე

დაფუძნებული მცდელობები უნაყოფო არაა, ის მიზნის მისაღწევად მცდელობას არ დააკლებს, მაგრამ არც მაგიას უგულებელყოფს. ის არასოდეს ეყრდნობა მარტოდენ მაგიას, მაშინ, როდესაც არის შემთხვევები, როცა ის მაგიას საერთოდ არ იყენებს, მაგალითად, ცეცხლის დანთებისას და რამდენიმე სხვა პრაქტიკული დავალების შესრულებისას. ის მაგიას მხოლოდ მაშინ ებლაუჭება, როცა რწმუნდება, რომ მისი ცოდნა და რაციონალური უნარები უძლურია.

მე დავასაბუთებ, თუ რატომ ვეყრდნობი ჩემი მსჯელობის განვითარებისას ძირითადად იმ მასალას, რომელიც მაგიის კლასიკურ მიწაზე, მელანეზიაში შევაგროვე. მაგრამ განხილული ფაქტები იმდენად ფუნდამენტურია და გამოტანილი დასკვნების ბუნება იმდენად ზოგადი, რომ ისინი ადვილად შეიძლება შემოწმდეს ნებისმიერი თანამედროვე, დეტალური ეთნოგრაფიული კვლევით. მიწის დამუშავების და მაგიის, კანოების მშენებლობის, განკურნების უნარების (მაგიური და ბუნებრივი წამლებით) და სიკვდილის შესახებ აქ გამოტანილი დასკვნების დადასტურება შედარებით ადვილად შეიძლება, ვიდრე სხვა რეგიონების მაგალითზე იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა, რადგანაც პრიმიტიული ცოდნის პრობლემა მეთოდურად არავის შეუღწავლია, სხვა მეცნიერების ნაშრომებიდან ასეთი ფაქტების ამოკრეფა მხოლოდ ნაწილ-ნაწილაა შესაძლებელი და მათი დასკვნები, ნათელი, მაგრამ არაპირდაპირი იქნებოდა.

მე კი ვცადე, პირდაპირ გამეანალიზებინა პრიმიტიული ადამიანის რაციონალური ცოდნის საკითხი: მის მთავარ საქმიანობაზე დაკვირვებით, იმის დანახვით, თუ როგორ „გადადის“ ის სამუშაოდან მაგიასზე და პირიქით, მის გონებაში შეღწევით, მისი აზრის მოსმენით. ამ პრობლემებისადმი ენათმეცნიერული მიდგომაც შესაძლებელია, მაგრამ ეს ძალიან შორს წავიყვანდა - ლოგიკის, სემასიოლოგიის<sup>7</sup> და პრიმიტიული ენების თეორიისკენ. ანალიზი სიტყვებისა, რომლებიც გამოხატავს ზოგად იდეებს, როგორებიცაა არსებობა, რაობა, მიკუთვნება, მიზეზი და შედეგი, ფუნდამენტური და მეორადი. სიტყვებისა, რომლებიც გამოიყენება ისეთ რთულ საქმიანობაში, როგორებიცაა ზღვაოსნობა, მშენებლობა, გაზომვა და შემოწმება, რიცხვები და რაოდენობრივი აღწერები, ბუნებრივი ფენომენების ზუსტი და დეტალური კლასირება, მცენარეები და ცხოველები - ყოველივე ეს მიგვიყვანდა ზუსტად იმავე დასკვნამდე - რომ პრიმიტიულ ადამიანის აქვს დაკვირვებისა და აზროვნების უნარი, რომ მას აქვს მის ენა-

ში განსახიერებული ცოდნის მეთოდური, თუმცა რუდიმენტარული სისტემები.

მსგავსი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ, თუ დავაკვირდებით მენტალურ სქემებს (და მათ ფიზიკურ გამოხატულებებს), რომლებიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დიაგრამები ან ფორმულები.

კომპასის უმთავრესი წერტილების აღნიშვნის მეთოდები, ვარსკვლავების თანავარსკვლავედებად დაჯგუფება და მათი შეხამება წელიწადის დროებთან, წლის სხვადასხვა პერიოდების დაყოფა და მათი სახელდება, მთვარის ფაზების ამოცნობა – ყველა ეს მიღწევა უმარტივესი ველურებისთვისაც კი ცნობილია. მათ ასევე შეუძლიათ, დახატონ დიაგრამული რუკები ქვიშაზე ან მტვერზე, ააგონ გეგმები მცირე ზომის ქვების, ნიჟარების და ჯოხების მიწაზე დაწყობით და ასეთ რუდიმენტარულ ნახაზებზე ექსპედიციები ან თავდასხმები დაგეგმონ. დროის და სივრცის კოორდინირებით, ისინი ასევე გეგმავენ ტომის მასობრივი თავყრილობებს და საზღვრავენ ფართო ტერიტორიაზე ადამიანების დიდი მასის გადაადგილების გზას. დასამახსოვრებლად ფოთლების, იარაღებისა და ჯოხების და მსგავსი დამხმარე ხელსაწყოების გამოყენება კარგადაა ცნობილი და ფაქტობრივად უნივერსალურია. ყველა მსგავსი „დიაგრამა“ რთული რეალობის მარტივ და მოხერხებულ ფორმაში მოქცევის საშუალებაა, და ასევე ამ რეალობაზე გონებრივი კონტროლის დამყარების სახე. როგორც ასეთი, ჰგავნან თუ არა ისინი, რასაკვირველია, ძალიან რუდიმენტარული ფორმით, მაგრამ უეჭველად ფუნდამენტურად, განვითარებულ სამეცნიერო ფორმულებს და „მოდელებს“, რომლებიც ასევე რთული და აბსტრაქტული რეალობის მარტივ და მოხერხებულ ფორმაში მოქცევის სახეა, ცივილიზებულ ფიზიკოსს ამ რეალობაზე მენტალური კონტროლის საშუალებას რომ აძლევს?

ამას შემდეგ საკითხამდე მივყავართ – შეიძლება თუ არა პრიმიტიული ცოდნა, რომელიც, როგორც გავიგეთ, ემპირიულიცაა და რაციონალურიც, განვიხილოთ, როგორც მეცნიერების რუდიმენტარული ფორმა, თუ ის მასთან საერთოდ არ არის დაკავშირებული? თუ მეცნიერებას გავიგებთ, როგორც წესების და კონცეფციების ნაკრებს, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებიდან მიღებულ ლოგიკურ დასკვნებზე, განსხეულებული ხელშესახებ მიღწევებში, ტრადიციის მდგრადი ფორმით და მხარდაჭერილი რაიმე ფორმის სოციალური ორგანიზაციით, მაშინ ეჭვგარეშეა, რომ უმდაბლეს ველურ თემებ-

საც კი აქვთ მეცნიერების საწყისი, რამდენად რუდიმენტარულიც არ იყოს ის.

თუმცა ეპისტემოლოგების უმრავლესობა ამ მეცნიერების „მინიმალური“ დეფინიციით არ დაკმაყოფილდება, რადგან მან ასევე შეიძლება მოიცვას უნარები და ხელობები. ისინი ამტკიცებენ, რომ მეცნიერების წესები მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი და ღია ექსპერიმენტისა და გონების კრიტიკისთვის. ისინი არა მხოლოდ პრაქტიკული ქცევის წესებია, არამედ ცოდნის თეორიული კანონები. ამ გამკაცრების მიღებითაც კი დიდად სავარაუდოა, რომ ველურთა ცოდნის ბევრი პრინციპი ამ მხრივაც მეცნიერულია. მკვიდრმა გემის დურგალმა არა მარტო პრაქტიკულად იცის ზედაპირზე ტივტივის, ბერკეტების და წონასწორობის შესახებ და ამ წესებს არა მარტო ღია ზღვაში, არამედ კანოეს დამზადებისასაც უნდა დაემორჩილოს. ის ასწავლის თავის ხელქვეითებს, გადასცემს მათ ტრადიციულ წესებს და, უხემად და მარტივად, ხელების და ჯოხების გამოყენებით და შეზღუდული ტექნიკური ლექსიკონით მათ ჰიდროდინამიკის და წონასწორობის ზოგად კანონებს აცნობს. რა თქმა უნდა, სიმართლეა, რომ მეცნიერება ხელობისგან გამოყოფილი არ არის, ის, უბრალოდ, საშუალებაა მიზნის მისაღწევად, უხეში, რუდიმენტარული და ჩანასახოვანი, მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად, ეს ისეთივე მატრიცაა, როგორიდანაც განვითარდა თანამედროვე მეცნიერება.

თუ ჩვენ გამოვიყენებთ კიდევ ერთ, მეცნიერული მიდგომის კრიტერიუმს, ანუ პირდაპირ პრაქტიკულ მიზანს მოკლებული ცოდნის ძიებას, მიზნუ-შედევობრივი კავშირების დადგენას, აქაც პასუხი გადაჭრით უარყოფითი ვერ იქნება. რა თქმა უნდა, ველურების თემში არ არის ფართოდ გავრცელებული ცოდნის წყურვილი, ახალი, ევროპულ კულტურაში ჩასახული სალაპარაკო თემები მათთვის მოსაწყენია, მთელი მათი ინტერესი ტრადიციულად მათი კულტურითაა შემოსაზღვრული, მაგრამ ამის ფარგლებში არსებობს როგორც სიძველეების მოყვარული, მითებით, ამბებით, წეს-ჩვეულებების დეტალებით, საგვარეულოებით და უძველესი მოვლენებით მგზნებარედ დაინტერესებული გონება, ასევე ნატურალისტი (ბუნებისმეტყველი) – თავის დაკვირვებებში მომთმენი და მუყაითი, განზოგადებების გაკეთების, და ცხოველთა, ზღვის თუ ჯუნგლის ბინადართა ცხოვრებაში მოვლენათა გრძელი ჯაჭვის გაშიფვრის უნარის მქონე. ბუნებისადმი ამ ინტერესის აღსაქმელად, საკმარისია, გავიაზ-

როთ, რამდენი რამ ისწავლეს ევროპელმა ნატურალისტებმა მათი ველური კოლევებისგან. დაბოლოს, როგორც ველზე მომუშავე ყველა ანთროპოლოგმა იცის, პრიმიტიულ ხალხებს შორის ყოველთვის არსებობს სოციოლოგი, იდეალური ინფორმანტი, რომელსაც აქვს უნარი, გასაოცარი სიზუსტით და ღრმად აღწეროს მისი ტომის უფრო მარტივი ინსტიტუტების *raison d'être*,<sup>8</sup> ფუნქცია და ორგანიზაცია.

რა თქმა უნდა, არც ერთ არაცივილიზებულ თემში მეცნიერება არ მოქმედებს, როგორც მამოძრავებელი ძალა, რომელიც აკრიტიკებს, ანახლებს და აგებს. მეცნიერება არ იქმნება შეგნებულად, მაგრამ ამ კრიტერიუმით, ველურებში არ არსებობს არც სამართალი, რელიგია ან მთავრობა.

ეს კითხვა – რა უნდა ვუწოდოთ ჩვენ ველურების ცოდნას – მეცნიერება თუ მხოლოდ ემპირიული და რაციონალური ცოდნა, ამ კონტექსტში პირველადი მნიშვნელობის არ არის. ჩვენ შევეცადეთ, გაგვეჩვენა, ცხოვრობს თუ არა ველური მხოლოდ ერთ (მაგიურ) რეალობაში თუ ორში, და გავიგეთ, რომ რელიგიის და კულტის საკრალური სფეროს გარდა, მას აქვს პრაქტიკული ქმედებების და რაციონალური თვალსაწიერის პროფანული სამყარო. ჩვენ ეს ორი სფერო განვაცალკევეთ და ერთ-ერთი უფრო დეტალურად აღვწერეთ. ახლა კი მეორეზე უნდა გადავიდეთ.

## სიცოცხლე, სიკვდილი და გადისწარა

### ადრეულ რწმენასა და კულტში

ახლა გადავიდეთ საკრალური სფეროზე, რელიგიურ და მაგიური რიტუალებზე და რწმენის სიმბოლოებზე. თეორიების ისტორიულმა მიმოხილვამ, თვალსაზრისების ქაოსმა და ფენომენების აღრეულობამ აქამდე ცოტა დაგვაბნია. მართალია, რთულია, რელიგიის სფეროში არ გავაერთიანოთ, ერთი მეორეს შემდეგ, სულები და მოჩვენებები, ტოტემები და სოციალური მოვლენები, სიკვდილი და სიცოცხლე, მაგრამ ამ პროცესში რელიგია მაინც სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი რამ გახდა – ერთდროულად ყველაფერი და არაფერი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ რელიგიას ვიწროდ, როგორც „სულთა თაყვანისცემას“, „წინაპართა კულტს“ ან „ბუნების კულტს.“ ის მოიცავს ანიმიზმს, ანიმალიზმს, ტოტემიზმს და ფეტიშიზმს, მაგრამ არც ერთ ამათგანს სხვათაგან განცალკევებით. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ

რელიგიის საწყისების სხვადასხვა „იზმებით“ განსაზღვრა, რადგანაც რელიგია არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე ობიექტს ან ობიექტთა ერთობლიობას, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება მათ შეეხოს და გააღმერთოს. როგორც ასევე ვნახეთ, რელიგია საზოგადოების ან სოციალურის იდენტურიც არაა. არც იმ იდეას უნდა დავჯერდეთ, რომ რელიგია მხოლოდ სიცოცხლეს მოიცავს, რადგან იმპევენიურ სამყაროსთან უფრო თვალნათლივ სიკვდილია დაკავშირებული და არა სიცოცხლე. თუ რელიგიას განვსაზღვრავთ, როგორც „უფრო მაღალ ძალებისადმი მიმართვას“, ამით ჩვენ მას მხოლოდ მაგიისგან გამოვყოფთ და ზოგად დეფინიციას ვერ მივიღებთ. მაგრამ ეს თვალსაზრისიც კი მცირედ შესაცვლელი და შესავსებია.

მაშასადამე, ჩვენ წინაშეა ფაქტების გარკვეულ წესრიგში მოყვანის პრობლემა. ეს მოგვცემს საშუალებას, რამდენადმე უფრო ზუსტად განვსაზღვროთ საკრალური სფეროს ბუნება და გამოვყოთ ის პროფანული სფეროსგან. ის ასევე მოგვცემს საშუალებას, ჩამოვაყალიბოთ კავშირი მაგიასა და რელიგიას შორის.

## 1. შექმნის აქტები რელიგიაში

უმჯობესი იქნება, თუ ფაქტებს თვალს გავუსწორობთ და კვლევის მასშტაბის შემცირებისგან თავის ასარიდებლად ჩვენს ათვლის წერტილად ყველაზე ბუნდოვან და ზოგადი ცნებას – „სიცოცხლეს“ ავიღებთ. ეთნოლოგიური ლიტერატურის ზედაპირული გაცნობაც კი ყველას დაარწმუნებს, რომ რეალურად, ადამიანის ცხოვრების ფიზიოლოგიური ფაზები, მეტადრე კი საკვანძო მომენტები – ჩასახვა, ფეხმძიმობა, დაბადება, სქესობრივი მომწიფება, ქორწინება და სიკვდილი მრავალი წეს-ჩვეულების და რწმენის ბირთვს აყალიბებს. ასე მაგალითად, რწმენები ჩასახვის შესახებ, ისეთი, როგორიცაა რეინკარნაციის, ბავშვის სულის ქალის სხეულში შეღწევის და მაგიური დაფეხმძიმებისა, ამა თუ იმ ფორმით, თითქმის ყველა ტომში არსებობს. ისინი ხშირად დაკავშირებულია რიტუალებთან. ფეხმძიმობის დროს ბავშვის მომლოდინე დედამ უნდა დაიცვას განსაზღვრული ტაბუ, უნდა მიიღოს მონაწილეობა ცერემონიებში, მათში ზოგჯერ მისი ქმარიც ერთვება. დაბადებამდე და დაბადების შემდეგ, სრულდება სხვადასხვა მაგიური რიტუალები საშიშროების თავიდან ასაცილებლად და გრძნეულების გავლენის გასაწეიტრალებლად. განწ-

მენდის ცერემონიები, თემური დღესასწაულები და ახალშობილის მაღალი ძალებისადმი, ან თემისადმი წარდგენის აქტები. მოგვიანებით, ბიჭებს (და უფრო იშვიათად გოგონებს), როგორც წესი, ინიციაციის ხშირად გახსნაგრილი, იღუმალებით მოცული, სასტიკი და უხამსი რიტუალების გავლა უწევთ.

უფრო შორს წასვლის გარეშე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის ცხოვრების დასაწყისი რწმენების და რიტუალების ნაზავითაა მოცული. ისინი იზიდავენ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, მათ ირგვლივ იზუდებენ და ფორმალიზმისა და რიტუალიზმის მკაცრ ჩარჩოში აქცევენ. მაგრამ რა მიზნით? თუ ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ კულტსა და რწმენის სიმბოლოებს მათი ობიექტების მიხედვით, იქნებ შესაძლებელია, აღვიქვათ მათი ფუნქცია?

ფაქტების უფრო ყურადღებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს, თავიდანვე შევქმნათ წინასწარი კლასიფიკაცია ორ ძირითად ჯგუფად. შეადარეთ ორი ტიპური რიტუალი: ბავშვის დაბადებისთანავე სიკვდილის თავიდან ასაცილებელი რიტუალი და დაბადების აღსანიშნავად ჩატარებული ცერემონია (დღესასწაული). პირველი გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა – აქვს კონკრეტული პრაქტიკული დანიშნულება, რომლის შესახებაც ყველა მონაწილემ იცის. ამ მიზანზე ნებისმიერი მკვიდრი ინფორმანტი მიგითითებთ. პოსტნატალური ცერემონიას, ვთქვათ, ახალშობილის წარდგენას, ან ამ ამბის აღსანიშნავად გამართულ ნადიმს დანიშნულება არ აქვს: ის თვითონ არის მიზანი, (*end in itself*), ის თვითკმარია. ის გამოხატავს დედის, მამის, ნათესავების თუ მთელი თემის გრძნობებს, მაგრამ არავითარ მომავალ მოვლენას არ მოასწავებს, რომელიც ამ ცერემონიამ უნდა გამოიწვიოს ან აირიდოს. ამ განსხვავებას გამოვიყენებთ, როგორც *prima facie*<sup>9</sup> გამიჯვნის საშუალებას მაგიასა და რელიგიას შორის. მაშინ, როდესაც მაგიურ აქტს გააჩნია მის საფუძველში მყოფი იდეა, მისი მიზანი ყოველთვის ნათელი, პირდაპირი და განსაზღვრულია, რელიგიურ ცერემონიაში არ არსებობს მიზანი, რომელიც ჰიპოთეტურ სამომავლო მოვლენას მოასწავებს. ამ აქტის ფუნქცია, სოციოლოგიური *raison d'être* მხოლოდ სოციოლოგს შეუძლია დაადგინოს. მკვიდრს ყოველთვის შეუძლია მიუთითოს მაგიური წეს-ჩვეულების მიზანზე, მაგრამ რელიგიურ ცერემონიაზე ის ყოველთვის იტყვის, რომ ის უბრალოდ ხდება, იმიტომ, რომ ასეა დადგენილი, ან მოგიყვებათ რაიმე ამხსნელ მითს.

პრიმიტიული რელიგიური ცერემონიების ბუნების უკეთ გასაგებად, მოდით, ინიციაციის ცერემონიები გავაანალიზოთ. ყველგან, სადაც ისინი გავრცელებულია (და საკმაოდ ფართოდ), შეიძლება დავაკვირდეთ გარკვეულ გასაოცარ მსგავსებებს. ამრიგად, ინიციაციამდე ბავშვმა იზოლაციის და მომზადების საკმაოდ ხანგრძლივი პროდედურა უნდა გაიაროს. შემდეგ მოდის თავად ინიციაცია. ახალგაზრდა ჯერ მრავალ გამოცდას გადის, ბოლოს კი მას ფიზიკურად ასახიჩრებენ. ეს აქტები შეიძლება ძალიან მსუბუქი იყოს – ვთქვათ, მცირე ნაკაწრი სხეულზე ან კბილის ამოღება, უფრო მკაცრი, როგორცაა, მაგალითად, წინადაცვეთა და ძალიან სასტიკი და სახიფათო, როგორიცაა, მაგალითად, რამდენიმე ავსტრალიურ ტომში გავრცელებული სუბინციზია.<sup>10</sup> გამოცდა, როგორც წესი, დაკავშირებულია ინიცირებული სუბიექტის სიკვდილთან და ხელახალ დაბადებასთან, რომელიც ზოგჯერ მიმეტყუარი წარმოდგენის სახისაა. მაგრამ გამოცდების გარდა, ნაკლებად არსებობს ინიციაციის ნაკლებად ხელშესახები და დრამატული, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი: ახალგაზრდების სისტემატური განსწავლა მითებსა და წმინდა თქმულებებში, ტომის საიდუმლოების თანდათანობითი ახსნა და წმინდა ობიექტების ექსპოზიცია. რწმენის მიხედვით, გამოცდა და ტომის საიდუმლოების ახსნა ერთმა ან მეტმა ლეგენდარულმა წინაპარმა, კულტურულმა გმირმა ან ზებუნებრივი ძალის მქონე მაღალმა არსებამ დააწესა.

ზოგჯერ ის ყლაპავს ან კლავს ახალგაზრდებს და შემდეგ უბრუნებს მათ სიცოცხლეს, უკვე ინიციაციავალილებს. მის ხმას იმიტირებს სპეციალური, დაბალი, გუგუნის ხმის მქონე ინსტრუმენტი,<sup>11</sup> რომელიც იწვევს ძრწოლას და აშინებს ბავშვებს და ქალებს (რომლებსაც ინიციაცია არ გაუვლიათ). ამ პროცესში ინიცირებული ახალგაზრდა უფრო მაღალი ძალებთან და პიროვნებებთან ამყარებს კონტაქტს. ჩრდილოამერიკელ ინდიელებში ეს არის დამცავი სულელები და მზრუნველი ღვთაებები, ზოგიერთ ავსტრალიელ აბორიგენში – ტომის „ყოველთა-მამა“, მელანეზიაში და სხვაგან – მითოლოგიური გმირები. ეს არის კაცად გარდაქცევის მესამე ფუნდამენტური ელემენტი, გამოცდების და ტრადიციის სწავლების შემდეგ.

მაშ, რა არის ამ წესების სოციოლოგიური ფუნქცია და რა როლს თამაშობენ ისინი ცივილიზაციის მხარდაჭერასა და განვითარებაში? როგორც ვნახეთ, ამ დროს ახალგაზრდებს ასწავლიან წმინდა ტრა-

დიციებს – შთამბეჭდავ პირობებში, წინასწარი მზადებით და სხვადასხვა გამოცდით. ზებუნებრივი არსებების ხელდასხმით თემური განსხივოსნების შუქი მათზე გადმოდის შიშის, მიტოვების და ფიზიკური ტკივილის ჩრდილიდან.

მოდით, ვაღიაროთ, რომ პრიმიტიულ პირობებში, ტრადიცია თემისთვის უზენაესი ღირებულებაა. არაფერია ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც კონფორმულობა და თემის წევრების კონსერვატიულობა. წესრიგი და ცივილიზაცია თაობიდან თაობაში გარდამავალი ცოდნისადმი მტკიცე ერთგულებით შენარჩუნდება. ნებისმიერი უყურადღებობა ჯგუფის ერთობას (კოჰეზიას) ასუსტებს და საფრთხეს უქმნის მის კულტურულ მემკვიდრეობას იმ დონემდე, რომ ამ ჯგუფის არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს. ადამიანს ჯერ არ გამოუგონია თანამედროვე მეცნიერების მეტად რთული აპარატი, რომელიც საშუალებას მისცემს, ურყევად, საიმედო გზით დააფიქსიროს და დროდადრო შეამოწმოს გამოცდილების შედეგები, თანდათანობით უფრო ადეკვატურ ფორმაში მოიყვანოს ის და მუდმივად გაამდიდროს ახალი ელემენტებით. ცოდნის ის ნაწილი, რომელსაც პრიმიტიული ადამიანი ფლობს, მისი სოციალური ქსოვილი, წესები და რწმენები წინაპრების რთულად მოპოვებული გამოცდილების ფასდაუღებელი მონაპოვარია, მოპოვებული ძალიან დიდ ფასად და შესაბამისად, ნებისმიერ ფასად უნდა შენარჩუნდეს. შესაბამისად, ყველა სხვა ღირებულებათა შორის, უმნიშვნელოვანესი ტრადიციებისადმი ერთგულებაა. საზოგადოება, რომელიც ამ ტრადიციას წმინდად აქცევს, ძალაუფლების და პერმანენტულობის განუზომელ უპირატესობას იძენს. რწმენებს და პრაქტიკებს, რომლებიც ტრადიციას თავზე სიწმინდის შარავანდედს ადგამენ და ზებუნებრივის ბეჭედს არტყამენ, „გადარჩენის საწინდარის“ ფუნქცია აქვს იმ საზოგადოებებში, სადაც ისინი განვითარდა.

ახლა ჩვენ ინიციაციის ცერემონიის მთავარი ფუნქციის ჩამოყალიბების უფლება გვაქვს: ეს არის ტრადიციის ძალის და ღირებულების რიტუალური და დრამატული გამოხატულება პრიმიტიულ საზოგადოებებში. ის ასევე იმისთვისაა, რომ ეს ძალა და ღირებულება ყოველ თაობას გადასცეს, მაგრამ ამასთან ერთად, ძალიან ეფექტიანი გზაა თაობიდან თაობაში გარდამავალი ცოდნის გადაცემის, განგრძობითობის გარანტირების და თემური ერთობის (კოჰეზიის) შენარჩუნებისა.

მაინც უნდა ვიკითხოთ: რა კავშირია სხეულის მომწიფების წმინდად ფიზიოლოგიურ ფაქტსა (რომელთაც ეს ცერემონიები აღნიშნავენ) და მათ სოციალურ და რელიგიურ ასპექტს შორის? ჩვენ მაშინვე ვხედავთ, რომ რელიგია განუზომლად მეტს აკეთებს, ვიდრე „ცხოვრების გარდამტეხი მომენტის საკრალიზაციაა.“ ის ბუნებრივ მოვლენას გარდაქმნის სოციალურ ცვლილებად (ტრანზიციად), ფიზიკურ მომწიფებას ამატებს მოწიფულობის ფართო კონცეფციას – ვალდებულებებით, პრივილეგიებით და პასუხისმგებლობებით, და ამ ყველაფერთან ერთად, ტრადიციის ცოდნით და წმინდა საგნებთან და არსებებთან ერთიანობის განცდით. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს რელიგიური რიტუალების კრეატიულ საწყისთან (მას შექმნის ელემენტი ახლავს თან). ეს აქტი არა მარტო პიროვნების ცხოვრების სოციალურ ელემენტს აღნიშნავს, არამედ სულის მეტამორფოზასაც, რომელიც დაკავშირებულია ბიოლოგიურ მოვლენასთან, მაგრამ მის საზღვრებს გარეთ გადის და სხვა მნიშვნელობას იძენს.

ინიციაცია ტიპური რელიგიური აქტია. ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ, რომ ცერემონია და მიზანი ერთია, რომ მიზანი სრულდება მხოლოდ და მხოლოდ აქტის შესრულებით. ამასთან, ვნახულობთ, რომ ასეთ აქტებს საზოგადოებაში განსაკუთრებული ფუნქცია აქვთ – ისინი ამკვიდრებენ მენტალურ ჩვევებს და სოციალურ გამოყენებებს, რომლებიც ფასდაუდებელია ჯგუფისთვის და მისი ცივილიზაციისთვის.

კიდევ ერთი რელიგიური ცერემონია, ქორწინების ტრადიცია ასევე თვითონ არის მიზანი (*end in itself*). ის თვითკმარია, თავდაპირველ ბიოლოგიურ ფაქტს ზებუნებრივად სანქცირებულ კომპონენტს ამატებს: კაცის და ქალის ერთობას, სამუდამო პარტნიორობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე, ეკონომიკურ თანასაქმიანობაზე, გამრავლებაზე და ბავშვების აღზრდაზე. ეს ერთობა, მონოგამიური ქორწინება, ყველა საზოგადოებაში არსებობს – ასე ასწავლის თანამედროვე ანთროპოლოგია, ძველი, ფანტასტიკური ჰიპოთეზების მიუხედავად, „პრომისკუიტეტზე“ და „ჯგუფურ ქორწინებაზე.“ მონოგამიური ქორწინებისთვის ასეთი ღირებულების და სიწმინდის მინიჭებით, რელიგია კიდევ ერთ საჩუქარს ჩუქნის ადამიანთა კულტურას. და ამას მიეყვართ შემდეგ, ადამიანებისთვის უმნიშვნელოვანეს – გამრავლების და გამოკვების – საჭიროებებამდე.

## 2. განგება პრიმიტიულ ცხოვრებაში

გამრავლება და გამოკვება ადამიანის ცხოვრების საზრუნავთან უმნიშვნელოვანესია. მათი მიმართება რელიგიურ რწმენასთან და პრაქტიკასთან ხშირად იყო აღნიშნული და ზოგჯერ მას ზედმეტ ყურადღებასაც კი აქცევდნენ. მაგალითად, ფსიქოანალიტიკური სკოლის უფრო ძველი ავტორები რელიგიის მთავარ წყაროდ სექსს მიიჩნევდნენ. სინამდვილეში, მას მცირე ადგილი უკავია რელიგიაში, რაც გასაოცარია, თუ გავითვალისწინებთ სექსის ძალას და გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე. სასიყვარულო მაგიის და სექსის რამდენიმე სხვა მაგიურ აქტში გამოყენების გარდა (რომლებიც რელიგიის სფეროს არ ეხება), ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ მოსავლის მოპოვების და სხვა საჯარო ცერემონიების დროს ხილული სექსუალური თავისუფლების აქტები, ასევე სატაძრო პროსტიტუცია და, ცივილიზაციის დაბალ დონეებზე, ფალიკური ღვთაებების თაყვანისცემა. მოლოდინების მიუხედავად, ველურებში სექსუალურ კულტს მცირე ადგილი უკავია. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ცერემონიული სექსუალური თავისუფლება არ არის უბრალოდ ტკობა, არამედ ის გამოხატავს პატივისცემას რეპროდუქციის და ნაყოფიერების მიმართ, როგორც ადამიანში, ასევე ბუნებაში. ეს ის ძალებია, რომელზეც საზოგადოების და კულტურის არსებობა მთლიანად არის დამოკიდებული. რელიგია, როგორც მორალური კონტროლის მუდმივი მექანიზმი, რომელიც ცვლის გავლენის ფორმებს, მაგრამ მუდამ ფხიზლადაა, უნდა დააკვირდეს ამ ძალებს. ჯერ მიიზიდოს ისინი თავიანთ სფეროში, შემდეგ დაიმორჩილოს, დაბოლოს, ჩამოაყალიბოს უმანკოების იდეალი და აკურთხოს ასკეზა(ასკეტიზმი).

პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ გამოკვების შესწავლისას არის ის, რომ პრიმიტიული ადამიანისთვის ჭამის აქტი განსაზღვრულია ეტიკეტით, სპეციალური წესებით და აკრძალვებით და ზოგადი ემოციური დაძაბულობით, რომლის აღქმა ჩვენთვის შეუძლებელია. საკვების მაგიის გარდა, რომელიც იმისკენაა მიმართული, რომ ის ხალხს დიდხანს ეყოს და ზოგადად, სიმწირისგან თავის ასარიდებლად (საკვების მოპოვებასთან დაკავშირებული აურაცხელი სხვადასხვა ტიპის მაგიაზე რომ არაფერი არ ვთქვათ), საკვებს გამოკვეთილად რელიგიური ტიპის ცერემონიებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. პირველნაყოფის რიტუალურ შეწირვას, მოსავლის ცერემო-

ნიებს, დიდ სეზონურ ნადიმებს, როცა მოსავალი იკრიფება, იფინება, და, ამა თუ იმ გზით, საკრალიზდება, სოფლის მეურნეობის მიმდევარ ხალხებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მეთევზეები და მონადირეები ზეიმობენ პირველ დანაჭერ თევზს ან ნადირობის სეზონის გახსნას. მათ ცერემონიებში საკვებს რიტუალურად ეპყრობიან, ცხოველებს გულს უღობენ და ეთაყვანებიან. ყოველი ასეთი აქტი გამოხატავს თემის სიხარულს, საკვების დიდი ღირებულების აღიარებას, ხოლო რელიგია აკუთნებს ადამიანის ასეთ მოწიწებას საკუთარი ყოველდღიური პუტის მიმართ. პრიმიტიული ადამიანისთვის, რომელიც ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიც კი მთლიანად თავისუფალი არ არის შიმშილის საშიშროებისგან, საკვების სიუხვე ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ეს ნიშნავს ყოველდღიური სადარდებელის მიღმა გახედვას, ან ცივილიზაციის უფრო შორეულ, სულიერების საკითხებზე დაფიქრებას. თუკი გავითვალისწინებთ, რომ საკვები ადამიანისა და მისი გარემოს მთავარი დამაკავშირებელია, რომ საკვების მიღებით ის გრძნობს ბედისწერის და განგების ძალებს, ჩვენ დავინახავთ პრიმიტიულ რელიგიაში საკვების საკრალიზაციის არა მარტო კულტურულ, არამედ ბიოლოგიურ მნიშვნელობასაც კი. დავინახავთ იმ საწყისებს, რომლებზეც (უფრო მაღალი ტიპის რელიგიებში) ვითარდება ბედისწერაზე დამოკიდებულების, მაღლიერების და მასში დარწმუნებულობის გრძნობა.

ადამიანის საკვების სიჭარბის მიმართ ადრეულ-რელიგიურ მოწიწებას თუ გავითვალისწინებთ, საკვებისადმი რიტუალურად მოპყრობის ორ უმნიშვნელოვან ფორმას – მსხვერპლშეწირვას და ზიარებას – ახალი კუთხით დავინახავთ. პრიმიტიული ეკონომიკური ფსიქოლოგიის ახალი კვლევების ცოდნის საფუძველზე უდავო ხდება, რომ ძღვენის მიცემა და გაცვლა უმნიშვნელოვანესია სოციალური კონტაქტის ყველა ფაზაში (მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია დღეს არაპოპულარულია). ძღვენების გადაცემა პრიმიტიულებს შორის სოციალური ურთიერთობების მუდმივი და ჩვეული თანამგზავრია. ამიტომ სულელებს, რომლებიც ესტუმრებიან სოფელს, რომელიმე წმინდა ადგილას ხშირად გამოცხადებული დემონებსა და ღვთაებებს ამ საჩუქრებიდან თავიანთი წილი ეკუთვნით, ზუსტად ისე, როგორც რომელიმე სტუმარს ან ადამიანს, რომელსაც ესტუმრები. მაგრამ ამ წეს-ჩვეულების საფუძველში ღრმა რელიგიური ელემენტია.

საკვები ველურისთვის სამყაროს კეთილგანწყობის სიმბოლოა. განგება, ბარაქის სახით, მას პირველ, საწყის ნიშანს აძლევს. საკვების მსხვერპლშეწირვისას ის მათ უზიარებს როგორც სულებსა და ღვთაებებს, ასევე განგების იმ კეთილგანწყობილ ძალებს, რომელთაც ის გრძნობს, მაგრამ ვერ აღიქვამს. ამრიგად, პრიმიტიულ საზოგადოებებში, მსხვერპლშეწირვის ფესვები ძღვენის ფსიქოლოგიაში, ანუ კეთილისმოყველი სიუხვის გაზიარებაში უნდა ვეძიოთ.

საკვების საკრამენტალური<sup>12</sup> მიღება მსგავსი მენტალური მდგომარეობის კიდევ ერთი გამოხატულებაა, რომლის ყველაზე ბუნებრივი ფორმაა, როცა საკვების მიღების აქტისას ნარჩუნდება და განახლება სიცოცხლე. ეს რიტუალი ძალიან იშვიათია დაბალი განვითარების ველურებში, ხოლო ზიარების წეს-ჩვეულება, რომელიც გავრცელებულია კულტურის ისეთ დონეზე, როცა საკვების მიღების პრიმიტიული ფსიქოლოგია აღარ მოქმედებს, ამ დროისთვის სხვა სიმბოლურ და მისტიკურ მნიშვნელობას იძენს. შესაძლოა, საკვების საკრამენტალური მიღების ერთადერთი დადასტურებული და კარგად აღწერილი შემთხვევა ავსტრალიის ცენტრალური ნაწილის ტომებში გავრცელებული ე. წ. „ტოტემური წეს-ჩვეულებაა“. ამ შემთხვევას კი, ალბათ, განსაკუთრებული ინტერპრეტაცია ესაჭიროება.

### 3. ადამიანის შარჩევითი ინტერესი ბუნების მიმართ

ამას მივყავართ ტოტემიზმის თემამდე, რომელიც პირველ ნაწილში მოკლედ განვსაზღვრეთ. ტოტემიზმის შესახებ რამდენიმე კითხვა უნდა დავსვათ. პირველ რიგში, რატომ ირჩევს პრიმიტიული ტომი მათი ტოტემებისთვის შეზღუდული რაოდენობის სახეობებიდან, პირველ რიგში, მცენარეებისა და ცხოველებისა, და რა პრინციპით? მეორე, რატომ არის ეს სელექტიური მიდგომა გამოხატული რწმენაში, გარკვეულ ნათესაურ კავშირში, გამრავლების კულტში, ტოტემური ტაბუების აკრძალვებში, და ასევე საკვების რიტუალური მიღების აკრძალვებში, როგორც ავსტრალიური „ტოტემური წეს-ჩვეულების“ შემთხვევაში?

მესამე და საბოლოო, რატომ არის ბუნებრივი სახეობების ასეთი შეზღუდვა პარალელური ტომის დაყოფასთან კლანებზე?

საკვების და მისი სიუხვის მიმართ პრიმიტიული დამოკიდებულების ზემოთ აღწერილ ფსიქოლოგიას და ადამიანის პრაქტიკულ და პრაგმატულ თვალსაწიერს ამ კითხვებზე, პირდაპირ პასუხთან მიგყავართ. ჩვენ ვნახეთ, რომ საკვები პრიმიტიულისა და განგების პირველადი დამაკავშირებელია.

მისმა საჭიროებამ და სიჭარბის მიმართ ლტოლვამ მიიყვანა ადამიანი ეკონომიკურ საქმიანობამდე, შეგროვებამდე, ნადირობამდე და თევზაობამდე. ეს საქმიანობები მრავალფეროვან ემოციებს იწვევს მასში. ამა თუ იმ ტომის ყოველდღიური საკვებისთვის საჭირო ცხოველების და მცენარეების სახეობები მათი ინტერესების ცენტრალური ობიექტებია. პრიმიტიული ადამიანისთვის ბუნება საკუჭნაოა, რომელსაც (განსაკუთრებით, კულტურის ყველაზე დაბალ საფეხურებზე) უნდა მიმართოს იმისთვის, რომ შეაგროვოს, მოამზადოს საკვები და ჭამოს, როდესაც შია. გზა პირველქმნილი ბუნებიდან ველურის კუჭამდე და შემდეგ მის გონებამდე ძალიან მოკლეა. მისთვის სამყარო საერთო ფონია, სადაც შეუძლია გაარჩიოს საჭირო (პირველ რიგში, საკვებად გამოსადეგი) ცხოველების და მცენარეების სახეობები. მათთვის, ვისაც უცხოვრია ჯუნგლში ველურებთან ერთად, მიუღია მონაწილეობა სანადირო ექპედიციებში, მათთან ერთად ლაგუნებში უცურავია ან გაუტარებია მთვარიანი ღამეები ქვიშიან სანაპიროზე თევზის გუნდის ან კუს მოლოდინში, ნაცნობია, თუ როგორი შერჩევითია ველურის ინტერესი, როგორ აკვირდება ის სხვადასხვა ნიშნებს, ჩვევებს, მისთვის ნაცნობი სანაპიროს თავისებურებებს, მაშინ როდესაც სხვა სტიმულების მიმართ საკმაოდ ინდიფერენტულია. ყოველი სახეობა, რომლის მოპოვება მისთვის ჩვეულია, აყალიბებს ბირთვს, რომლის ირგვლივაც კრისტალიზდება ტომის ინტერესები, იმპულსები და ემოციები. ყოველი სახეობის ირგვლივ იქმნება სოციალური სახის გრძნობა, რომელიც ბუნებრივად გამოიხატება ფოლკლორში, რწმენასა და რიტუალში.

ასევე უნდა დავიმახსოვროთ, რომ იმპულსი, რომელიც ბავშვებში იწვევს ფრინველებით აღფრთოვანებას, მძაფრ ინტერესს ცხოველების მიმართ, რეპტილიების შიშს, მსგავსია იმპულსისა, რომელიც ცხოველებს პრიმიტიული ადამიანისთვის პირველ ადგილზე აყენებს. ადამიანს და ცხოველებს შორის ფუნდამენტური მსგავსება არსებობს – ცხოველები მოძრაობენ, გამოსცემენ ხმებს, ამყლავნებენ ემოციებს, აქვთ სხეული და სახე – ხოლო რაღაცა აღმატებული და

ლით ფრინველები დაფრინავენ ჰაერში, თევზები ცურავენ წყალქვეშ, რეპტილიებს აქვთ უნარი, გამოიცვალონ კანი. თუმცა ყოველი მათგანის სიცოცხლე მთავრდება, როგორც ადამიანისა. სწორედ ამიტომ ადამიანსა და ბუნებას შორის შუამავალს, ცხოველს, ხშირად უფრო ძლიერს, მარდს და ემბაკს, მაგრამ იმავდროულად ადამიანის შეუცვლელ ნადავლს, ველურის სამყაროს აღქმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

პრიმიტიული ადამიანი ღრმადაა დაინტერესებული მხეცების გარეგნობითა და თვისებებით. მას უნდა, რომ ჰქონდეს ეს თვისებები მხეცების გასაკონტროლებლად, რათა ისინი საკვებად გამოიყენოს. ზოგჯერ ის მოხიბლულია ან ეშინია მათი. ეს ინტერესები ერთმანეთს აძლიერებს და ავსებს და, საბოლოოდ, ქმნის შერჩევის ეფექტს – მის უმთავრეს საქმიანობაში ადამიანი ირჩევს სახეობების შეზღუდული რაოდენობიდან: პირველ ყოვლისა, ცხოველებს, შემდეგ კი ბოსტნეულს, მაშინ როდესაც უსულო, ან ადამიანის ხელით შექმნილი საგნები უეჭველად უკანა პლანზეა: ეს არის ტოტემიზმის არსთან კავშირის არმქონე საგნების ანალოგიით წარდგენა.

ადამიანის ტოტემური სახეობებით დაინტერესების ბუნება ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს რწმენის და კულტის მოსალოდნელ ტიპს. თუ არსებობს სახიფათო, საჭირო და საკვებად გამოსაყენებელი სახეობების გაკონტროლების ლტოლვა, მან უნდა მიგვიყვანოს ამ სახეობებზე განსაკუთრებული ძალაუფლების რწმენამდე. მათთან მსგავსებამდე, საზიარო არსის შესაძლებლობამდე ადამიანსა და მხეცსა თუ მცენარეს შორის. ასეთი რწმენა გულისხმობს, ერთი მხრივ, განსაკუთრებულ შეზღუდვებს და მოწიწებას (ყველაზე აშკარა შეიძლება იყოს მოკვლის და საკვებად მიღების აკრძალვა), მეორე მხრივ, ის ანიჭებს ადამიანს ამ სახეობების რიტუალური გაკონტროლების – სახეობის სიჭარბის, გაზრდის თუ სიცოცხლისუნარიანობის ამაღლების ზებუნებრივ ძალას.

ამ რიტუალს სიუხვის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი მაგიური ბუნების აქტებამდე მივყავართ. როგორც ახლა დავინახავთ, მაგიას აქვს ტენდენცია, მის ყველა გამოხატულებაში გახდეს სპეციალიზებული, ექსკლუზიური, დაყოფილი და მემკვიდრეობითი რომელიმე ოჯახსა თუ კლანში. ტოტემიზმში, ყოველი სახეობის მაგიური გამრავლება, ბუნებრივად, სპეციალისტის და მისი ოჯახის მოვალეობა და პრივილეგიაა. ოჯახები, დროთა განმავლობაში, გარდაიქმნება კლანე-

ბად. მათ ჰყავთ კლანის მეთაური, რომელიც შეთავსებით მისი ტოტემის მთავარი გრძნეული/მაგი/ჯადოქარია. ტოტემიზმი, მის ელემენტარულ ფორმებში (როგორც მას ცენტრალურ ავსტრალიაში შეიძლება დავაკვირდეთ), მაგიური კოოპერაციის სისტემაა, პრაქტიკული კულტების გარკვეული რაოდენობა, ყველა მათგანს განსხვავებული სოციალური საფუძველი აქვს, მაგრამ ერთი და იგივე მიზანი – ტომის სიუხვით უზრუნველყოფა.

ამრიგად, ტოტემიზმის სოციოლოგიური ასპექტი, შეიძლება ზოგადი, პრიმიტიული მაგიის სოციოლოგიის პრინციპებით ავხსნათ. ტოტემური კლანების არსებობა და მათი კავშირი კულტთან და რწმენასთან სპეციალიზებული მაგიის და მაგიური რიტუალის ერთ ოჯახში მემკვიდრეობით გარდამავლობის მხოლოდ ერთი მაგალითია. ეს ერთგვარად მცირე ახსნა ცდილობს აჩვენოს, რომ სოციალური ორგანიზაციისას რწმენა, კულტი და ტოტემიზმი არა შემთხვევითი ნაყოფია, რალაც კონკრეტული ინციდენტის ან მიმდევრობის შემთხვევითი პროდუქტი, არამედ ბუნებრივი პირობების ბუნებრივი შედეგი.

ამგვარად, ჩვენს შეკითხვებს პასუხი გაეცა: შეზღუდული რაოდენობის ცხოველებისა და მცენარეების მიმართ ადამიანის შერჩევითი ინტერესი და ამ ინტერესის რიტუალური გამოხატვა და სოციალური შეპირობება პრიმიტიული არსებობის ბუნებრივი შედეგია, ველურის ბუნებრივი ობიექტების და ძირითადი საქმიანობების მიმართ სპონტანური დამოკიდებულების პროდუქტი. თვითგადარჩენის თვალსაზრისით აუცილებელია, რომ პრიმიტიული ადამიანის ინტერესი არ შემცირდეს პრაქტიკულად შეუცვლელი სახეობების მიმართ. ამ სახეობების გაკონტროლების უნარის რწმენა აძლევს მას ძალას და გამძლეობას მის საქმიანობაში. ასევე სტიმულს, დააკვირდეს და მეტი ცოდნა შეიძინოს ცხოველების და მცენარეების ჩვევების და ბუნების შესახებ. ტოტემიზმი ამ შემთხვევაში რელიგიის ბოძებული საჩუქარია პრიმიტიული ადამიანების დასახმარებლად – გარემომცველი სამყაროს უკეთ გამოსაყენებლად, „არსებობისთვის ბრძოლაში.“ იმაგდროულად, ტოტემიზმი ავითარებს მოწიწებას იმ ცხოველებისა და მცენარეებისადმი, რომელზეც დამოკიდებულია, რომლებისაც, ერთგვარად, მადლობელია, მაგრამ რომელთა განადგურება აუცილებლობაა მისთვის. ამ ყველაფრის სათავე კი არის ადამიანის რწმენა, რომ ენათესავება ბუნების იმ ძალებს, რომლებზეც ის დამოკიდებულია.

ლია. ამრიგად, ტოტემიზმში, რწმენების, პრაქტიკების და სოციალური წესრიგის, ერთი შეხედვით, ბავშვურ სისტემაში ჩვენ მორალურ ღირებულებას და ბიოლოგიურ მნიშვნელობას ვპოულობთ.

#### 4. სიკვდილი და ჯგუფის რეინტეგრაცია

რელიგიის წყაროთა შორის უმნიშვნელოვანესია სიკვდილი – სიცოცხლის უმთავრესი და უკანასკნელი საკვანძო მომენტი/კრიზისი. სიკვდილი იმქვეყნიური სამყაროს კარიბჭეა, და არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით. ადრეული რელიგიის თეორიების უმრავლესობის მიხედვით, სწორედ სიკვდილიდან მოდის რელიგიური შთაგონების მთლიანი თუ არა, უმთავრესი ნაწილი მაინც. საზოგადოდ, ეს ორთოდოქსული თვალსაზრისი მართებულია. ადამიანმა სიკვდილის ჩრდილქვეშ უნდა იცხოვროს, და მას, ვინც ებლაუტება სიცოცხლეს და მისი სისრულით ტკება, ცხოვრების დასასრულის გაგონებისას გული უნდა უსკდებოდეს.

ის, ვინც სიკვდილის პირასაა, მარადიული სიცოცხლის დაპირებისკენ იხედება. სიკვდილი და მისი უარყოფა – უკვდავება – ყოველთვის ადამიანის აზროვნების ყველაზე მწვავე თემა იყო (და არის). ადამიანის ცხოვრების ემოციური რეაქციების უაღრესი სირთულე ყოველთვის აირეკლება მის დამოკიდებულებაში სიკვდილთან, იმ განსხვავებით, რომ ცხოვრებაში ეს ემოციები დროის გრძელ პერიოდზეა გაშლილი და გამოცდილებების და მოვლენების დიდ რაოდენობაში ვლინდება, ხოლო სიკვდილისას, ის შეკუმშულია ერთ კრიზისში, რომელიც მძვინვარე და რთულ რელიგიურ აფეთქებაში გამოიხატება.

ყველაზე პრიმიტიულ საზოგადოებებშიც კი, სიკვდილისადმი დამოკიდებულება უფრო რთულია და, დავამატებდი, უფრო მსგავსი ჩვენისა, ვიდრე ვარაუდობენ ხოლმე. ანთროპოლოგები ხშირად ამბობენ, რომ ცოცხლებს მკვდრების მიმართ დამოკიდებულებაში მთავარი შიშია – ერთი მხრივ, გვამის, მეორე მხრივ, გარდაცვლილის სულისა. ეს ტყუპი დამოკიდებულება რელიგიური რწმენების და პრაქტიკის ბირთვად მიიჩნია ისეთმა ცნობილმა ავტორიტეტმაც კი, როგორიც ვილჰელმ ვუნდტია. მიუხედავად ამისა, ეს ვარაუდი მხოლოდ ნახევრად არის სიმართლე, ესე იგი, არ არის სრული სიმართლე. ემოციები ძალიან რთულია და წინააღმდეგობრივიც კი. დო-

მინანტური ელემენტები – გარდაცვლილის სიყვარული და გვამის მიმართ სიძულვილი, სათუთი გრძნობები პიროვნების მიმართ, რომლის სულიც ჯერ კიდევ ტრიალებს მისი სხეულის ირგვლივ და აუტანელი შიში იმ საზარელი რამის მიმართ, რაც მისგან დარჩა, – ეს ორი ელემენტი არეულია და ერთმანეთზე ზემოქმედებს. ეს აისახება სპონტანურ ქცევაში და რიტუალის ორგანიზაციაში სიკვდილისას. გვამის მოვლისას, მისი თავიდან მოშორების მეთოდში, დასაფლავების შემდგომი და გარდაცვლილის ხსენების ცერემონიებში, უახლოესი ნათესავები, შვილის დამტირებელი დედა, ქმრის ქვრივი, მშობლის შვილი ყოველთვის გამოხატავენ შიშსა და ძრწოლას, რომელიც შეჩერებულია ღვთის სიყვარულთან. მაგრამ ნეგატიური ელემენტები არასოდეს ჩანს ან დომინირებს მარტო.

დამკრძალავი პროცედურები მთელ მსოფლიოში ერთმანეთის მსგავსია. სიკვდილის მოახლოვებისას უახლოესი ნათესავები, ზოგჯერ კი მთელი თემი გროვდება მომაკვდავი ადამიანის ირგვლივ და სიკვდილი – ყველაზე პრივატული რამ, რაც ადამიანს აქვს – საჯარო, სათემო მოვლენად იქცევა.

როგორც წესი, თავიდანვე არსებობს გარკვეული დიფერენცია – ზოგი ნათესავი სხეულთან ახლოს არის და მას უყურებს, სხვანი ემზადებიან აურიდებელი დასასრულისთვის და შედეგებისთვის, კიდევ ერთი ჯგუფი კი გარკვეულ რელიგიურ აქტებს ატარებს წმინდა ადგილას. ამგვარად, მელანეზიის ზოგიერთ ნაწილში, სისხლით ნათესავებმა უნდა დაიცვან გარკვეული დისტანცია, ხოლო დაკრძალვა (ქორწინებით) შეძენილმა ნათესავებმა ჩაატარონ, მაშინ, როდესაც ავსტრალიის ზოგიერთ ტომში ყველაფერი პირიქითაა.

სიკვდილის დადგომისთანავე, სხეული განიბანება, იწმინდება და ირთვება, ზოგჯერ ივსება სხეულის ღრუები, იკვრება ერთად ხელები და ფეხები. შემდეგ, როცა მას ყველას დასანახად გამოიტანენ, იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზა, გლოვა. ის, ვინც სიკვდილის და სიკვდილის შემდგომი პროცესის მომსწრე ყოფილა როგორც ველურებში, ასევე სხვა განუვითარებელ ხალხებში, ალბათ, გაცხებული დარჩება პროცესის ფუნდამენტური მსგავსებით. ყოველთვის შეინიშნება სევდის მეტ-ნაკლებად სტანდარტული, დრამატული აფეთქება, გოდება, რომელსაც ხშირად ახლავს საკუთარი სხეულისთვის ზიანის მიყენება, თმის დაპუტვა. ეს ყოველთვის საჯაროდ მიმდინარეობს და თან ახლავს გლოვის გარეგანი ნიშნები – თეთრი ან შავი ნახატებით

სხეულზე, გადაპარსული ან გაჩეჩილი თმა, უცნაური ან დაგლეჯილი ტანსაცმელი.

საკუთრივ გლოვა სხეულის ირგვლივ მიმდინარეობს. ის ძრწოლის და შიშის ობიექტისგან როდია – როგორც წესი, ის ღვთისმოშიშე ყურადღების ცენტრია. ხშირია მოფერების და პატივისცემის დადასტურების სხვა რიტუალური ფორმები. სხეული ხშირად დამჯარი ადამიანების მუხლებზეა მოთავსებული, მას ეხუტებიან და ეალერსებიან. იმავდროულად, ეს აქტები აღიქმება, როგორც საშიში და უსიამოვნო და მისი შესრულება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. გარკვეული დროის შემდეგ სხეული თავიდან უნდა მოიშორო. მოშორების ჩვეულებრივი მეთოდებია ღია ან დახურულ საფლავში დამარხვა. გამოქვაბულში, შემადღებულ ადგილას, ფუტურო ხეში ან უდაბურ ადგილას, მიწაზე მოთავსება, დაწვა ან კანოეში ჩადება და დინებისთვის გატანება.

ამას მიყვარათ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან, ორმაგად წინააღმდეგობრივ მომენტამდე. ერთი მხრივ, არის სხეულის ან მისი გარკვეული ნაწილების შენარჩუნების ტენდენცია, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მოშორების, თვალთახედვის არედან განრიდების ან სრულად მოსპობის ლტოლვა. ამ ორმაგი ტენდენციის ორი ექსტრემალური გამოხატულებაა მუმიფიკაცია და სხეულის დაწვა (კრემაცია). შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ მუმიფიკაცია, დაწვა ან რაიმე სხვა შუალედური ფორმა მხოლოდ შემთხვევითია ან რწმენით განსაზღვრული და ის რაიმე კულტურის ისტორიული მახასიათებელია, ან ფორმა, რომელიც მხოლოდ კონტაქტის და გავრცელების გზით გახდა უნივერსალური.

რადგანაც სწორედ ამ წეს-ჩვეულებებში ვლინდება გადარჩენილი ნათესავის, მეგობრის ან საყვარელი ადამიანის გონების ფუნდამენტური დამოკიდებულება – სწრაფვა ყოველივე იმის მიმართ, რაც მკვდარი ადამიანისგან დარჩა და ზიზღი თუ შიში სიკვდილის მიერ მოვლენილი საზარელი ტრანსფორმაციის მიმართ.

ამ ორმაგი დამოკიდებულების საინტერესო, უკიდურესი და საზარელი გამოხატულებაა სარკოკანიბალიზმი, გარდაცვლილის სხეულის შეჭმა მისდამი პატივისცემის გამოხატვის მიზნით. ეს პროცესი მიმდინარეობს საშინელი უსიამოვნების და ძრწოლის ფონზე და მას, როგორც წესი, თან ახლავს პირლებინების ძლიერი შეტევა. ამასთან, იგრძნობა, რომ ეს არის უმაღლესი მოწიწების, სიყვარულის

და ერთგულების აქტი. ის მიიჩნევა წმინდა მოვალეობად ახალი გენების მელანეზიელებში, სადაც მე მას დავაკვირდი და შევისწავლე. ამ რიტუალს საიდუმლოდ დღემდე ატარებენ, მიუხედავად იმისა, რომ თეთრი ხელისუფლება მას მკაცრად სჯის. სხეულის გარდაცვილილის ცხიმით გაპოხვა, რაც ავსტრალიაში და პაპუაშია<sup>13</sup> გავრცელებული ალბათ ამ წესის ერთ-ერთი ვარიანტია.

ყველა ასეთ წეს-ჩვეულებაში კავშირის შენარჩუნების ლტოლვა და ამ კავშირის გაწყვეტის პარალელური ტენდენცია შეინიშნება. ასე, სამეგლოვიარო ცერემონიები მიჩნეულია უსუფთაოდ და ბინძურად, გვამთან კონტაქტი - წამბილწავად და საშიშად. მონაწილეებმა უნდა დაიბანონ, განწმინდონ სხეული, მოიშორონ კონტაქტის ყველა ნაკვალევი და ჩაატარონ რიტუალური განწმენდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, სამეგლოვიარო რიტუალი აიძულებს ადამიანს, გადააბიჯოს უსიამოვნებას, დაიპყროს საკუთარი შიშები და ღვთისმოსაობას და ერთგულებას დაუთმოს ადგილი - ასევე მომავალი ცხოვრების და სულის გადარჩენის რწმენას.

აქ კი ჩვენ ვეხებით რელიგიური კულტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. წინარე ანალიზში ყურადღება გავამახვილე პირდაპირ ემოციურ ძალებზე, რომლების წარმოიშვება სიკვდილთან და გვამთან კონტაქტისას, რადგან ისინი ყველაზე მეტად განსაზღვრავენ ირგვლივ მყოფების ქცევას. თუმცა ამ ემოციებთან დაკავშირებულია და მათგან იწყება სულის და წასულის მიერ ახალი ცხოვრების დაწყების იდეა. აქ კი ვბრუნდებით ანიმიზმის პრობლემასთან, რომლის განხილვა პრიმიტიული რელიგიური ფაქტების შესწავლისას დავიწყეთ. რა არის სულის არსი და რა არის ამ რწმენის ფსიქოლოგიური საწყისი?

ველურს ძალიან ეშინია სიკვდილის, რაც, სავარაუდოდ, ადამიანებისთვის და ცხოველებისთვის საერთო, რაღაც ღრმად გამჯდარი ინსტინქტია. მას არ უნდა აღიქვას ის, როგორც დასასრული, თვალს ვერ უსწორებს სრული შეწყვეტის, დამთავრების, ანიჰილაციის იდეას. შემდეგ, როგორც ტაილორმა აღმოაჩინა და აღწერა, მსგავსი გამოცდილებების საფუძველზე ჩნდება სულის და სულიერი (სპირიტუალური, იმპერსონალური) არსებობის იდეა. ადამიანი ეჭიდება მას და აღწევს სულის უწყვეტობის და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის სახეგეგმო რწმენას. თუმცა, ეს რწმენა უპრობლემო არ არის. მისი საპირწონეა იმედის და შიშის ორმაგი თამაში, რომელიც ყოველთვის

იწყება სიკვდილის მოახლოებისას. იმედის სანუგეშო ხმის, უკვდავების ინტენსიური ლტოლვის და დასასრულთან პირისპირ დგომის სირთულეს (საკუთარი თავის შემთხვევაში, თითქმის, შეუძლებლობას), მეორე მხრიდან მძლავრი და საშინელი წინასწარმეტყველებები ახლავს. ფიზიკური შეგრძნებების ჩვენებები: გვამის საზარელი გახრწნა, პიროვნების თვალსაჩინო გაქრობა. შიშის და ძრწოლის მომტანი ეს, როგორც ჩანს, ბუნებრივი ინსტინქტები ადამიანს კულტურის ყველა საფეხურზე ავის მომასწავებელი სრული გაქრობის, ანიჰილაციის იდეით აშინებდა. სწორედ აქ, ემოციური ძალების თამაშში, სიცოცხლის და სიკვდილის უზენაეს დილემაში, თავს იჩენს რელიგია – რომელიც ირჩევს პოზიტიურ რწმენას, სანუგეშო, კულტურულად ღირებულ რწმენას უკვდავებისა, იმის რომ სული დამოუკიდებელია სხეულისგან და რომ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. სიკვდილის ირგვლივ გამართული მრავალი ცერემონიისას, წასულის ხსენებისას და მასთან ზიარებისას, წინაპრების სულების თაყვანისცემისას, რელიგია ფორმას და შინაარსს სძენს ხსნის რწმენას.

მამასადამე, უკვდავების რწმენა რელიგიის მიერ სტანდარტიზებული ღრმა ემოციური შთაგონების რეზულტატია და არა პრიმიტიული ფილოსოფიური დოქტრინა. ადამიანის ღრმა დარწმუნებულობა სიცოცხლის გაგრძელებაში რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი საჩუქარია, რომელიც განსჯის და ირჩევს უკეთესს ორი ალტერნატივიდან – ცხოვრების გაგრძელების იმედიდან და განადგურების შიშიდან. სულების რწმენაც უკვდავების რწმენის შედეგია. სულები იქმნება ჭარბ ლტოლვაში სიცოცხლის მიმართ და არა რაღაცა ჩრდილოვანი მასისგან, რომელიც ველურის სიზმრებსა და ილუზიებში ბუდობს. რელიგია იცავს ადამიანს, რომ ის არ დანებდეს სიკვდილსა და განადგურებას და ამისთვის სიზმრებს, ჩვენებებს თუ გამოცხადებებს იყენებს. ანიმიზმის სათავე სწორედ ადამიანის ბუნების ღრმად ემოციურ ფაქტში, სიცოცხლისადმი ლტოლვაშია.

ამგვარად, გლოვის წეს-ჩვეულებები, რიტუალური ქცევა უშუალოდ სიკვდილის შემდეგ შეიძლება მივიღოთ, როგორც რელიგიური აქტის ნიმუში, ხოლო უკვდავების, სიცოცხლის უწყვეტობის და იმქვეყნიური სამყაროს მრწამსი შეიძლება რწმენის აქტის პროტოტიპად განვიხილოთ. აქ, როგორც აქამდე განხილულ რელიგიურ ცერემონიებში, შეიძლება დავაკვირდეთ თვითემარ აქტებს, რომელთა

მიზანი მათი შესრულებისთანავე სრულდება. რიტუალური სასოწარკვეთა, დასაფლავება, გლოვის აქტები გამოხატავენ დაობლებულის ემოციებს და მთელი ჯგუფის დანაკლისს. ისინი ადასტურებენ და დუბლირებენ გარემომცველთა ბუნებრივ გრძნობებს. ქმნიან სოციალურ მოვლენას ბუნებრივი ფაქტისგან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასოწარკვეთილი გოდებით, გვამისადმი განსაკუთრებული მოპყრობით და მისი თავიდან მოშორებით არ მიიღწევა არავითარი კონკრეტული, თუნდაც ფარული მიზანი, ისინი პრიმიტიული კულტურისთვის ღირებულია და მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს.

როგორია ეს ფუნქცია? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ინიციაციის ცერემონიები მათ მასაკრალიზებელ ტრადიციას ასრულებს. საკვები კულტებს, ზიარებას და მსხვერპლშეწირვას ადამიანი განგებასთან ერთობამდე მიჰყავს, ტოტემიზმი სტანდარტულად აქცევს ადამიანის პრაქტიკულ, საჭიროებებით განპირობებულ მიდგომას, მის შერჩევით ინტერესს გარემომცველ სამყაროში. თუ აქ აღნიშნული თვალსაზრისები რელიგიის ბიოლოგიური ფუნქციის შესახებ მართებულია, მაშინ უნდა არსებობდეს რაიმე მსგავსი როლი დასაფლავების რიტუალისთვისაც. კაცის ან ქალის სიკვდილი პრიმიტიულ, ადამიანების მცირე რაოდენობისგან შემდგარი ჯგუფისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. უახლოესი ნათესავები და მეგობრები მათი ემოციური განცდების მთელი სიღრმით არიან შეძრწუნებულნი ვისამე სიკვდილით. როდესაც მცირე ერთობა (თემი) კარგავს წევრს, განსაკუთრებით, თუ ის მნიშვნელოვანია, ის ხეიბრდება. ეს მოვლენა ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობას არღვევს და საზოგადოების მორალურ საძირკველს არყევს. არსებობს გარკვეული დესტრუქციული ტენდენციები – დაუოკებელი შიში და ძრწოლა, გვამის მიტოვება, სოფლიდან გაქცევა, გარდაცვლილის ნივთების განადგურება – და თუ მათ არ დაუპირისპირდები, ისინი ძალიან სახიფათოა და ჯგუფის დაქუცმაცება თუ პრიმიტიული კულტურის მატერიალური საძირკველის მოშლა შეიძლება გამოიწვიონ. მაშასადამე, პრიმიტიულ საზოგადოებაში სიკვდილი ბევრად მეტია, ვიდრე მისი ერთ-ერთი წევრის გარეშე დარჩენა. თვითშენარჩუნების ინსტინქტის ღრმად ჩაბუდებული ძალების ერთი ნაწილის გამოთავისუფლებისას, ის საფრთხეს უქმნის ჯგუფის ერთობას და სოლიდარობას, რაზეც დამოკიდებულია საზოგადოების ორგანიზაცია, მისი ტრადიციების და, საბოლოოდ, მთელი კულტურის არსებობა. რადგან, თუ პრიმიტიული ადამიანი

დანებდებოდა სიკვდილის მიმართ რეაქციისას გაჩენილ დამშლელ ინსტინქტებს, შეუძლებელი გახდებოდა ტრადიციის უწყვეტობა და მატერიალური ცივილიზაციის არსებობა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ რელიგია, იმპულსების მთელი წყების საკრალიზაციის და სტანდარტიზაციის გზით ადამიანს მენტალური ერთიანობის განცდას უქმნის. ზუსტად იმავე ფუნქციას ასრულებს ის მთელ ჯგუფთან მიმართებაში. სიკვდილის ცერემონიალით, ირგვლივ მყოფების სხეულთან ერთობით და ყურადღებით სიკვდილის ადგილისადმი, სულის არსებობის რწმენებით, მისი ხელსაყრელ გავლენებით თუ ბოროტი ზრახვებით, მოსახსენებელი მსხვერპლშესაწირი ცერემონიების სერიების ჩატარების ვალდებულებით – ამ ყველაფრით რელიგია ეწინააღმდეგება შიშის, თავზარის და დემორალიზაციის ცენტრიდანულ ძალებს და ჯგუფის შერყეული სოლიდარობის და მხნეობის შენარჩუნების და აღდგენის ყველაზე მძლავრი საშუალებაა.

ერთი სიტყვით, რელიგია ტრადიციის და კულტურის გამარჯვების გარანტია ინსტინქტის ნეგატიურ გამოვლინებაზე.

სიკვდილის წეს-ჩვეულებების მიმოხილვით ჩვენ ვასრულებთ რელიგიური აქტების მთავარი ტიპების მიმოხილვას. ჩვენი მონათხრობის მთავარი ხაზი ცხოვრებისეულ კრიზისებს მიუყვება, მაგრამ ამასთან ჩვენ გვერდით მოვლენებს – ტოტემიზმს, საკვების და გამრავლების კულტებს, მსხვერპლშეწირვას და ზიარებას, წინაპრების მოგონების კულტებს და სულების კულტებსაც შევხვებით. ერთ-ერთ ასეთ ტიპს, თემური ან ტომური ბუნების სეზონურ ნადიმებს და ცერემონიებს ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ. ახლა სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ.

### პრიმიტიული კულტების საჯარო და თემური ხასიათი

საკულტო ცერემონიების სადღესასწაულო სახე და საჯაროობა რელიგიის თვალნათლივ შესამჩნევი, ზოგადი თვისებაა. წმინდა აქტების უმრავლესობა ჯგუფურად ტარდება. მორწმუნეთა საზეიმო კონკლავი, რელიგიური ცერემონიის პროტოტიპია, რომელიც გაერთიანებულია ლოცვით, მსხვერპლშეწირვით, ვედრებით თუ სამადლობლო წირვით. რელიგიას სჭირდება თემი, როგორც მთლიანი, რათა მისი წევრები საერთო წმინდა ნივთებს და ღვთაებებს ეთაყვანონ, ხოლო

საზოგადოებას სჭირდება რელიგია მორალური კანონების და წესრიგის შესანარჩუნებლად. პრიმიტიულ საზოგადოებებში ღვთისმსახურების საჯარო ხასიათი, რელიგიური მრწამსის და სოციალური ორგანიზაციის ურთიერთმხარდაჭერა, როგორც მინიმუმ, ისევე აშკარადაა გამოხატული, როგორც უფრო მაღალი განვითარების კულტურებში. საკმარისია, გადავხედოთ აქამდე აღწერილ რელიგიურ ფენომენებს – დაბადების ცერემონიებს, ინიციაციის წეს-ჩვეულებებს, მკვდრის გლოვის წესს, დასაფლავებას და დატირების, გახსენების აქტებს, მსხვერპლშეწირვას და ტოტემურ რიტუალს – ყოველი მათგანი საჯარო და კოლექტიურია, ხშირად გავლენას ახდენს მთელ თემზე და მთელ მათ იმ დროისთვის არსებულ ენერგიას შთანთქავს.

საჯარო ხასიათი და დიდი რაოდენობით ხალხის შეკრება განსაკუთრებით გამოხატულია ყოველწლიური ან პერიოდული ნადიმების დროს, რომლებიც ტარდება უხვმოსავლიანობის, მოსავლის აღების, ნადირობის თუ თევზაობის სეზონის პიკის დროს. ასეთი შეკრებებისას, ადამიანები გამოხატავენ სიხარულს, უხარიათ მოსავლის ან ნადავლის სიჭარბე, ხვდებიან მეგობრებს და ნათესავებს, შეიგრძნობენ თემის ერთობას. ყველაფერი ეს ბედნიერი და ჰარმონიული განწყობის ფონზე ხდება. ვარაუდობენ, რომ ასეთ დროს წასულები – წინაპრების სულები, მკვდარი ნათესავები – ბრუნდებიან და იღებენ მსხვერპლშეწირვას, ირევიან დანარჩენ საზოგადოებასთან კულტურ, საღალბო გარემოში. თუ მკვდრების მობრუნებას არ ელიან, მათ მოიგონებენ, როგორც წესი, წინაპართა კულტის გარკვეული ფორმით. ასეთი, საკმაოდ ხშირი დღესასწაულები მოგროვებული მოსავლის და ვეგეტაციის სხვა კულტების განსახიერებაა. სხვა რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს ამ დღესასწაულებს, ნათელია, რომ რელიგია ასეთი სეზონური, პერიოდული ნადიმების არსებობას მოითხოვს. დიდი რაოდენობის ხალხის თავმოყრით, სიხარულით და სადღესასწაულო ჩაცმულობით, დიდი რაოდენობის საჭმლით, წესების და ტაბუების შესუსტებით. თემის წევრები ერთად გროვდებიან და ჩვეულებრივ შეზღუდვების, განსაკუთრებით, საყოველთაოდ მიღებული სოციალური თავმეკავების და სექსუალური კავშირის შეზღუდვის გარეშე ურთიერთობენ. ტომის წევრებს უსრულდებათ სურვილები და მათ აქეზებენ მეტის გასაკეთებლად, ჩნდება სიამტკებოლობაში საერთო მონაწილეობის განცდა. ყველაფერი კარგის ყველასთვის ჩვენება, ხელგამილილობის უნივერსალური განწყობის გაზიარება. მატე-

რიალური საქონლის სიუხვის მოთხოვნილების გარდა, არსებობს ადამიანთა მასის, ჯგუფის, ტომის, როგორც მთელი სხეულის არსებობის მოთხოვნილება.

პერიოდული სადღესასწაულო შეკრებების გარდა, უნდა გამოვყოთ რამდენიმე სხვა მოვლენის სოციალური ელემენტი: თითქმის ყველა რელიგიური ცერემონიის თემური სახე, მორალური წესების სოციალური უნივერსალურობა, ცოდვის „გადამდებობა“, მოლაპარაკების და ტრადიციის აშკარა მნიშვნელობა პრიმიტიულ რელიგიასა და მორალში, და, ყველაზე მეტად, მთელი ტომის, როგორც სოციალური ერთეულის იდენტიფიკაცია მის რელიგიასთან, ანუ რელიგიური სექტარიანიზმის, განსხვავებული აზრის თუ ჰეტეროდოქსიის არარსებობა პრიმიტიულ რწმენაში.

## 1. საზოგადოება, როგორც ღმერთის განსახიერება

ყველა ჩამოთვლილი ფაქტი, განსაკუთრებით უკანასკნელი, ადასტურებს, რომ რელიგია მთელი ტომის საქმეა. შეგვიძლია გავიხსენოთ რობერტსონ სმიტის ცნობილი გამონათქვამი, რომ პრიმიტიული რელიგია თემის, ერთობის, და არა კონკრეტული ადამიანის საქმეა. ეს რამდენადმე გაზვიადებული თვალსაზრისი საკმაოდ დიდ სიმართლეს შეიცავს, მაგრამ მეცნიერებაში, იმის აღმოჩენა, თუ სად არის სიმართლე და მისი გამოაშკარავება და დღის სინათლეზე გამოტანა, სხვადასხვა რამეა. რობერტსონ სმიტმა, ამ მხრივ, მხოლოდ პრობლემა დასახა, მაგრამ მეტი არაფერი გაუკეთებია. კითხვა კი შემდეგშია: რატომ ასრულებს პრიმიტიული ადამიანი რელიგიურ ცერემონიებს საჯაროდ? რა ურთიერთობაა საზოგადოებასა და რელიგიის მიერ გამოაშკარავებულ და თაყვანისცემულ სიმართლეს შორის? ამ კითხვებზე ზოგი თანამედროვე ანთროპოლოგი ცხად, ერთი შეხედვით, ამომწურავ და ძალიან მარტივ პასუხს სცემს. პროფესორი დიურკემი და მისი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ რელიგია სოციალურია, რადგან მისი ყველა ჭეშმარიტება, ღმერთი ან ღმერთები, და ის მასალა, რისგანაც რელიგიური საგნები კეთდება, მხოლოდ და მხოლოდ გაღმერთებული საზოგადოებაა. ერთი შეხედვით, ეს თეორია კარგად ხსნის კულტის საჯარო ხასიათს, შთაგონებას და ნუგეშს, რომელსაც ადამიანი, სოციალური ცხოველი, რელიგიური შეკრებებიდან იღებს, რელიგიის (განსაკუთრებით მის ადრეულ სტადიაზე) გამოჩენილ

შეუწყნარებლობას და სხვა მსგავს ფაქტებს. ის ასევე ჩვენს თანამედროვე დემოკრატიულ წინასწარგანწყობებს აკმაყოფილებს – სოციალური მეცნიერებას აქვს ტენდენცია, ყველაფერი „კოლექტიური“, და არა „ინდივიდუალური“ ძალების მოქმედებით ახსნას. ეს თეორია, რომელიც *vox populi vox Dei*<sup>14</sup>-ს ჯანსაღ, სამეცნიერო სიმართლედ წარმოაჩენს, უეჭველად ესადაგება თანამედროვე ადამიანს.

თუმცა რეფლექსიისას ჩნდება ძალიან სერიოზული კრიტიკული შენიშვნები. ყველა, ვისაც ღრმა რელიგიური გრძნობები ჰქონია, დაადასტურებს, რომ ყველაზე ძლიერი რელიგიური მომენტები მარტოობაში, სამყაროსგან განცალკევების, კონცენტრაციის და მენტალური გამოყოფის დროს ჩნდება და არა ხალხის მასებში გარევისას. შეიძლება, რომ პრიმიტიული რელიგია სრულიად მოკლებული იყოს განმარტოებით მოტანილ შთაგონებას?

მსგავსი კითხვები ველურებთან უშუალო გამოცდილების, ან ლიტერატურის გულმოდგინედ შემსწავლელ ადამიანს არაფრით არ გაუჩნდება. ფაქტები, როგორებიცაა ახალბედების განმარტოება ინიციაციისას, მათი ინდივიდუალური, პირადი ბრძოლები, სულებთან და ღვთაებებთან ერთობის შეგრძნება და ძალა და სხვ. გვაჩვენებს, რომ პრიმიტიული რელიგია ხშირად განმარტოებაში შეიგრძნობა. როგორც უკვე ვნახეთ, უკვდავების რწმენა ვერ აიხსნება ინდივიდუალური აზრთა წყობის შესწავლის გარეშე, რომელიც შიშით და სევდით ელოდება სიკვდილს. ვერ ვიტყვით, რომ პრიმიტიული რელიგია წინასწარმეტყველების, ნათელმხილველების, რელიგიის ინტერპრეტატორების ნაკლებობას განიცდის. ეს ფაქტები, მართალია, ვერ ამტკიცებენ, რომ რელიგია მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურია, მაგრამ ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მტკიცებას, რომ რელიგია მხოლოდ და მხოლოდ, მარტივად და წმინდად *სოციალური* ფენომენია.

მორალის არსი, კანონების და არანორმატიული სამართლისგან განსხვავებით, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ნორმების დაცვა სინდისის საქმეა. ველური არ იცავს ტაბუს სოციალური სასჯელის ან საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე. ის თავს იკავებს ტაბუს დარღვევისგან, რადგან ემინია ზებუნებრივი ბოროტი არსებების, ღვთაებების თუ სხვა წმინდა ძალების, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ აკრძალვაში პირადი პასუხისმგებლობა და სინდისია, რომელიც უკრძალავს მას ამა თუ იმ ქმედების ჩადენას. მასში პირდაპირ ზიზღს

იწვევს აკრძალული ტოტემური ცხოველი, სისხლთაღრევა (ინცესტი) ან სხვა აკრძალული სექსუალური ურთიერთობა, ტაბუდადებული ქმედება ან საკვები. მე მინახავს და შემიგრძენია, რომ ველურები ისეთივე შიშით ერიდებიან აკრძალულ საქციელს, როგორც რელიგიური ქრისტიანი ერიდება ისეთი საქციელის ჩადენას, რაც მას ცოდვად მიაჩნია. ასეთი გონებრივი დამოკიდებულება უეჭველად ნაწილობრივ საზოგადოების გავლენის ქვეშ იქმნება, იმდენად, რამდენადაც რომელიმე კონკრეტული აკრძალვა ასეთად მიჩნეულია ტრადიციის მიერ. მაგრამ ეს აკრძალვა მუშავდება ინდივიდუალურ გონებაში. შესაბამისად, ის არც მხოლოდ სოციალურია, არც ინდივიდუალურია, არამედ ორივეს ნარევია.

პროფესორი დიურკემი, პრიმიტიული ტომური დღესასწაულების ანალიზისას, ცდილობს ჩამაყალიბოს განსაცვიფრებელი თეორია, რომ საზოგადოება ღვთაებრივის არსის უმი მასალაა. ის განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს ცენტრალური ავსტრალიის ხალხის სეზონურ ცერემონიებს. ეს ცერემონიები, „კონცენტრაციის დროს დიდი კოლექტიური ალტკინებისას (collective effervescence),“ არის მათი რელიგიის ყველა ფენომენის მიზეზი, და „რელიგიური იდეა მათ ალტკინებაში იზადება“. მაშ, პროფესორი დიურკემი ყურადღებას ამახვილებს ემოციურ აღგზნებაზე, აღფრთოვანებაზე, ყოველი ინდივიდის მიერ ასეთი შეხვედრების დროს გაჩენილი ძალების მოზღვავებაზე. თუმცა მცირედი დაფიქრებაც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ პრიმიტიულ საზოგადოებებშიც კი ემოციური მოზღვავება და ინდივიდუალური ემოციური ამაღლება მხოლოდ შეკრებებისა და ხალხის მასების თავყრილობების დროს არ ვლინდება. საყვარელი ადამიანი სატრფოს გვერდით, გაბედული მოგზაური, რომელიც ძლევს შიშს ხიფათის წინაშე, მონადირე, რომელმაც გარეული მხეცი მოინადირა, ხელოსანი, რომელმაც შედეგრი შექმნა – ყველა ამ მდგომარეობაში, როგორც ველური, ისე ცივილიზებული ადამიანი თავს ამაღლებულად, აღფრთოვანებულად, მაღალი ძალებით შთაგონებულად გრძნობს. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი მარტოსული გამოცდილებების ნაწილში, სადაც ადამიანი სიკვდილის მოსწავებას, შფოთვის სიმწარეს, ნეტარების ეგზალტაციას გრძნობს, არსებობს რელიგიური კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ცერემონიები საჯაროა, რელიგიური შთაგონებების დიდი ნაწილი მარტოობაში იზადება.

მეორე მხრივ, პრიმიტიულ საზოგადოებებში არსებობს მრავალი კოლექტიური აქტი, რომელთაც არავითარი რელიგიური დატვირთვა არ აქვთ, მაგრამ ისინი აღსავსეა ალტკინებით და ვნებით, რამდენადაც ეს რელიგიურ ცერემონიას შეიძლება ჰქონდეს. მელანეზიაში მინახავს კოლექტიური მუშაობა ყანებში, სადაც კაცები გატაცებული არიან ერთმანეთთან შეჯიბრით და სამუშაოსადმი ინტერესით. ისინი მღერაიან რიტმულ სიმღერებს, აღმოხდებათ ხოლმე სიხარულის შეძახილები და შეჯიბრების მოწოდებები. ეს პროცესი სავსეა ამ „კოლექტიური ალტკინებით“, მაგრამ მთლიანად პროფანულია, მოკლებულია ყოველგვარ ღვთიურ სიდიადეს. და საზოგადოება, რომელიც თითქმის „იხსნება“ ამ კოლექტიურ ქმედებაში, არ იღებს არავითარ რელიგიურ ფორმას. სოციალური, ისევე როგორც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჭიდილი, შეჯიბრი ნაოსნობაში, დიდი ტომური სავაჭრო თავყრილობა, ავსტრალიური გასართობი კორობორი,<sup>15</sup> სოფლის კინკლაობა ბრბოს ალტკინების მაგალითებია. მაგრამ ამ შემთხვევებში არავითარი რელიგიურობა არ ვლინდება. ამრიგად, კოლექტიური და რელიგიური მხოლოდ მჭიდროდ დაკავშირებულია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მხოლოდ იგივე სივრცესა და დროში არსებული. ერთი მხრივ, რწმენები და რელიგიური შთაგონება ხშირად ადამიანის მარტოსულ გამოცდილებებში იბადება, მეორე მხრივ კი, არსებობს ბევრი თავყრილობა და ალტკინება, რომელსაც არ გააჩნია რელიგიური მნიშვნელობა ან რელიგიური შედეგი.

თუ ჩვენ კიდევ უფრო გავაფართოებთ „საზოგადოების“ დეფინიციას და განვიხილავთ მას, როგორც პერმანენტულ, მუდმივ ერთეულს, რომელიც უწყვეტობას ტრადიციასა და კულტურაში ინარჩუნებს, სადაც ყოველი თაობა წინამორბედის მიერ არის აღზრდილი, მის ხატად და მსგავსად, ცივილიზაციის სოციალური მემკვიდრეობით – შეიძლება თუ არა, რომ ამ შემთხვევაში მაინც საზოგადოება ღვთაებრივის პროტოტიპად ჩავთვალოთ? პრიმიტიული ცხოვრების ფაქტები ამ თეორიასაც კი ეწინააღმდეგება. რადგანაც, ტრადიცია სოციალური ნორმების და წეს-ჩვეულებების ჯამია, ცოდნის, წესების, მითითებების, რეცეპტების, მითების და ლეგენდების ნაზავი. რელიგია მხოლოდ მათი ნაწილია, მაშინ როცა დანარჩენი, ფაქტობრივად, პროფანულია. როგორც ამ ესეს მეორე ნაწილში ვნახეთ, პრიმიტიული ადამიანის ბუნების ემპირიული და რაციონალური ცოდნა, რომელიც მისი ხელობის, ეკონომიკური წამოწყებების და რაიმეს შექ-

მნის საფუძველია, სოციალური ტრადიციის ავტონომიურ სფეროს წარმოადგენს. საზოგადოება, როგორც საერო ტრადიციების მცველი, ვერ იქნება რელიგიური პრინციპი, ან ღვთაება, რადგან ამ უკანასკნელის ადგილი მხოლოდ *საკრალურის* სფეროშია. მეტიც, ჩვენ ვნახეთ, რომ პრიმიტიული რელიგიის (განსაკუთრებით, ინიციაციის ცერემონიების და თემური საიდუმლოებების შესრულებისას) ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ტრადიციის რელიგიური ნაწილის საკრალიზაციაა. მაშასადამე, ნათელია, რომ რელიგია ვერ აიღებს მთელ მის სიწმინდეს ისეთი წყაროდან, რომელსაც თავად რელიგია ხდის წმინდად.

სინამდვილეში, „საზოგადოების“ წმინდასთან და *საკრალურთან* გაიგივება მხოლოდ სიტყვათა გონებადამახვილური თამაშით და ორლესული სოფისტიკით მიიღწევა. თუ ჩვენ, პირველ რიგში, გავაიგივებთ სოციალურს მორალურთან, შემდეგ გავაფართოვებთ ამ ცნებას იქამდე, სანამ ის არ დაფარავს ყოველგვარ რწმენას, ქცევის წესებს და სინდისის კარნახს, თუ შემდეგ ეს *მორალური ძალა* პერსონიფიცირებული იქნება, როგორც *კოლექტიური სული*, მაშინ საზოგადოების და ღვთაებრივის გაიგივებისთვის დიდი დიალექტიკური ხელოვნება საჭირო აღარ იქნება.

მაგრამ, როდესაც მორალური წესები ადამიანის ტრადიციული მემკვიდრეობის მხოლოდ ერთი ნაწილია, როდესაც მორალი *ყოფიერების ძალასთან* (რომლისგანაც თითქოს ის აღმოცენდა) იდენტური არ არის, დაბოლოს, როდესაც „*კოლექტიური სულის*“ მეტაფიზიკური ცნება ანთროპოლოგიის გადმოსახედიდან უნაყოფოა, ჩვენ რელიგიის სოციოლოგიური თეორია უნდა უარვყოთ.

შეჯამების სახით, ვიტყვით, რომ დიურკემის და მისი სკოლის შეხედულებები ჩვენთვის მიუღებელია. პირველ რიგში, ყოველ პრიმიტიულ საზოგადოებაში არსებობს რელიგიის წარმოშობის ბევრი ინდივიდუალური წყარო. მეორე, საზოგადოება, როგორც ხალხის მასები, არავითარ შემთხვევაში არ არის ყოველთვის რელიგიური რწმენის, ან გონების რელიგიური მდგომარეობების წარმოშობის პირველწყარო, მაშინ, როდესაც კოლექტიური აღტკინება ხშირად ბუნებით სრულიად სეკულარულია (საერო). მესამე, ტრადიცია, როგორც გარკვეული წესების და კულტურული მიღწევების ჯამი, მოიცავს, და, პრიმიტიულ საზოგადოებებში, მკაცრად აკონტროლებს როგორც *პროფანულ*, ისე *საკრალურ* სფეროს. დაბოლოს, საზოგადოების პერ-

სონიფიკაცია, „კოლექტიური სულის“ ცნება საერთოდ უსაფუძვლოა და სოციალური მეცნიერებების მკაცრ მეთოდებს ეწინააღმდეგება.

## 2. პეღურთა რწმენების მორალური ძალა

ამასთან, რობერტსონ სმითთან, დიურკემთან და მათი სკოლის წარმომადგენლებთან პირნათელი რომ ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ პრიმიტიული რელიგიის ბევრი რელევანტური მახასიათებელი გამოააშკარავეს. ყველაფერთან ერთად, პრიმიტიული რწმენის სოციოლოგიური ასპექტის გაზვიადებით, მათ ბევრი უმნიშვნელოვანესი კითხვა გააჩინეს: რატომ სრულდება პრიმიტიული საზოგადოების რელიგიური აქტების უმრავლესობა კოლექტიურად და საჯაროდ? რა არის საზოგადოების წვლილი მორალური ქცევის წესების ჩამოყალიბებაში? რატომ არის არა მარტო მორალის, არამედ რწმენების, მითოლოგიის და წმინდა ტრადიციების გაზიარება აუცილებელი პრიმიტიული ტომის ყველა წევრისთვის? სხვა სიტყვებით, რატომ არის ყოველ პრიმიტიულ ტომში რელიგიური შეხედულებების მხოლოდ ერთი სისტემა და რატომ არიან ისინი შეუწყნარებელნი ყოველგვარი განსხვავებული აზრის მიმართ?

ამ კითხვებს პასუხი რომ გავცეთ, უნდა დავუბრუნდეთ რელიგიური ფენომენების მიმოხილვას, გავიხსენოთ რამდენიმე გამოტანილი დასკვნა და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მეთოდს, რომლითაც, პრიმიტიულ რელიგიაში, გამოიხატება რწმენა და ყალიბდება მორალი.

დავიწყოთ *par excellence*<sup>16</sup> რელიგიური აქტით – ცერემონიით სიკვდილის ირგვლივ. აქ რელიგიისკენ ლტოლვას ინდივიდუალური კრიზისი, სიკვდილის მოახლოება წარმოშობს. არასოდეს არ ჭირდება ადამიანს რწმენის და რიტუალის ნუგეში ისე, როგორც სიკვდილისწინა ზიარებისას.<sup>17</sup> ეს ცხოვრებისეული გზის უკანასკნელ მომენტში მიღებული მხარდაჭერაა და მსგავსი აქტები ახლოა და უნივერსალური ყველა პრიმიტიულ რელიგიაში. ისინი ყოვლისმომცველ შიშს და მღრღნელ ეჭვებს (რომლებიც ველურს ისევე ტანჯავს, როგორც ცივილიზებულ ადამიანს) უპირისპირდებიან. ისინი განამტკიცებენ ადამიანის იმედს, რომ არსებობს რაღაცა სიცოცხლის მიღმა და ის არაა უარესი მის ახლანდელ ყოფაზე. პირიქით, უკეთესია. რიტუალი კი რწმენის, ემოციური დამოკიდებულების დადასტურებაა, ყველა-

ზე დიდი ნუგეში, რომელიც ადამიანმა მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კონფლიქტისას შეიძლება მიიღოს. და ამ დადასტურებას უკან უდგას მის ირგვლივ მყოფი ადამიანების სიმრავლე, რიტუალის ბრწყინვალეობა და პომპეზურობა. ყველა ველურ საზოგადოებაში სიკვდილი, როგორც ვნახეთ, ავალდებულებს მთელს თემს, რომ წინასწარ შეიკრიბოს, მოუაროს მომაკვდავს და შეასრულოს მის მიმართ დაკისრებული ვალდებულებები. ეს ვალდებულებები, რა თქმა უნდა, არ უვითარებს მათ მომაკვდავთან ემოციურ თანაგრძნობას – ეს უბრალოდ საზოგადოების დამაქუცმაცებელ პანიკას გამოიწვევდა. პირიქით, რიტუალური ქცევა ეწინააღმდეგება იმ ძლიერ ემოციებს, რომელთაც მომაკვდავის სულიერი მდგომარეობა შეიძლება შეარყიონ. ჯგუფის ქცევა, სინამდვილეში, გადარჩენის და უკვდავების იმედს გამოხატავს. ე. ი. ადამიანის წინააღმდეგობრივი ემოციებიდან მხოლოდ ერთ-ერთს ასახავს.

სიკვდილის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გმირი წავიდა, ტრაგედია არ მთავრდება. რჩება ჭირისუფალი, და ის, მიუხედავად იმისა, ველურია თუ ცივილიზებული, ერთნაირად იტანჯება და საზიფათო მენტალურ ქაოსში ეფლობა. ჩვენ უკვე გავანალიზეთ ის და დავადგინეთ, რომ მათ – შიშსა და ღვთისმოსაობას, რიდს და თავზარს, სიყვარულს და ზიზღს შორის მომწყვედულო – შეიძლება გონებრივი აშლილობა დაემართოთ. ასეთი მდგომარეობიდან ადამიანი რელიგიას გამოჰყავს იმ გზით, რომელსაც წმინდა სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებში სულიერი თანამონაწილეობა შეიძლება ვუწოდოთ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ წეს-ჩვეულებებში სიკვდილის შემდეგ ცხოვრების გაგრძელების დოგმა და ასევე წასულის მიმართ მორალური დამოკიდებულება გამოიხატება.

ცხედარი, და მასთან ერთად, გარდაცვლილი ადამიანის პიროვნება, პოტენციურად, როგორც შიშის, ასევე მგზნებარე სიყვარულის ობიექტია. რელიგია ადასტურებს ამ ორმაგი დამოკიდებულების მეორე ნაწილს, ცხედარს საკრალური ვალდებულებების ობიექტად აქცევს. ასე შენარჩუნდება კავშირი ახლახან გარდაცვლილბსა და ცოცხლებს შორის, ამ ფაქტს კი კულტურის უწყვეტობისა და ტრადიციის შენარჩუნებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ტრადიციების მოთხოვნებს მთელი თემი ასრულებს, ისინი ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილს – ჭირისუფალს ეხმარება. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ ეს

ტრადიციები იბადება პირად კონფლიქტში და ამ კონფლიქტის გადაწყვეტისთვის. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ცოცხალი ადამიანის გამოცდილება ამ შემთხვევაში სიკვდილისთვის ამზადებს მას. უკვდავების რწმენა, რომელიც მან შეიგრძნო და გაითავისა დედის ან მამის სიკვდილისას, საშუალებას აძლევს მას, უკეთ წარმოიდგინოს მომავალი ცხოვრება.

მაგრამ აქვე ნათლად უნდა გამოვყოთ, ერთი მხრივ, რწმენა და რიტუალის ეთიკა და, მეორე მხრივ, მექანიზმი, რომლითაც ადამიანი რელიგიურ ნუგეშს იღებს. სულის უკვდავების და ხსნის რწმენა უკვე არსებობს ინდივიდუალურ გონებაში. ის საზოგადოებას არ შეუქმნია. ამ რწმენის სათავეა თანდაყოლილი ტენდენციები, რომელთაც, როგორც წესი, „თვითგადარჩენის ინსტინქტს“ უწოდებენ. როგორც უკვე ვნახეთ, უკვდავების რწმენა მჭიდრო კავშირშია საკუთარი, ან ახლობლის თუ საყვარელი ადამიანის სრული გაქრობის საფრთხის პირისპირ აღმოჩენასთან. ეს ტენდენცია ადამიანის საბოლოო გაუჩინარების იდეას საძულველს, აუტანელს და სოციალურად დესტრუქციულს ხდის. თუმცა, ეს იდეა და მისი შიში ყოველთვის ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილების ნაწილია, და რელიგიას მისი ჩამოშორება მხოლოდ რიტუალური უარყოფის გზით შეუძლია.

კითხვა, თუ როგორ მიიღწევა ეს – კაცობრიობის ისტორიის წარმმართველი განგების ძალით თუ ბუნებრივი გადარჩევის პროცესისას, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის გადარჩენას და განვითარებას უკვდავების რწმენისა და რიტუალის განვითარების გზით – თეოლოგიის და მეტაფიზიკის სფეროდანაა. ანთროპოლოგმა კი საკმარისი გააკეთა, როცა აჩვენა ამა თუ იმ ფენომენის მნიშვნელობა სოციალური ერთიანობისა და კულტურის უწყვეტობისთვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ, რომ რელიგია ამ საკითხში უბრალოდ ირჩევს ადამიანის ინსტინქტების მიერ ბოძებული ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთს.

თუმცა, როდესაც არჩევანი გაკეთებულია, საზოგადოება შეუცვლელია მისი აღსრულებისას. სევდით და შიშით განადგურებულ ჭირისუფალს მხოლოდ თავის ძალებზე დაყრდნობა არ შეუძლია. შესაბამისად, ის ვერ შეძლებს დოგმის გამოყენებას საკუთარ შემთხვევაში. სწორედ აქ საქმეში ჯგუფი ერთვება. ჯგუფის სხვა წევრებს, რომელთაც უბედურება არ შეეხოთ, რომელნიც მენტალურად არ იტანჯებიან ამ მეტაფიზიკური დილემით, ამ კრიზისის რელიგიის მიერ ნა-

კარნახები სტანდარტებით შეუძლიათ უბასუხონ. ისინი ანუგეშებენ ჭირისუფალს და მათ რელიგიური ცერემონიების განცდებს ანდობენ. ყოველთვის ადვილია სხვისი გასაჭირის გაზიარება და შიშის და ძრწოლის მწვავე განცდებისგან თავისუფალი უმრავლესობა გულმოკლულ უმცირესობას ეხმარება. რელიგიური ცერემონიების დროს, ჭირისუფალი იცვლება. ის შთაგონებულია უკვდავების იდეით, საყვარელ ადამიანთან ერთიანობით, იმქვეყნიური სამყაროს არსებობით. რელიგია კულტის აქტებს განკარგავს, ხოლო ჯგუფი ამ განკარგულებებს ასრულებს.

თუმცა, როგორც ვნახეთ, ნუგეშისმცემელი რიტუალი არ არის ხელოვნური, კონკრეტული შემთხვევისთვის შექმნილი. ის მხოლოდ შედეგია იმ ორი დაპირისპირებული ტენდენციის, რომელიც ადამიანს უჩნდება თანდაყოლილი ემოციური რეაქციისას ვინმეს სიკვდილის დროს. რელიგიური ქმედება აქ მხოლოდ ამ ორი ალტერნატივიდან მომავალი ცხოვრების იმედის შერჩევა და რიტუალური დადასტურებაა. საჯარო შეკრება კი მასზე ყურადღებას ამახვილებს და ამ რწმენის მართებულობას და საფუძვლიანობას ადასტურებს. საჯაროობას, პომპეზურობა და ცერემონია კი ეფექტს რწმენის ადვილი გავრცელებით, ერთსულოვანი თანხმობის ძალით და კოლექტიური ქცევის შთამბეჭდაობით ახდენს. ხალხის ერთსულოვანი მასა და ცერემონიის დიდებულება უცხო დამკვირვებელსაც კი ნუსხავს, არაფერი რომ არ ვთქვათ მის უშუალო წევრზე.

თუმცა ჩვენ კატეგორიულად უნდა გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, სოციალური თანამშრომლობა, როგორც რწმენის განმტკიცების ერთადერთი აუცილებელი მეთოდი, და მეორე მხრივ, რწმენის ან საზოგადოების თვითშთაგონების დაბადება. თემი რამდენიმე ერთმნიშვნელოვან ჭეშმარიტებას ააშკარავებს და მის წევრებს მორალურ სიმშვიდეს აძლევს, მაგრამ ის თემის ღვთაებრიობის შესახებ ბუნდოვან და უშინაარსო განცხადებას არ აკეთებს.

რელიგიური რიტუალის სხვა სახეში, ინიციაციის ცერემონიებში, ჩვენ გავიგეთ, რომ რიტუალი აყალიბებს წარმოდგენას, რომ არსებობს გარკვეული ძალა ან პიროვნება, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება თემური სამართალი და რომელიც პასუხისმგებელია მორალურ წესებზე, რომელთაც ახალბედა ამ პროცესში ეცნობა.

ამ რწმენის შთამბეჭდაობის, ძალის და გრანდიოზულობის განმამტკიცებელია ცერემონიის პომპეზურობა და მზადების და წინასწარი

გამოცდების სირთულე. აქ ადამიანი მისი ცხოვრების უნიკალურ და დაუფიქრებელ შთაბეჭდილებებს იღებს, აქ ის სწავლობს თემური ტრადიციის დოქტრინას და მორალური წყობის წესებს. გამოამჟღავნებული ფაქტების ძალის და რეალურობის დადასტურებლად, საქმეში ერთვება მთელი თემი და მისი ავტორიტეტი.

აქ, როგორც სიკვდილის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ინდივიდუალური ცხოვრების გარდამტეხ მომენტთან და მასთან ასოცირებულ მენტალურ კონფლიქტთან. სქესობრივი მომწიფებისას, ახალგაზრდამ უნდა შეამოწმოს თავისი ფიზიკური ძალა, თავი გაართვას სექსუალურ სიმწიფეს და გარკვეული ადგილი დაიკავოს ტომში. ეს მას გარკვეულ პრეროგატივებს და ცდუნებებს სთავაზობს, მაგრამ იმავედროულად გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს. შინაგანი კონფლიქტის სწორი გადაწყვეტა კი ტრადიციების მკაცრ დაცვაში და მისი ტომის სექსუალური მორალისადმი დამორჩილებაშია, რაც ინიციაციის ცერემონიებით მიიღწევა.

მათი საჯაროობა კი „პირველი“ კანონმდებლის სიდიადის დადასტურებაა და ასევე მორალური სწავლებების ჰომოგენურობას და ერთგვარობას აღწევს. ამრიგად, ისინი შეკუმშული რელიგიური განათლების ფორმას იძენენ. როგორც ნებისმიერი სახის სწავლები-სას, გამოყოფილი პრინციპები აქაც ადამიანში ღრმად ჩამარხული იფორმაციიდან არის არჩეული და გამოკვეთილი. აქ, ისევ და ისევ, საჯაროობა მხოლოდ მეთოდია, ხოლო სწავლის შინაარსი – ინდივიდუალში არსებული და არა გამოგონილი საზოგადოების მიერ.

სხვა კულტებში, როგორებიცაა სამოსავლო ფესტივალი, ტოტემური შეკრებები, პირველნაყოფის მსხვერპლშეწირვა და საკვების ცერემონიული გამოფენა, ჩვენ ვხედავთ, რომ რელიგია აღმერთებს (საკრალიზაციას ახდენს) სიჭარბეს და მოწიწებას ქმნის კეთილმსურველი ძალების მიმართ. აქაც, კულტის საჯაროობა აუცილებელია, როგორც საკვების ღირებულების, დაგროვების და სიჭარბის მნიშვნელობის ჩამოსაყალიბებელი მეთოდი. ღირებულება კი იქმნება სხვადასხვა მეთოდებით – ყველას წინაშე გამოფენა, საყოველთაო აღტაცებით, მეტოქეობით ნებისმიერ ორ მწარმოებელს შორის. ნებისმიერ ღირებულებას, რელიგიური იქნება ის თუ ეკონომიკური, უნივერსალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ აქაც მხოლოდ ყურადღების გამახვილებას ვხედავთ, შერჩევას ორი შესაძლო ინდივიდუალური რეაქციიდან. დაგროვილი საკვები ან უნდა შეინახოს,

ან შეიჭამოს. ის შეიძლება იყოს დაუყოვნებლივი, უყურადღებო და უდარდელი უზრუნველობის სიმბოლო, ან გარკვეული სიმდიდრის შენარჩუნება სამომავლო, კულტურულად უფრო მაღალი მიზნებისთვის. რელიგია კი კულტურულად სასარგებლო მიდგომას სიწმინდის ბეჭედს ადებს და საჯარო ქმედებით აღასრულებს თავის სურვილს.

ასეთი ნადიმების საჯარო ხასიათს კიდევ ერთი სოციოლოგიურად მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ჯგუფის იმ წევრებს, რომლებიც ერთ კულტურულ ერთეულს აყალიბებენ, ერთმანეთთან გარკვეული კონტაქტი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ გარდა სოციალური კავშირების სასარგებლო განმტკიცების შესაძლებლობისა, ასეთი კონტაქტი უთანხმოების საშიშროებასაც შეიცავს. ასეთი საშიშროება უფრო დიდია, როდესაც ადამიანები ხვდებიან სტრესის, სიღარიბის, შიმშილის დროს, როდესაც მათი მაღა დაუკმაყოფილებელია ან როდესაც ისინი სექსუალურად აგზნებულნი არიან. სადღესასწაულო ტომური შეკრება მოსავლის სიჭარბის დროს ხდება, როდესაც ყველა ბუნებასთან, და შესაბამისად ერთმანეთთან ჰარმონიული თანაცხოვრების ხასიათზეა. შესაბამისად, ასეთი შეკრება კარგ მორალურ ატმოსფეროში მიმდინარეობს – ვგულისხმობ ზოგადი ჰარმონიისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროს. თავნებობის დროდადრო გამოვლენილი შემთხვევები, სექსუალური ეტიკეტის გარკვეული მკაცრი წესების შესუსტება, სავარაუდოდ, იმავე მიზეზითაა გამოწვეული. კინკლაობის და უთანხმოების ყველა მოტივი უნდა გამოირიცხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ტომური შეკრება მშვიდობიანად ვერ დაასრულდება. შესაბამისად, ჰარმონიის და კეთილმოსურნეობის მორალური ღირებულება წარმოჩნდება, როგორც უფრო მაღალი, ვიდრე ის ნეგატიური ტაბუები, რომლებიც ძირითად ადამიანურ ინსტინქტებს ზღუდავენ. არ არსებობს ქველმოქმედებაზე მაღალი ღირებულება, და პრიმიტიულ (ისევე, როგორც უფრო მაღალ) რელიგიებში ის ფარავს ძალიან ბევრ ცოდვას. მეტიც – გადაწონის მათ.

შესაძლოა, აქ ყველა სხვა ტიპის რელიგიური აქტების დეტალური განხილვა აუცილებელი არ იყოს. ტოტემიზმი, კლანის რელიგია, რომელიც ადასტურებს საერთო შთამომავლობას ან ნათესაობას ტოტემურ ცხოველთან, პრეტენზიას აცხადებს კლანის კოლექტიურ უნარზე, აკონტროლოს მოცემული ტოტემური ცხოველის ბუნებაში არსებობა, ავალდებულებს კლანის წევრებს, დაიცვას საერთო ტოტემური ტაბუ და მოითხოვს ტოტემური სახეობის თაყვანისცემას,

ამჟამად, მკაფიო სოციალური ტიპის საჯარო ცერემონიებით უნდა დაგვირგვინდეს. წინაპართა კულტმა, რომლის მიზანია გააერთიანოს თავყვანისმცემელთა ერთი ჯგუფში ოჯახი, სიბი ან ტომი, ისინი, ბუნებრივად, საჯარო ცერემონიებით უნდა გააერთიანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ლოკალური ჯგუფების, ტომების ან ქალაქების მფარველი სულებს, ადგილობრივ ღმერთებს, პროფესიონალური ან ლოკალური ღვთაებებს, ყველას, როგორც ერთს, განსაზღვრებით, თავყვანი უნდა სცეს მთელმა სოფელმა, ტომმა, ქალაქმა, პროფესიის წარმომადგენელმა ან პოლიტიკურმა ერთეულმა.

იმ კულტებში, რომელნიც მაგიის და რელიგიის საზღვარზე დგანან, – ინტიჩუმას<sup>18</sup> ცერემონიებში, საჯარო წეს-ჩვეულებებში ყანაში, ნადირობის და თევზაობის ცერემონიებში, საჯარო შესრულების აუცილებლობა ნათელია, ვინაიდან ეს ცერემონიები, რომლებიც მკაფიოდ არის გამოყოფილი იმ აქტივობებისგან, რომლებსაც ისინი იწყებენ ან თან ახლავენ, მათი საპირწონეა. აქ ცერემონია პრაქტიკული წამოწყების შესაბამისია. ამრიგად, მომუშავე ჯგუფის გაერთიანება თავყვანისცემის აქტში უნდა მოხდეს, რათა ამ ცერემონიებმა თავიანთი კულტურული ფუნქცია შეასრულონ.

სინამდვილეში, ყოველი ასეთი რელიგიური ცერემონიის განხილვის მაგივრად, ჩვენ უკვე შეგვიძლია ჩვენი თეზისი აბსტრაქტულად ჩამოვყალიბოთ: რადგან რელიგია კონცენტრირდება ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან საქმიანობებზე და რადგან ყოველი მათგანი საჯარო, მოთანამშრომლე ჯგუფების ინტერესის სფეროშია, ყველა რელიგიური ცერემონია საჯაროდ და ჯგუფურად უნდა განხორციელდეს. პრიმიტიულ თემებში, ცხოვრების ყველა გარდამტეხი მომენტი, ყველა მნიშვნელოვანი წამოწყება საჯარო ინტერესს აღძრავს, და ყოველ მათგანს შეესაბამება გარკვეული მაგიური ან რელიგიური ცერემონია. ამ ცერემონიას ადამანთა სწორედ ის ჯგუფი ასრულებს, რომელიც ერთიანდება რაიმე საქმის გასაკეთებლად, ან იკრიბება კრიტიკული მომენტის დროს. თუმცა ასეთი არგუმენტი, რამდენად მართებულიც არ უნდა იყოს ის, ვერ მოგვცემდა რელიგიურ აქტებში საჯარო ჩართულობის მექანიზმის უფრო ღრმა წარმოდგენას – ისეთს, როგორიც მივიღეთ ჩვენი კონკრეტული ცერემონიების აღწერით.

### 3. სოციალური და ინდივიდუალური წვლილები პრიმიტიულ რელიგიიში

შესაბამისად, ჩვენ იძულებული ვართ, დავასკვნათ, რომ საჯარო-ობა პრიმიტიულ საზოგადოებებში რელიგიური შთაგონების აუცილებელი მეთოდია, მაგრამ საზოგადოება არც რელიგიური ჭეშმარიტების ავტორია, არც ამ თვითგამომჟღავნების სუბიექტი. დოგმის საჯარო მიზანსცენის და მორალური ჭეშმარიტებების კოლექტიური გაცხადების აუცილებლობას რამდენიმე მიზეზი აქვს. მოდით, შევაჯამოთ ისინი.

სოციალური თანამშრომლობა, პირველ რიგში, იმისთვისაა საჭირო, რომ წმინდა საგნების და ზებუნებრივი არსებების საიდუმლოს გამხელა საზეიმო გრანდიოზულობით შედგეს. თემი, რომელიც მთელი გულით არის ჩართული რიტუალის შესრულებაში, ერთსულოვანი რწმენის ატმოსფეროს ქმნის. ამ კოლექტიურ ქმედებაში, ის, ვისაც მოცემულ მომენტში ყველაზე ნაკლებად სჭირდება რწმენის ნუგეში და ჭეშმარიტების დამოწმება, ეხმარება მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. მაშ, განგების ბოროტი, საზოგადოების გამთიშავი ძალები ამ სულიერი უბედურების და სტრესის დროს არსებული ურთიერთდაზღვევის სისტემის მიერ მიმოიფანტება. მძიმე დანაკლისის, სქესობრივი მომწიფების კრიზისის, მოახლოებული საშიშროების და ბოროტების, კეთილდღეობის კარგად ან ცუდად გამოყენების საშიშროების დროს, რელიგია საზოგადოებას სწორი აზროვნების და ქცევის სტანდარტს სთავაზობს, ხოლო საზოგადოება აღიარებს და ერთხმად იმეორებს მას.

მეორე, რელიგიური დოგმების საჯარო შესრულება შეუცვლელია პრიმიტიული საზოგადოების მორალის შენარჩუნებისთვის. რწმენის ყველა ობიექტს, როგორც ვნახეთ, მორალური გავლენა აქვს. მორალის ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ ის უნივერსალური იყოს. სოციალური კავშირების სიმტკიცე, მომსახურების და ვალდებულების ორმხრივობა და თანამშრომლობის შესაძლებლობა დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ყველა წევრმა იცის, თუ რას ელიან მისგან. ეს, ერთი სიტყვით, ქცევის უნივერსალური სტანდარტია. მორალის ვერც ერთი წესი ვერ იმუშავებს და ვერც დაეყრდნობი რომელიმეს, თუ მის შესახებ ყველას წინასწარ არ ეცოდინება. პრიმიტიულ საზოგადოებებში, სადაც კანონი, როგორც განაჩენზე

და სასჯელზე აგებული სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობს, პრიმიტიული ცხოვრების ორგანიზაციისთვის და კულტურისთვის საძირკველის ჩამოყალიბებისთვის უმნიშვნელოვანესია ავტომატური, თვითმოქმედი მორალური წესი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს მორალის კერძო სწავლება, ქცევის და ღირსების პირადი კოდექსი, ეთიკური სკოლა, სადაც არ არის განსხვავება მორალურ თვალსაზრისში. მორალის სწავლება ღია, საჯარო და უნივერსალური უნდა იყოს.

მესამე და უკანასკნელი, წმინდა ტრადიციის გადაცემა და შენარჩუნება ასევე მოითხოვს საჯაროობას, ან შესრულების კოლექტიურობას მაინც. ყველა რელიგიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ დოგმა აბსოლუტურად შეუცვლელი და ურღვევი იყოს. მორწმუნე მტკიცედ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის, რასაც მას, როგორც ჭეშმარიტებას სთავაზობენ, საიმედოდ არის დაცული, ზუსტად ისეა გადამოცემული, როგორც მიღებული და დაზღვეულია ფალსიფიკაციის და ცვლილების შესაძლებლობისგან. ყველა რელიგიას სჭირდება ხელშესახები, საიმედო მცველები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრადიციის ავთენტურობას. უფრო მაღალ რელიგიებში, ჩვენ ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია წმინდა წიგნის ავთენტურობა, ტექსტის სიწმინდის და ინტერპრეტაციის ჭეშმარიტების მართებულობა. მკვიდრი რასები კი ამ მხრივ მეხსიერებაზე არიან დამოკიდებული. თუმცა, ისინი წმინდა წიგნის, ინსკრიფციების და თეოლოგების სინოდის გარეშეც ზრუნავენ საკუთარი ტექსტების<sup>19</sup> სიწმინდეზე. ეს ტექსტები არანაკლებია დაცული ცვლილებების და არასწორი ინტერპრეტაციისგან.

წმინდა ძაფის გარღვევას წინ კი მხოლოდ ერთი ფაქტორი – ტრადიციის დაცვაში ადამიანების დიდი რაოდენობის ჩართვა შეიძლება აღუდგეს. პრიმიტიული რელიგიის დოქტრინის დასაცავად მრავალი საშუალება გამოიყენება: ზოგიერთ ტომში ეს არის მითის საჯარო ინსცენირება, სხვანაირად წმინდა ისტორიების ოფიციალური თხრობა სპეციალურ დროს, რწმენის ნაწილის წმინდა ცერემონიებში ჩართვა, ტრადიციების სხვადასხვა ნაწილების ადამიანების გარკვეული ჯგუფის: საიდუმლო საზოგადოების, ტოტემური კლანის, უზუცესთა კრების მეურვეობის ქვეშ მოქცევა. ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადაც დოქტრინა მთელი ტომისთვის საჯარო არ არის, არსებობს სოციალური ორგანიზაციის გარკვეული ტიპი, რომლის მიზანი

მისი შენარჩუნებაა. ეს ფაქტორები ხსნის პრიმიტიული რელიგიების ორთოდოქსულობას და შეუწყნარებლობას. პრიმიტიულ საზოგადოებაში არა მარტო მორალი, არამედ დოგმებიც კი ყველა წევრისთვის იდენტური უნდა იყოს. რამდენადაც ველურ რწმენებს განვიხილავთ, როგორც ფუჭ ცრურწმენს, წარმოსახვის პროდუქტს, ბავშვური ან ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფს ან, უკეთეს შემთხვევაში, როგორც უმწიფარ ფილოსოფიურ სპეკულაციას, მით უფრო რთულია ავხსნათ, თუ რატომ ებლაუჭება მათ ველური ასე შეუპოვრად და ერთგულად. მაგრამ როდესაც აღვიქვამთ, რომ ველურის რწმენის ყველა ასპექტი სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალის მატარებელია, რომ ის სოციალური ქსოვილის ცემენტია, რომ მისგან იზადება მთელი მორალი, სოციალური ერთობა(კოჰეზია) და მენტალური სიმშვიდე, ადვილია გავიგოთ, თუ რატომ არ აქვს მას ფუფუნება, იყოს ტოლერანტული. ასევე გასაგებია, რომ, როდესაც დაუდევრად მოეპყრობი მის „ცრურწმენებს,“ შენ მთელ მის მორალურ სამყაროს ანგრევ, ხოლო ალტერნატივის შეთავაზების საშუალება, ფაქტობრივად, არ გაქვს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ რელიგიური აქტების გამოკვეთილად დაუფარავ და კოლექტიური ბუნების და მორალური პრინციპების უნივერსალურობის საჭიროებას. გარდა ამისა, გვესმის, თუ რატომ არის ეს საჭიროება, ცივილიზებულ რელიგიებთან შედარებით, ბევრად უფრო შესამჩნევი პრიმიტიულ რელიგიებში. რელიგიურ საქმეებში საჯარო მონაწილეობა და სოციალური ინტერესი აიხსნება აშკარა, კონკრეტული და ემპირიული მიზეზებით. ამ სისტემაში ადვილი არ არის რაიმე ღვთაებისთვის, რომელიც თითქოს გამოცხადდება მის თაყვანისმცემლებთან, მოხერხებულად შენიღბული, რომელიც ატყუებს, აცდუნებს მრევლს.

„სოციალურის“ წვლილი რელიგიის არსებობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ინდივიდუალური გონების ანალიზის გარეშე, ჩვენ რელიგიის უკეთ გაგებაში წინ ვერ წავალთ. რელიგიური ფენომენების მიმოხილვისას, მესამე თავში, ჩვენ გავმიჯნეთ მაგია და რელიგია. მოგვიანებით, ჩვენ მაგია გვერდით დაგვრჩა და ახლა დროა დავუბრუნდეთ პრიმიტიული ცხოვრების ამ მნიშვნელოვან სფეროს.

## მაგიის ხელოვნება და რწმენის ძალა

მაგია, საკუთრივ ტერმინიც კი თითქოს ფარდას ხდის მისტიკური და მოულოდნელი შესაძლებლობების სამყაროს! მათთვისაც კი, ვინც ოკულტური სამყაროსაკენ, „ეზოთერული ჰუმპარიტების“ დადგენის ამ მოკლე გზისაკენარ მიიღტვის – სუფთა, სამეცნიერო გონებისთვისაც კი – მაგიის თემა განსაკუთრებით მიმზიდველია. ეს არის ინტერესი, რომელიც დღეს გამოიხატება ცუდად გაგებული უძველესი რწმენების ხელახალი გამოყენებით, რომლებიც სხვადასხვა სახელებს – „თეოსოფიას“, „სპირიტისმის“, „სპირიტუალიზმს“, და სხვა ფსევდო-„მეცნიერებას“, – ოლოგიას თუ –იზმს უწოდებენ. ალბათ, ამის მიზეზი ნაწილობრივ ისაა, რომ ჩვენ ვცდილობთ, მაგიაში ვიპოვოთ პრიმიტიული ადამიანის სურვილების კვინტესენცია და მისი სიბრძნე – ხოლო ამაში ჩაკირკიტება, რაც არ უნდა დავადგინოთ, ნამდვილად ღირს. ნაწილობრივ იმიტომ, რომ „მაგია“ თითქოს ყველაში რაღაც მალულ გონებრივ რესურსებს, ზებუნებრივის რაღაც მთვლემარე რწმენას, ადამიანის მისტიკური შესაძლებლობების იმედს აღვიძებს. ამისი დადასტურებაა ის ძალა, რომელიც აქვს სიტყვებს – მაგია, შელოცვა, ჯადო, გრძნეულება, გათვლა – როდესაც სიტყვების შინაგანი ღირებულება და ემოციური ძალები, რომელთაც ისინი ათავისუფლებენ, თვალსაჩინოა და ყველაზე დიდხანს ნარჩუნდება.

თუმცა, როდესაც სოციოლოგი მაგიის შესწავლას იწყებს იქ, სადაც მაგია ჯერ კიდევ ბატონობს, სადაც დღესაც კი მის სრულებით განვითარებულ ფორმებს შეგვიძლია მივაკვლიოთ, ე. ი. დღევანდელი ქვის ხანის ველურებში – ის იმედგაცრუებულია, როცა ხედავს სრულიად პროზაულ, მოუქნელ ხელობას, რომელიც გამოიყენება წმინდად პრაქტიკული მიზნით, რომელიც განპირობებულია უმწიფარი და ზედაპირული რწმენით და ხორციელდება მარტივი და მონოტონური გზით. ჩვენ ეს ფაქტი უკვე აღვნიშნეთ მაგიის ზემოაღნიშნულ დეფინიციაში, როდესაც ჩვენ ის რელიგიისგან გავმიჯნეთ. ჩვენ აღწერეთ მაგია, როგორც წმინდად პრაქტიკული ხელობა, რომელიც ხორციელდება რაიმე მიზნის მისაღწევად. ასეთად წარმოგვიდგა ის მაშინაც, როდესაც შევეცადეთ მისი ცოდნისგან და პრაქტიკული ხელოვნებისგან გამიჯვნას – ის მათთან საკმაოდ მყარად, თუმცა ზედაპირულად არის გადაჯაჭვული, ისე, რომ გარკვეული ძალისხმევით საჭირო იმ არსებითად განსხვავებული მენტალური დამოკიდებულების და მაგიური აქტების სპეციფიკურად რიტუალური ბუნების გამოსა-

ცალკეებლად. პრიმიტიული მაგია, როგორც ყოველი ველზე მომუშავე ანთროპოლოგი მწარე გამოცდილებით რწმუნდება, უაღრესად მონოტონური და უინტერესოა. ის მკაცრად არის შეზღუდული მოქმედების საშუალებებში, შემოსაზღვრული რწმენებით და ჩარჩენილი მის ფუნდამენტურ ვარაუდებში. თუ ჩვენ დავაკვირდებით ერთ წეს-ჩვეულებას, შევისწავლით ერთ შელოცვას, გავიგებთ მაგიური რწმენის პრინციპებს, ხელოვნებას და სოციოლოგიას ერთი მაგალითის საფუძველზე, ჩვენ არა მარტო ამ კონკრეტული ტომის მაგიურ აქტებს ჩავწვდებით, არამედ, გარკვეული თვითნებური ვარიაციების დამატებით, შევძლებთ ვიმუშაოთ, როგორც გრძნეულმა-პრაქტიკოსმა სამყაროს ნებისმიერ წერტილში, სადაც მაგიის, ამ სასიქადულო ხელოვნების რწმენის ბედნიერება ჯერ კიდევ აქვთ.

## 1. ნახ-ჩვეულება და შელოცვა

მოდით, ახლა მაგიის ტიპურ აქტს დავაკვირდეთ, და შევარჩიოთ საყოველთაოდ ცნობილი და ზოგადად სტანდარტულად მიჩნეული შავი მაგიის აქტი. ველურებში ცნობილ რამდენიმე ტიპს შორის, ყველაზე გავრცელებული, ალბათ, გრძნეულებაა, რომელიც მაგიური შუბის მიშვერით ხორციელდება. წვეტიანი ძვალს, ჯოხს, ისარს ან რომელიმე ცხოველის ხერხემალს რიტუალურად, წაბაძვით, გაისვრიან ხოლმე ან დაუმიზნებენ იმ მიმართულებით, საითაც მოიაზრება ადამიანი, რომელიც უნდა მოვკლათ ამ გრძნეული ქმედების შედეგად. აღმოსავლური და უძველესი მაგიის წიგნებში, ეთნოგრაფიულ აღწერებში და მოგზაურების მონაცოლიდან ჩვენ ამ წეს-ჩვეულების შესრულების აუარებელი რეცეპტი გვაქვს. მაგრამ იშვიათად აღიწერება აქტის ემოციური ფონი, გრძნეულის ჟესტები და სხვა გარეგანი გამოვლინებები ამ აქტის შესრულების დროს. არადა, ისინი უაღრესად მნიშვნელოვანია. თუ მკითხველს უცებ გადავიყვანთ მელანეზიის რომელიმე ნაწილში გრძნეულის მუშაობაზე დასაკვირვებლად, თუ მას არ ეცოდინება რას აკვირდება, შეიძლება იფიქროს, რომ შემოიღო ადამიანს უყურებს. შემდეგ ის იფიქრებს, რომ, შესაძლოა, განრისხებული, უკონტროლო ადამიანის ქმედებებს აკვირდება.

გრძნეულის რიტუალური ქმედების განუყოფელი ნაწილია ემოციური ქმედება. წვეტიანი ძვლის მსხვერპლის მიმართულებით დამიზნება მან რისხვის და სიძულვილის გამოხატვით უნდა შეიძლოს. მან

უნდა მოიქნოს წვეტიანი საგანი ჰაერში, მოატრიალოს და მოგრიხოს, თითქოს სასიკვდილო ჭრილობას აყენებს მას, შემდეგ კი მკვეთრი მოძრაობით ამოაძროს ისარი. ამრიგად, მაგიურ რიტუალში გადმოიცემა არა მარტო ძალადობის, განგმირვის აქტი, არამედ ასევე ძალადობის წყურვილი.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ამ აქტის არსი ემოციის დრამატული გამოხატვაა, მაგრამ რა გამოიხატება მასში? არა მისი მიზანი, რადგან ამ შემთხვევაში გრძნეული მსხვერპლის სიკვდილის იმიტაციასაც შეასრულებდა, არამედ, შემსრულებლის ემოციური მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება სიტუაციას, რომელშიც ის არის, და რომელიც უნდა აისახოს მიმეტყუარად (იმიტაციის გზით).

მე შემძლია დავამატო მრავალი მსგავსი რიტუალი როგორც საკუთარი გამოცდილებიდან, ისე სხვა წყაროებიდან. ამრიგად, როცა შავი მაგიის სხვა სახეებში, გრძნეული რიტუალურად ასახიჩრებს, დაჭრის ან ანადგურებს რაიმე ნივთს ან ობიექტს, რომელიც მსხვერპლს ასიმბოლოებს, წეს-ჩვეულება, პირველ რიგში, სიძულვილის და ბრაზის მკაფიო გამოხატულებაა. ან, როდესაც, სასიყვარულო მაგიისას, აქტის წარმმართველი რეალურად, ან სიმბოლურად ხელს ჰკიდებს, ეფერება, ეალერსება საყვარელ ადამიანს, ან ობიექტს, რომელიც მას ასახიჩრებს, ის გულანთებული საყვარელის ქმედებას იმეორებს, რომელმაც დაკარგა გონივრულად აზროვნების უნარი და ვნებითაა აღვსილი. ომის მაგიაში ხშირად, მეტ-ნაკლებად პირდაპირ გამოიხატება შეტევის რისხვა, საბრძოლო ჟინის ემოციები. ტერორის მაგიაში, ბნელი და ბოროტი ძალების განდევნვის გრძნეული ისე იქცევა, თითქოს შიშის ემოციებით არის აღვსილი, ან, ყველას დასანახად, ამ ემოციების წინააღმდეგ იბრძვის. ამ წეს-ჩვეულების ნაწილი ხშირად არის შეძახილები, იარაღის მოღერება, ანთებული ნათურები. ან, სხვა შემთხვევებში, ჩემ მიერ ნახული ერთ-ერთი ასეთი ცერემონიის დროს, ბნელ ძალებთან დასაპირისპირებლად, ადამიანი რიტუალურად კანკალებს, წარმოსთქვამს შელოცვას ნელა, თითქოს შიშითაა პარალიზებული. ეს შიში ასევე აღწევს იმ ობიექტამდე, რომელსაც ის უპირისპირდება და მის მოქმედებას ზღუდავს.

ყველა ასეთი აქტი, რომელიც, როგორც წესი, ექვემდებარება რაციონალიზაციას და ახსნას მაგიის რომელიმე პრინციპით, ემოციის *prima facie* გამოხატულებაა. ნივთიერებებს და ატრიბუტებს, რომ-

ლებიც მათში გამოიყენება, ხშირად, ერთი და იგივე სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ.

ხანჯლები, ბასრი, განმგმირავი ობიექტები, ავსუნიანი ან შხამიანი ნივთიერებები, რომლებიც შავი მაგიისას გამოიყენება; საასიყვარულო მაგიის სურნელებანი, ყვავილები და კეთილსურნელოვანი სტიმულანტები; ღირებული ობიექტები ეკონომიკურ მაგიაში – ყველა ეს ობიექტი, პირველ ყოვლისა, ასოცირდება მათთან დაკავშირებულ ემოციებთან და არა შესაბამისი მაგიური აქტის მიზანთან.

ასეთი წეს-ჩვეულებების მხარდამხარ (სადაც დომინანტი ელემენტი ექსპრესიის გამოხატვისთვისაა), არსებობს სხვანი, სადაც აქტი რეზულატატს პროგნოზირებს, ან, სერ ჯეიმს ფრეიზერის გამოთქმით, წეს-ჩვეულება იმიტირებს მის მიზანს. ამრიგად, მელანეზიელების შავ მაგიაში, რომელიც მე აღვწერე, შელოცვის წარმოთქმისას, გრძნეულის ხმა სუსტდება, მას თითქოს სასიკვდილო ოხვრა აღმოხდება და ის ძირს ეცემა, იმიტირებს სიკვდილს. თუმცა დამატებითი მაგალითების მოყვანა საჭირო აღარ არის, რადგან მაგიის ის და მისგან წარმოშობილი ელემენტები უკვე ბრწყინვალედ და ამომწურავად აღწერა სერ ჯეიმს ფრეიზერმა. სერ ჯეიმსმა ასევე აჩვენა, რომ არსებობს წმინდა მაგიური ნივთიერებების ნაკრები, რომელიც ასეთად ითვლება გრძნეულების ობიექტებთან სიახლოვის, ურთიერთობის, მსგავსების და გადამდებობის საფუძველზე, რომლებიც განვითარებულია მაგიური ფსევდო-მეცნიერების მიერ.

მაგრამ ასევე არსებობს ისეთი რიტუალური ქმედება, რომელიც არც იმიტაციაა, არც პროგნოზი და არც რაიმე იდეის ან ემოციის გამოხატულება. ეს არის მარტივი წეს-ჩვეულებები, რომლებიც შეიძლება აღვწეროთ, როგორც რაიმე მაგიური ძალის პირდაპირი აპლიკაცია/გამოყენება. მაგალითად, როდესაც შემსრულებელი ფეხზე დგება, პირდაპირ მოუწოდებს ქარს, ამოვარდეს. ან ადამიანი შეულოცავს რაიმე მატერიალურ ნივთიერებას, რომელიც მოგვიანებით გამოიყენება რაიმე ნივთის ან პიროვნების გულის მოსაგებად. ასეთ რიტუალებში გამოყენებული მატერიალური ობიექტები მკაცრად განსაზღვრული ტიპისაა. მათ ყველაზე კარგად შეუძლიათ მაგიურობის მიღება, შენარჩუნება და გადაცემა. ისინი ერთგვარი გარსია, სადაც მაგია ბუდობს, სანამ მას გამოიყენებენ.

მაგრამ რა არის ეს მაგიური ძალა, რომელსაც არა მარტო ამ უკანასკნელ აღნიშნულ, არამედ ყველა მაგიურ წეს-ჩვეულებაში შეიძლება

დავაკვირდეთ? ნებისმიერ ცერემონიაში, იქნება ეს გარკვეული ემოციების გამომხატველი აქტი, ინიციაციის წეს-ჩვეულება ან მოსწავება, ან უბრალო დაწყება – მაგიის ძალა ყოველთვის უნდა გადაეცეს მაგიის ობიექტს. რა არის ის? ერთი სიტყვით, ეს არის ძალა, რომელსაც მუდამ შეიცავს შელოცვა, რადგან (და ამას არასოდეს სათანადოდ ხაზს არ უსვამენ), მაგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი შელოცვაა. შელოცვა მაგიის ოკულტური ნაწილია, რომელიც მაგიური ფილიაციის გზით გადაეცემა, რომელიც მხოლოდ პრაქტიკოსისთვისაა ცნობილი. მკვიდრთათვის მაგიის ცოდნა შელოცვის ცოდნას ნიშნავს და გრძნეულების ნებისმიერი აქტის ანალიზისას, ყოველთვის იმ დასკვნამდე მივალთ, რომ რიტუალი კონცენტრირდება შელოცვის წარმოთქმაზე. ფორმულა ყოველთვის მაგიური პერფორმანსის გულია.

პრიმიტიული მაგიის ტექსტების და ფორმულების შესწავლა ააშკარავებს მაგიის ეფექტიანობის რწმენასთან დაკავშირებულ სამ ტიპურ ელემენტს. პირველ რიგში, ეს არის ფონეტიკური ეფექტები, ბუნებრივი ხმების იმიტირება, ისეთების, როგორიცაა ქარის ზუზუნი, ჭექა-ქუხილის გრიალი, აღელვებული ზღვის ხმაური, სხვადასხვა ცხოველების მიერ გამოცემული ხმები. ისინი გარკვეული ფენომენების სიმბოლოა და შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მათ მაგიურად აწარმოებენ. ან ისინი გამოხატავენ გარკვეულ ემოციურ მდგომარეობებს, რომლებიც ასოცირებულია ლტოლვასთან, მაგიის დახმარებით რომ უნდა განხორციელდეს.

მეორე, პრიმიტიულ შელოცვაში თვალსაჩინო ელემენტი არის ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც იწვევენ, აყალიბებენ ან პროვოცირებენ სასურველ მიზანს. ამრიგად, გრძნეული ახსენებს დაავადების ყველა იმ სიმპტომს, რომელიც ობიექტს უნდა დაემართოს, ან სასიკვდილო ფორმულით აღწერს მისი მსხვერპლის დასასრულს. განკურნების მაგიაში, გრძნეული სიტყვებით დახატავს სრულიად ჯანმრთელი და ძლიერი ადამიანის სურათს. ეკონომიკურ მაგიაში, აღიწერება მცენარეების ზრდა, ცხოველების თუ თევზების გუნდის მოახლოება. ანდა, გრძნეული იყენებს ემოციების გამომხატავ სიტყვებს და წინადადებებს, რომელთა საფარველის ქვეშ ის თავის მაგიას, ემოციების გამომხატავ აქტს ახორციელებს. გრძნეული, განრისხებული ტონით, იმეორებს ზმნებს, „მე ვტეხ, მე ვგრეხ, მე ვწვავ, მე ვანადგურებ,“ და თითოეულ მათგანთან ერთად ჩამოთვლის ხოლმე მსხვერპ-

ლის სხეულის სხვადასხვა ნაწილებს თუ შინაგან ორგანოებს. აქ ვხედავთ, რომ შელოცვა იმავე პრინციპითაა აგებული, ხოლო სიტყვები იმავე მიზნით შეირჩევა, როგორც მაგიური ნივთიერებები.

მესამე: ყოველ შელოცვას აქვს ელემენტი, რომელსაც საპირწონე, რიტუალის სახით, არ აქვს. მე ვგულისხმობ მითოლოგიურ ალუზიებს, მიმართვებს წინაპრების და კულტურული გმირების მიმართ, ვისგანაც არის მიღებული ცოდნა მაგიის შესახებ. და ამას მივყავართ ამ საკითხში, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან სფეროდ, მაგიის ტრადიციულ<sup>20</sup> გარემომდე.

## 2. მაგიის ტრადიცია

ტრადიცია, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ბევრჯერ აღვნიშნეთ, ბატონობს პრიმიტიულ ცივილიზაციაში, დიდი დოზითაა წარმოდგენილი მაგიური რიტუალსა და კულტში. ნებისმიერ მნიშვნელოვან მაგიაზე დაკვირვებისას ჩვენ უცილობლად ვიპოვით თქმულებას, რომელიც ამ მაგიის არსებობას განაპირობებს. ასეთ თქმულებაში აღწერილია, თუ სად და როგორ ჩაუვარდა ადამიანს ხელში ის, როგორ გახდა რაიმე ჯგუფის, ოჯახის ან კლანის საკუთრება. თუმცა ასეთი თქმულება არასოდეს არის დასაბამის ისტორია. მაგია არასოდეს არ „დაწყებულა“, არასოდეს შექმნილა ან გამოუგონიათ. მთელი მაგია დასაწყისიდანვე „იყო“: იყო ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის და მისი ნორმალური, რაციონალური მცდელობების მიღმა მყოფი ყველა პროცესის და ნივთის განუყრელი დანამატი ან თანამგზავრი. შელოცვა, წეს-ჩვეულება და საგანი, რომელზეც ისინი მოქმედებენ, თანატოლები არიან.

ამრიგად, ცენტრალურ ავსტრალიაში მთელი მაგია არსებობდა და შთამომავლობით გადმოვიდა ალჩერინგას<sup>21</sup> დროებიდან, როცა ის ყველაფერ სხვასთან ერთად იშვა. მელანეზიაში მთელი მაგია მოდის იმ დროიდან, როცა კაცობრიობა მიწისქვეშ ცხოვრობდა, ხოლო მაგია წინაპარი ადამიანის ბუნებრივი ცოდნა იყო. უფრო მაღალ საზოგადოებებში მაგია ხშირად სულებისგან და დემონებისგან მიიღება, მაგრამ მათაც კი ისინი საიდანღაც მიიღეს, თვითონ არ გამოუგონიათ. ამგვარად, მაგიის პირველყოფილი, ბუნებრივი არსებობის რწმენა უნივერსალურია.

უნივერსალურია ის რწმენაც, რომ მაგია ეფექტიანობას მხოლოდ

აბსოლუტური უცვლელობით და სუფთა გადაცემით ინარჩუნებს. საწყისი ფორმიდან უმცირესი გადახრაც კი საბედისწერო იქნებოდა. აქედან გამომდინარეობს იდეა, რომ ობიექტს და მის მაგიას შორის არსებითი კავშირი (ნექსუსი) არსებობს. მაგია საგნის თვისებაა, ან, უფრო ზუსტად, ადამიანსა და საგანს შორის ურთიერთობა, ვინაიდან ეს საგანი, მართალია, არა ადამიანის ხელით, მაგრამ ყოველთვის მისთვისაა შექმნილი. ნებისმიერ ტრადიციაში თუ მითოლოგიაში მაგია ყოველთვის ადამიანის მფლობელობაშია. ის მას გადმოსცა ადამიანმა ან ადამიანის მსგავსმა არსებამ. ის გულისხმობს შემსრულებელ გრძნეულს ისევე, როგორც მაგიის ობიექტს/საგანს და ამ მაგიის გატარების საშუალებას. ის პირველყოფილი კაცობრიობის თავდაპირველი მემკვიდრეობის ნაწილია, როგორც მურა-მურა ან ალჩირინგა ავსტრალიაში, ან მიწისქვეშა კაცობრიობა მელანეზიაში, სხვა მაგიური ოქროს ეპოქა დანარჩენ სამყაროში.

მაგია ადამიანურია არა მარტო მის გამოხატულებაში, არამედ ასევე თავად არის სუბიექტი: ის, პირველ რიგში, კავშირშია ადამიანურ აქტივობებთან და მდგომარეობებთან: ნადირობასთან, მიწის დამუშავებასთან, თევზაობასთან, ვაჭრობასთან, სიყვარულთან, ავადმყოფობასთან და სიკვდილთან. ის მიმართულია არა იმდენად ბუნებაზე, რამდენადაც ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობაზე და ასევე ადამიანურ აქტივობებზე, რომელთაც მასზე გავლენა აქვთ. მეტიც, ის, რაც მაგიის შედეგად წარმოიშვება, როგორც წესი, არა მაგიის გავლენის ქვეშ მოხვედრილი ბუნებრივი მოვლენების დამსახურებაა, არამედ რაღაც სპეციფიკურად მაგიურის, ანუ ეს არის ის, რასაც მხოლოდ მაგიის ძალა ქმნის და არა თავად ბუნება. დაავადებების მძიმე ფორმები, სიყვარული მის ვნებიან ფაზებში, ცერემონიული გაცვლის ლტოლვა და სხვა მსგავსი მანიფესტაციები ადამიანურ ორგანიზმში და გონებაში შელოცვის და წეს-ჩვეულების პირდაპირი პროდუქტია. შესაბამისად, მაგია არ არის წარმოებული ბუნებაზე დაკვირვებით ან მისი კანონების ცოდნით, ის ადამიანის პირველყოფილი მფლობელობაა, რომელიც მან მხოლოდ ტრადიციით იცის. ის ადასტურებს ადამიანის სასურველი მიზნების მიღწევის ავტონომიურ ძალაფლებას.

ამრიგად, მაგიის ძალა არ არის უნივერსალური, ყველგან მყოფი, რომ ის მიედინებოდეს, სადაც უნდა, ან სადაც მიუთითებენ. მაგია არის ერთადერთი, უნიკალური, სპეციფიკური ძალა, რომელიც ექსკლუზიურად ადამიანისაა, რომელიც გამოთავისუფლდება მხოლოდ

მაგიური ხელოვნების გამოყენებით, ცოცხლდება ამ ხელოვნების ხმით და გამოიხატება შელოცვის და რიტუალის ჩართვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, რადგან ადამიანის სხეული ერთდროულად მაგიის „სათავსიკაა“ და მისი ღინების არხიც, მან უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა პირობები. ამრიგად, გრძნეულმა უნდა დაიცვას სხვადასხვა ტაბუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შელოცვა შეიძლება წაიბილწოს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სამყაროს ზოგიერთ მხარეში, მაგალითად, მელანეზიაში, სადაც შელოცვა „მდებარეობს“ გრძნეულის მუცელში, რომელიც როგორც მესხიერების, ასევე საკვების სათავსოა. როცა ამისი აუცილებლობა დგება, მაგია ამოძრავდება ხორხისკენ (რომელიც ინტელექტზე აგებს პასუხს) და თავისუფლდება ხმით, ბგერების გამოცემით, რომელიც ადამიანის გონების მთავარი ორგანოა. ამრიგად, მაგია არა მარტო ადამიანის მეფლობელობაშია, არამედ ის პირდაპირი მნიშვნელობით და რეალურად ბუდობს მასში, ის შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ერთი ადამიანიდან მეორეს, მაგიური ფილიაციის, ინიციაციის და სწავლების უმკაცრესი წესების დაცვით. შესაბამისად, ის არასოდეს იბადება, როგორც ბუნების ძალა, რომელიც არის საგნებში და მოქმედებს ადამიანისგან დამოუკიდებლად, თითქოს ადამიანმა ისინი უნდა იპოვოს და შეისწავლოს მაშინ, როცა ის ჩვეულებრივ ცოდნას იღებს ბუნების შესახებ.

### 3. მანა და მაგიის ძალა

ამ ყველაფრის თვალნათლივი შედეგია, რომ თეორიები, რომლებიც მანას და მსგავს ცნებებს მაგიის ქვაკუთხედად სახავენ, მცდარია. ვინაიდან, თუ მაგიის ძალა ექსკლუზიურად ლოკალიზებულია ადამიანში, თუ მხოლოდ მას შეუძლია ის გამოიყენოს, კონკრეტულ პირობებში და ტრადიციების დაცვით, ის ნამდვილად არ არის ისეთი ძალა, რომელიც, მაგალითად, დოქტორმა კოდრინგტონმა დაახასიათა. მან აღნიშნა, რომ „მანა არ არის დაფიქსირებული სადმე [...] ის თითქმის ყველაფერში შეიძლება გამოვლინდეს“. მანა ასევე „მოქმედებს ყველანაირად, კეთილისა და ბოროტისთვის [...] გამოიხატება ფიზიკური ძალით, ან ადამიანის მეფლობელობაში მყოფი ძალით ან ოსტატობით“. ნათელია, რომ კოდრინგტონის აღწერილი ძალა თითქმის საპირისპიროა ველურების მითოლოგიაში, ქცევაში და მათი მაგიური ფორმულების სტრუქტურაში ჩაბეჭდილი ძალები-

სა. რადგანაც მაგიის რეალური ძალა, როგორც მელანეზიაში ვნახე, დაფიქსირებულია მხოლოდ შელოცვასა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებაში, მას ვერ „გამოხატავს“ ყველაფერი, არამედ ის შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მკაცრად დადგენილი პროცედურით. ის მოქმედებს არა „ყველანაირი გზით“, არამედ მხოლოდ ისე, როგორც ეს ტრადიციაშია აღწერილი. ის არასდროს აჩვენებს თავს, როგორც ფიზიკური ძალა, მაშინ, როდესაც მისი გავლენა ადამიანის ძალასა და ოსტატობაზე მკაცრად შემოსაზღვრული და განსაზღვრულია.

მსგავს ცნებას, რომელსაც ჩრდილოამერიკულ ინდიელებშიც ვპოულობთ, ვერაფერი ექნება საერთო მაგიის სპეციალიზირებულ, კონკრეტულ ძალასთან. რადგანაც, დაკოტელთა *ვაკანში* ვკითხულობთ: „მთელი სიცოცხლე *ვაკანია*. ასევე *ვაკანია* ყველაფერი ის, რაც ასხივებს ძალას, მოქმედებით, როგორც ქარი და მოძრავი ღრუბლები, ასევე პასიურად, როგორც ქვა გზის პირას [...] მისი ნაწილია მთელი მისტერია, საიდუმლო ძალა, მთელი ღვთაებრიობა“. *ორენდის*, იროკეზებისგან ნასესხები სიტყვის შესახებ გვიყვებიან: „მისი პოტენცია ყველა საგანშია... კლდეებში, წყალში, მოქცევაში, მცენარეებში და ხეებში, ცხოველებში და ადამიანში, ქარში და შტორმებში, ღრუბლებში და ჭექა-ქუხილში [...] ადამიანის უმწიფარი მენტალიტეტის გამო, მიიჩნევენ, რომ ის ყველა ფენომენის, ადამიანის გარემოს ირგვლივ ყველა აქტივობის ნამდვილი მიზეზია“.

მაგიური ძალის არსის შესახებ ჩამოყალიბებული დებულებების შემდეგ, ალბათ არ არის საჭირო კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ *მანას* ტიპის ცნებებსა და მაგიურ შელოცვასა და რიტუალს შორის ბევრი არაფერია საერთო. ჩვენ ვნახეთ, რომ მაგიური რწმენის დედაზრი, ერთი მხრივ, მაგიის ტრადიციულ ძალასა და, მეორე მხრივ, ადამიანისადმი ამ ბუნებისადმი ბოძებულ ძალებს შორის გამიჯვნა-შია. *ვაკანის*, *ორენდას* და *მანას* კლასის ცნებები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ყველა ტიპის ძალას, მაგიურის გარდა, უბრალოდ უმწიფარი მეტაფიზიკური ცნების ადრეული განზოგადების მაგალითებია. ის სხვა ველურთა სამყაროშიც გვხვდება და პრიმიტიული მენტალობის ჩვენი ცოდნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ, აქ ჩვენ მხოლოდ „ძალის“, „ძლიერების“, და „ზებუნებრივის“ ადრეული ცნებების ურთიერთობა შეიძლება შევისწავლოთ. ჩვენ წინაშე არსებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე, რთული აღსაქმელია ამ შედგენილი ცნებების: „ფიზიკური ძალის“ და „ზებუნებრივი ეფექტი-

ანობის“ პირველადი მნიშვნელობა. ამერიკულ<sup>22</sup> კულტურაში, მახვილი პირველზეა, ოკეანურში – მეორეზე. მე იმისი თქმა მინდა, რომ მკვიდრი მენტალობის გასაგებად პირველ რიგში საჭიროა ქცევის ტიპების შესწავლა და აღწერა, შემდეგ კი მათი სალაპარაკო ლექსიკონის მათი ჩვეულებებით და ცხოვრებით ახსნა. ენის გამოყენება გარკვეული ცოდნის მისაღებად ერთ-ერთი ყველაზე მატყუარა მეთოდია, ხოლო ანთროპოლოგიაში „ონტოლოგიური არგუმენტი“ განსაკუთრებით სახიფათოა.

ამ პრობლემების დეტალური აღწერა აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც *მანას*, როგორც პრიმიტიული მაგიის არსის თეორია იმდენად ბრწყინვალედ იყო დაცული და იმდენად უგუნურად გადადიოდა ხელიდან ხელში, რომ საჭირო გახდა გვეთქვა, ჩვენი ცოდნა *მანას* შესახებ, განსაკუთრებით, მელანეზიაში, წინააღმდეგობრივია. ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თითქმის არ არსებობს მასალა, რომელიც დაადასტურებდა, თუ როგორ შეესაბამება ეს ცნება რელიგიურ ან მაგიურ კულტს ან რწმენას.

ერთი რამ ცხადია: მაგია არ დაბადებულა, როგორც უნივერსალური ძალის შესახებ აბსტრაქტული გაგება, რომელიც შემდეგ კონკრეტულ შემთხვევებზე გავრცელდა. ის უსათუოდ დამოუკიდებლად წარმოიშვა სხვადასხვა რეალურ სიტუაციაში. მაგიის ყველა ტიპი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში და შესაბამისი ემოციური დაძაბულობისგან იშვა, განპირობებულია იდეების და ადამიანური რეაქციების სპონტანური ნაკადით. მაგრამ ამ მენტალური პროცესის ერთგვარობამ მაგიის გარკვეულ უნივერსალურ მახასიათებლებამდე მიგვიყვანა, რომელსაც ადამიანის მაგიური აზროვნების და ქცევის საფუძველში ვამჩნევთ. ახლა კი აუცილებელია მაგიური სიტუაციების გაანალიზება და გამოწვეული გამოცდილებების ანალიზი.

#### 4. მაგია და გამოცდილება

აქამდე ჩვენ, ძირითადად, მაგიის მკვიდრ მოსახლეობაში გავრცელებულ იდეებთან და თვალსაზრისებთან გვქონდა საქმე. ამან მიგვიყვანა იმ მომენტამდე, როცა ველური უბრალოდ ადასტურებს, რომ მაგია ადამიანს გარკვეულ საგნებზე ძალაუფლებას ანიჭებს. ახლა კი უნდა გავაანალიზოთ ეს რწმენა სოციოლოგიური დამკვირვებელის კუთხიდან. მოდით, კიდევ ერთხელ, თვალსაჩინოდ დავახასიათოთ მა-

გიური სიტუაცია. ადამიანი, რომელიც პრაქტიკული აქტივობებითაა დაკავებული, რაღაც ჩიხში შედის: მონადირე იმედგაცრუებულია ნადავლით, მეზღვაური ხელიდან უშვებს ხელსაყრელ ქარებს, კანოეს მშენებელს საქმე ისეთ მატერიალთან აქვს, რომლის გამძლეობაში ის დარწმუნებული არ არის, ანდა როცა სრულიად ჯანმრთელი ადამიანი გრძნობს, რომ ნელ-ნელა უძლურდება. მაგია, რწმენა და რიტუალი გვერდით რომ გადავდოთ, რას აკეთებს ადამიანი ასეთ გარემოებებში ბუნებრივად? მას ვერ დაეხმარა ცოდნა, უღალატა წარსულმა გამოცდილებამ და ოსტატობამ, ის გრძნობს თავის უძლურებას. მაგრამ სასურველი მიზნის მიღწევის სწრაფვა მასში კიდევ უფრო ღვივდება. მისი მღელვარება, შიში და იმედი ისეთ დაძაბულობას იწვევს, რომელიც მას გარკვეული სახის აქტივობისკენ უბიძგებს. ასეთ შემთხვევაში, არც ველური, არც ცივილიზებული ადამიანი, მიუხედავად იმისა, ცნობილია თუ არა მისთვის მაგიური ძალის შესახებ, არ ემორჩილება გონებას, რომელიც მას კარნახობს, რომ ნებისმიერი აქტივობა ფუჭი იქნებოდა. მისი ნერვული სისტემა და მთელი ორგანიზმი რაღაც შემცვლელ აქტივობას მოითხოვს.

სასურველი მიზნის მიღწევის იდეით მონუსხული, ის ხედავს და შეიგრძნობს მას, მისი ორგანიზმი კი გამოხატავს იმედის, ძლიერი ლტოლვით ნაკარნახევ ფიზიკურ აქტებს. უძლური განრისხების ან სიძულვილით შეპყრობილი ადამიანი სპონტანურად კრავს მუშტს და მას წარმოსახვით მტერს უღერებს, ბუტბუტებს წყევლას, არ იშურებს მის მიმართ ბრაზის და სიძულვილის სიტყვებს. მიუღწეველი და პასუხგაუცემელი სიყვარულისას, შეყვარებული ადამიანი მას ოცნებებში ხედავს, ევედრება, ეარშიყება, მიმართავს მას, თავს მიღებულად გრძობს, მას ოცნებებში გულში იკრავს. მშფოთავი მეთევზე ან მონადირე წარმოსახვაში ბადეში გაბმულ ნადავლს ან ისრით განგმირულ მხეცს ხედავს. ის იმეორებს მათ სახელს, აღწერს მის ჩვენებებს დიდებულ ნადავლისა. ის იმიტირებს მისი ლტოლვის ობიექტებს. ღამე ტყეში ან ჯუნგლში დაკარგული ადამიანი, რომელიც აღვსილია ცრუმორწმუნე შიშით, ირგვლივ ხედავს დემონებს, მათ მიმართავს, ცდილობს ისინი აირიდოს ან შეაშინოს, ან შიშით შეშდება, როგორც ცხოველი, რომელიც თავის გადარჩენას მკვდრად მოჩვენებით ცდილობს.

ასეთ ყოვლისმომცველ ემოციაზე ან აკვიატებულ ლტოლვაზე რეაქციები დაფუძნებულია ასეთ სიტუაციაში ადამიანისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ, უნივერსალურ ფსიქო-ფიზიოლოგიურ მექა-

ნიზმზე. ისინი ქმნიან ემოციის გამოხატულებას აქტში ან სიტყვაში, უძლური ბრახის მუქარით აღსავსე ჟესტებს, სასურველი მიზანის სპონტანურად მიღწევის ილუზიას პრაქტიკული ჩიხის დროს, საყვარელი ადამიანის ვნებიან ალერსს და ა. შ. ეს სპონტანური აქტები და მცდელობები საშუალებას აძლევენ ადამიანს, წინასწარ დაინახოს სასურველი მიზნის ხატი ან გამოხატოს ლტოლვა უკონტროლო ჟესტებით, დაიღვაროს სიტყვად, რითიც „ორთქლს უშვებს“ და სასურველი მიზნის წინათგრძნობას იჩენს.

და რა არის ეს წმინდად ინტელექტუალური პროცესი, დარწმუნებულობა, რომელიც ჩნდება ემოციების სიტყვებში და ქმედებებში თავისუფალი გამოხატვით? პირველ ყოვლისა, გამოჩნდება ხოლმე სასურველი მიზნის, საძულველი პიროვნების, ან სამიმოროების თუ მოჩვენების მკაფიო სურათი. ყოველ ასეთ ხატთან შერწყმულია სპეციფიკური ვნება, რომელიც გვიბიძგებს, რომ აქტიური პოზიცია დავიკავოთ მის მიმართ. ხოლო როცა ვნება უკონტროლო წერტილს აღწევს, სადაც ადამიანი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს, მისი წარმოთქმული სიტყვები და ბრმა ქცევა დაგროვილი ფსიქოლოგიური დაძაბულობის გადმოღვრის საშუალებას იძლევა. მაგრამ ამ გადმოღვრას სასურველი მიზნის ხატი დაჰყურებს. ის რეაქციის მამოტივირებელი ძალაა, რომელიც წარმართავს სიტყვებს და ქმედებებს განსაზღვრული მიზნისთვის. შემცვლელ ქმედებას, საიდანაც მიზნის მიღწევის ლტოლვა ჩქეფს და რომელიც უძლურებითაა განპირობებული, სუბიექტურად რეალური ქმედების ყველა ღირებულება აქვს, რომლამდეც ბუნებრივად მიგვიყვანდა ემოცია, მისთვის რაღაცას ხელი რომ არ შეეშალა.

როდესაც დაძაბულობა ამ ჟესტებსა და სიტყვებში გაიხარჯება, მომნუსხველი ჩვენებები ნელ-ნელა ქრება, სასურველი მიზანი თითქოს უფრო ახლოსაა. ჩვენ ვიბრუნებთ ბალანსს და ისევ ჰარმონიაში ვართ სიცოცხლესთან. ასევე გვჯერა, რომ ჩვენი შეჩვენება და რისხვის ჟესტები საძულველ ადამიანამდე მივიდა, ადრესატს მიაღწია. სიყვარულის ვედრება, მოჩვენებითი ალერსი უპასუხო ვერ დარჩებოდა. გვჯერა, რომ ჩვენს გონებაში წარმატების წარმოსახვის მცდელობას რაღაც სასიკეთო გაგვლენა ექნებოდა. შიშის შემთხვევაში, როდესაც ის ემოცია, რომელმაც ჩვენ გააფთრებულ ქცევამდე მიგვიყვანა, თანდათანობით ქრება, გვგონია, რომ ის სწორედ ასეთმა ქცევამ მოგვაშორა.

ერთი სიტყვით, ძლიერმა ემოციურმა გამოცდილებამ, რომელიც გამოიხატა სურათების, სიტყვების და ქცევითი აქტების წმინდად სუბიექტურ ნაკადში, რეალურობის ძალიან ღრმა თანხვედრის რწმენა გააჩინა, თითქოს ის რამე პრაქტიკული და პოზიტიური მიღწევა ყოფილიყო, თითქოს ადამიანისთვის გამომჟღავნდა რაღაც ახალი ძალა, რომელიც მას დაეხმარა. ეს ძალა, რომელიც გონებრივი და ფიზიოლოგიური აკვიატებიდანაა შობილი, თითქოს „გარედან“ გვიბრუოდა და პრიმიტიული კულტურის ან ყველა ეპოქის მიმნდობი და უმწიფარი გონების ადამიანისთვის სპონტანური შელოცვა, სპონტანური წეს-ჩვეულება და სპონტანური რწმენა მათი ეფექტიანობის პირდაპირ გამოცხადებად გვესახება, რომელიც რაღაც გარეგანი და უეჭველად უპიროვნო წყაროდან მოდის.

როცა ვადარებთ სპონტანურ რიტუალს, გადმოღვრილი ლტოლვის მრავალსიტყვაობასა და ტრადიციულ მაგიურ რიტუალს, რომლის პრინციპები ნათლადაა აღბეჭდილი მაგიურ შელოცვებსა და ილეთებში, მათი გასაოცარი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან. მაგიური რიტუალი, მაგიური პრინციპების უმრავლესობა, შელოცვების და ილეთების უმრავლესობა ადამიანს გაეხსნა იმ მგზნებარე გამოცდილებისას, რომლებიც მან მიიღო ინსტინქტური ცხოვრების გამოუვალ სიტუაციაში ან პრაქტიკული საქმიანობისას, იმ ნაპრალებსა და წყვეტებში, რომლებიც მის მიერ აგებულ, დაუმთავრებელ კედელშია, ადამიანს და ბედისწერის გარშემოხვეულ ცდუნებებსა თუ საშიშროებებს რომ გამოყოფს ერთმანეთისგან. ამაში, ჩემი აზრით, უნდა შევიცნოთ მაგიური რწმენის არა მარტო ერთ-ერთი წყარო, არამედ მისი პირველწყარო.

შესაბამისად, მაგიური რიტუალის ტიპების უმრავლესობას ემოციის გამოხატვის სპონტანური რიტუალი ან სასურველი მიზნის წინასწარგანჭვრეტა შეესაბამება. მაგიური შელოცვის ყველა მახასიათებელს – ბრძანებას, ჯადო-სიტყვას, მეტაფორას შეესაბამება სიტყვათა ბუნებრივი ნაკადი – წყევლის, ვედრების, ეგზორციზმის და შეუსრულებელი სურვილების აღწერა. მაგიის ეფექტიანობის ნებისმიერ რწმენას შეიძლება მოვუძებნოთ პარალელური სუბიექტური გამოცდილებების ილუზიებიდან. ისინი წარმავალია (თუმცა არასდროს ბოლომდე) ცივილიზებული რაციონალისტის გონებიდან, მაგრამ მძლავრობს და დამაჯერებელია ყველა კულტურის უბრალო

ადამიანისთვის და, რა თქმა უნდა, პრიმიტიული, ველური გონებისთვის.

მაგიური რწმენის და პრაქტიკის საფუძველი ჰაერიდან მოტანილი არ არის, ის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების პროდუქტია. გამოცდილების, როდესაც ადამიანმა თვალნათლივ დაინახა სასურველი მიზნის მიღწევის ძალა. ახლა კი უნდა ვიკითხოთ: რა დამოკიდებულებაა ასეთი გამოცდილებების დროს გაცდილ იმედსა და რეალობას შორის? რამდენადაც დამაჯერებელიც არ უნდა იყოს მაგიის ამაო დაპირებები, როგორ მოხდა ისე, რომ ადამიანმა ეს შეცდომა ამდენ ხანს ვერ გამოააშკარავა?

ამის პასუხი ამგვარია: პირველ, რიგში, ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანის მეხსიერებაში, პოზიტიური შემთხვევა ნეგატიურს ყოველთვის ფარავს. ერთი წარმატება მრავალ წარუმატებლობაზე უფრო წონადია. შესაბამისად, შემთხვევები, რომლებიც ადასტურებენ მაგიის ძალას, ბევრად უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ის შემთხვევები, რომელიც ამ ძალას უარყოფენ. მაგრამ არსებობს სხვა ფაქტებიც, რომლებიც მაგიის რეალური ან ილუზორულ იმედს ადასტურებენ. ჩვენ ვნახეთ, რომ მაგიური რიტუალის სათავე რეალური გამოცდილებაა. მაგრამ ადამიანი, რომელმაც ასეთი გამოცდილებიდან წარმოიდგინა, ჩამოაყალიბა და მისი ტომის წევრებს გადასცა ახალი მაგიური პერფორმანსის პრინციპები, გენიოსი უნდა ყოფილიყო. ადამიანები, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს და ამ მაგიის პრაქტიკას ეწეოდნენ, აშენებდნენ მასზე და ავითარებდნენ, იმ რწმენით, რომ უბრალოდ ტრადიციას მიჰყვებოდნენ, ასევე დიდი გონების, ენერგიის და ფხის პატრონები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც წარმატებას გამოუვალ მდგომარეობაშიც კი აღწევდნენ. ემპირიული ფაქტია, რომ ყველა ველურ საზოგადოებაში მაგია და მოჩენილი პიროვნება გვერდიგვერდაა. ამრიგად, მაგია ემთხვევა პირად წარმატებას, უნარებს, გამბედაობას და გონების ძალას. გასაოცარი არ არის, რომ ის წარმატების წყაროდ მიიჩნევა. გრძნეულის ეს სახელგანთქმულობა და ამ სახელის მნიშვნელოვნება რწმენის განმტკიცებასა და მისი ეფექტიანობის რწმენაში საინტერესო ფენომენს დაგვანახებს, რომელსაც მაგიის მიმდინარე მითოლოგია შეიძლება ვუწოდოთ. წარმატებული გრძნეულის ირგვლივ იქმნება გასაოცარი განკურნებების, გამარჯვებების, სასიყვარულო წარმატებების შარავანდედი. ყოველ ველურ საზოგადოებაში, ასეთი ისტორიები მაგიის

რწმენის ხერხემალია, რადგანაც, მას მხარს უჭერს თითოეული ადამიანის ემოციური გამოცდილება. ეს ისტორიები მაგიური საოცრებების მიმდინარე ქრონიკაა და თავს უფრო მყარად იმკვიდრებს. ყველა სახელოვანი პრაქტიკოსი, ტრადიციასთან სიახლოვის და წინამორბედებთან ფილიაციის გარდა, საოცრების ქმნის საკუთარ, პირად სტანდარტს ქმნის.

მაშასადამე, მითი არ არის განვლილი ხანის მკვდარი პროდუქტი, რომელიც გაშვებულ ნარატივად რჩება. ის ცოცხალი ძალაა, რომელიც კვლავაწარმოებს ახალ ფენომენებს, მაგიას მუდმივად ახალ მტკიცებებს სთავაზობს. მაგია წარსული ტრადიციის დიდებაში მოძრაობს, მაგრამ, გარდა ამისა, ის საკუთარ ატმოსფეროს მუდმივად, ხელახლაშექმნადი მითის მეშვეობით ქმნის. ისევე, როგორც არსებობს მუდმივი, სტანდარტიზებული მითების წყება, რომელიც ტომის ფოლკლორს წარმოადგენს, არსებობს ნარატივების ნაკადი, რომელიც მსგავსია მითოლოგიური დროების ნარატივებისა. მაგია ხიდია პირველყოფილი ხელობის ოქროს ხანასა და საოცრების ქმნის დღევანდელ ძალას შორის. ამიტომაც, ფორმულები აღსავსეა მითიური ალუზიებით, რომელთა წარმოთქმისას გამოთავისუფლდება და დღევანდელობის კონტექსტში თავსდება წარსულის ძალები.

ამ ყველაფერთან ერთად, ახალი კუთხით ვხედავთ მითოლოგიის როლსა და მნიშვნელობას. მითი არ არის ველურთა ფილოსოფიური ინტერესით განპირობებული სპეკულაცია საგანთა საწყისის შესახებ. ის არც ბუნებაზე დაკვირვების რეზულტატია – მისი კანონების სიმბოლური რეპრეზენტაცია. მითოლოგია არის იმ მოვლენების ნაწილის ისტორიული ჩამოყალიბება, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ თავდებად დგას სიმართლის წინაშე გარკვეული ტიპის მაგიის სახით. ზოგჯერ ის მაგიური გამოცხადების რეალური მტკიცებულებაა, რომელიც პირდაპირი გზით მოდის პირველი ადამიანისგან, რომელმაც რაღაც დრამატულ გარემოებებში შეიგრძნო ეს მაგია. მაგრამ უფრო ხშირად ეს არის გარკვეული კლანის, თემის ან ოჯახის მაგიის დაუფლების პროცესის აღწერა.

ყველა შემთხვევაში, ის მაგიის ჭეშმარიტების, მემკვიდრეობით გარდასვლის და ვალიდურობის მტკიცებულებაა. და როგორც შეგვეძლო გვენახა, მითი ადამიანის რწმენის ბუნებრივი შედეგია, რადგან ყველა ასეთმა ძალამ მისი ეფექტიანობა უნდა აჩვენოს, უნდა იმოქმედოს და ეს მოქმედება ყველას დაანახოს, რათა ხალხმა მისი ყოვ-

ლისშემძლეობა დაიჯეროს. ნებისმიერი რწმენა ქმნის მითოლოგიას, რადგანაც არ არსებობს რწმენა საოცრებების გარეშე, ხოლო მთავარი მითი უბრალოდ აყალიბებს და აღწერს მაგიის პირველქმნილ საოცრებას.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ მითი არა მარტო მაგიასთან, არამედ ნებისმიერი ტიპის სოციალურ ძალასთან ან მტკიცებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მას ყოველთვის მოიხმობენ, როცა ლაპარაკია განსაკუთრებულ პრივილეგიებზე ან ვალდებულებებზე, დიდ სოციალურ უთანასწორობაზე, ძალიან მაღალი თუ ძალიან დაბალი სოციალური რანგის მძიმე ტვირთზე. ასევე, რელიგიასთან დაკავშირებული რწმენების და ძალების წყაროს ძებნამაც კი შეიძლება მითოლოგიურ სათავესთან მიგვიყვანოს. თუმცა, რელიგიური მითი უფრო მეტად მკაფიო დოგმაა, იმქვეყნიური სამყაროს, სამყაროს შექმნის, ღვთაებრივი ბუნების რწმენაა, რომელიც ამბის, ნარატივის სახითაა ჩამოყალიბებული. მეორე მხრივ, სოციოლოგიური მითი (განსაკუთრებით, პრიმიტიულ კულტურებში) შერწყმულია ლეგენდებთან მაგიური ძალის წყაროს შესახებ. გაზვიადების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ყველაზე ტიპური, მაღალგანვითარებული მითოლოგია პრიმიტიულ საზოგადოებებში სწორედ მაგიის მითოლოგიაა. მითის ფუნქცია არა ახსნა, არამედ თავდებად დადგომაა; არა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, არამედ ძალაში დარწმუნებულობის განცდის გაჩენა; არა ძაფის დახვევა, არამედ გახსნა და დღევანდელობის შემთხვევებთან, ხშირად კი ვალიდურობებთან და რწმენებთან დაკავშირება. ღრმა კავშირს მითსა და კულტს შორის, მითის, როგორც რწმენის განმტკიცების ფუნქციას ხშირად უგულებელყოფდნენ მითის ეტიოლოგიური თეორიის სასარგებლოდ; ამიტომ საჭირო გახდა ჩვენი არგუმენტების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება.

## 5. მამია და მესწიერება

ჩვენ დეტალურად მიმოვიხილეთ მითოლოგიის სფერო და დავადგინეთ, რომ მითი გრძნეულების ნამდვილი თუ წარმოსახვითი წარმატებებისას იქმნება. მაგრამ რა ხდება, როდესაც ის წარუმატებელია? მთელი იმ ძალით, რომელსაც მაგია იღებს სპონტანური რწმენისგან და ინტენსიური ლტოლვის ან შეჩერებული ემოციის სპონტანური გამოვლინებისგან, მთელი ძალით რომელიც მას პერსონალურმა

პრესტიჟმა მიანიჭა, სოციალური ძალაუფლებით და წარმატებით, რომელიც აქვს პრაქტიკოსი გრძნეულს, არსებობს წარუმატებელი და ჩაშლილი მაგიური აქტები. ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასებთ ველურის ინტელექტს, ლოგიკას და გამოცდილებიდან დასკვნის გამოტანის უნარს, თუ მივიჩნევთ, რომ მან ამის შესახებ არ იცის ან რომ ის მას უგულებელყოფს.

პირველი რიგში, მაგიას აქვს მკაცრი წინაპირობები: საჭიროა შელოცვის ზუსტი დამახსოვრება, წეს-ჩვეულების უმწივკლო შესრულება, ტაბუს ურყევი დაცვა. ყოველივე ეს გრძნეულს ზღუდავს. თუ უგულებელყოფილი იქნება ერთ-ერთი მათგანი, მაგია წარუმატებელი აღმოჩნდება. და მაშინაც, როცა წესები ზედმიწევნითაა დაცული, მაგიამ შეიძლება სასურველ მიზანს ვერ მიაღწიოს, რადგანაც ყველა მაგიის საპირწონედ არსებობს კონტრმაგია. თუ მაგია, როგორც ვაჩვენეთ, წარმოიშობა ადამიანის ჩამოყალიბებული მისწრაფებებისა და იღბალის ახირების ერთიანობით, მაშინ ნებისმიერ ლტოლვას, პოზიტიურს თუ ნეგატიურს, თავისი მაგია უნდა ჰქონდეს. მაშინ ყოველ სოციალურ, ამქვეყნიურ მისწრაფებას, ბედის დამორჩილების სურვილს, თან ახლავს პაექრობის, ეჭვიანობის და ღვარძლის ატმოსფერო. რადგანაც იღბალი, საკუთრება, ჯანმრთელობაც კი შედარებითია, და თუ თქვენს მეზობელს მეტი საქონელი, მეტი ცოლი, უკეთესი ჯანმრთელობა და, შესაბამისად, თქვენზე მეტი ძალაუფლება აქვს, თქვენ თავს დამცირებულად იგრძნობთ. ადამიანის ბუნება კი ისეთია, რომ ის არა მარტო საკუთარი წარმატებით, არამედ სხვების წარუმატებლობითაც ხარობს. მისწრაფების და კონტრმისწრაფების, ამბიციის და ღვარძლის, წარმატების და ეჭვიანობის ამ სოციოლოგიურ თამაშს მაგიის და კონტრმაგიის, ანდა თეთრი მაგიის და შავი მაგიის თამაში შეესაბამება.

მელანეზიაში, სადაც ამ პრობლემას წავაწყდი, არ არსებობს არც ერთი მაგიური აქტი კონტრაქტის გარეშე. თუ ეს უკანასკნელი უფრო ძლიერია, პირველის ეფექტს სრულიად შლის. მაგიის ზოგიერთ გამოვლინებაში, მაგალითად, ჯანმრთელობის და დაავადების მაგიაში, ვაწყდებით წყვილ ფორმულებს. გრძნეული, რომელიც შეისწავლის რაიმე დაავადების გამომწვევ აქტს, იმავდროულად სწავლობს ფორმულას და რიტუალს, რომელიც ბოროტი მაგიის ეფექტს შეაჩერებს. ასევე სიყვარულის მაგიაში არსებობს არა მარტო ის შეხედულება, რომ ვისამე გულის დასაპყრობად გამოიყენება ორი ფორმულა, რო-

მელთაგანაც უფრო ძლიერი გადაფარავს უფრო სუსტს, არამედ შელოცვა, რომელიც გააცივებს სხვა ადამიანის მეუღლის ან საყვარელი ადამიანის გრძნობებს. ძნელი დასამტკიცებელია, რომ ტრობრიანის კუნძულებზე არსებული მაგიის ასეთი დუალობა მთელ მსოფლიოში არსებობს, მაგრამ უეჭველია, რომ შავის და თეთრის, პოზიტიურის და ნეგატიურის ტყუპი ძალები ყველგან არის. ამრიგად, მაგიის წარუმატებლობა შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ მეხსიერების ჩავარდნით, მაგიის უსუფთაო აღსრულებით და ტაბუს არასრული დაცვით, არამედ იმ ფაქტით, რომ ვილაცამ კონტრმაგიის რიტუალი შეასრულა. ახლა კი გვაქვს უფლება, მაგიისა და მეცნიერების ზემოთ მოხაზული მიმართება უფრო სრულად დავახასიათოთ. მაგია მეცნიერებას იმაში ჰგავს, რომ მას ყოველთვის აქვს ხელშესახები მიზანი, რომელიც ახლი კავშირშია ადამიანის ინსტინქტებთან, საჭიროებებთან და საქმიანობასთან. მაგიის ოსტატობა პრაქტიკული მიზნების მიღწევისკენაა მიმართული. როგორც სხვა ხელობა-ოსტატობას, მასაც აწესრიგებს თეორია, პრინციპების სისტემა, რომელიც აქტის შესრულების წესებს კარნახობს მაგიის ეფექტიანობის მისაღწევად. მაგიური შელოცვების, წეს-ჩვეულებებისა და ილეთების ანალიზისას ჩვენ დავადგინეთ, რომ არსებობს რამდენიმე ზოგადი პრინციპი, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ. როგორც მეცნიერება, ისე მაგია განსაკუთრებულ მეთოდებს იყენებს. მაგიაში, როგორც ოსტატობის სხვა ტიპებში, ადამიანმა შეიძლება გამოასწოროს ზიანი, რომელიც მან მაგიისავე საშუალებით გამოიწვია. ფაქტობრივად, მაგიაში, შავისა და თეთრის რაოდენობრივი ეკვივალენტები უფრო ზუსტია, და კონტრგრძნულებას გრძნულების ეფექტის აღმოფხვრა უფრო სრულად შეუძლია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ოსტატობისა თუ ხელობის შემთხვევაში. ამრიგად, მაგიას და მეცნიერებას შორის არსებობს გარკვეული მსგავსებები და, როგორც სერ ჯეიმს ფრეიზერმა, ჩვენც მაგიას ფსევდომეცნიერება შეიძლება ვუწოდოთ.

მართლაც, ამ ფსევდომეცნიერების სიყალბე რთული გამოსააშკარავებელი არაა. მეცნიერება, ველური ადამიანის პრიმიტიული ცოდნით წარმოდგენილიც კი, დაფუძნებულია ყოველდღიური ცხოვრების ნორმალურ, უნივერსალურ გამოცდილებაზე. გამოცდილებაზე, რომელიც ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის პროდუქტია გადარჩენისა და უსაფრთხოებისთვის. ის დაფუძნებულია დაკვირვებაზე და გამყარებულია გონებით. მაგია კი დაფუძნებულია სპეციფიურ,

ძლიერ ემოციურ მდგომარეობებზე, როდესაც ადამიანი არა ბუნებას, არამედ თავის თავს აკვირდება, სადაც ჭეშმარიტება აშკარავდება არა გონებით, არამედ ადამიანის ორგანიზმის ემოციების თამაშით. მეცნიერება ფუძნდება რწმენაზე, რომ გამოცდილება, მცდელობა და გონება ვალიდურია. მაგია კი რწმენაზე, რომ იმედი არ შეიძლება გაცრუდეს, ან ვნება ფუჭი იყოს. ცოდნის თეორიები ლოგიკითაა ნაკარნახები, ხოლო მაგიის – იდეებთან ასოციაციით ძლიერი სურვილის გავლენით. როგორც ემპირიული ფაქტი, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ რაციონალური ცოდნის ერთობლიობა და მაგიური ცოდნის ერთობლიობა სხვადასხვა ტრადიციაშია გაერთიანებული, სხვადასხვა სოციალურ ვითარებასა და განსხვავებული ტიპის აქტივობებში. ყველა ეს განსხვავება მკაფიოდაა აღქმული ველურების მიერ. პირველი პროფანულის სფეროს წარმოადგენს, ხოლო მეორე, რომელიც ყალიბდება წეს-ჩვეულებების, საიდუმლოების და ტაბუების ირგვლივ, საკრალური სფეროს ერთი ნახევარია.

## 6. მაგია და რელიგია

მაგიაც და რელიგიაც წარმოიშვება და მოქმედებს ემოციური სტრესის სიტუაციებში, იქნება ეს ცხოვრებისეული კრიზისი, დაბრკოლება მნიშვნელოვანი წამოწყებისას, სიკვდილი, ინიციაცია ტომის საიდუმლოებებში, უიღბლო სიყვარული თუ დაუკმაყოფილებელი სიძულვილი. მაგიაც და რელიგიაც ადამიანს ასეთი სიტუაციებიდან გამოსავალს თავაზობს, თუმცა ეს გამოსავალი არა ემპირიულია, არამედ განპირობებული რიტუალით და ზებუნებრივი სფეროს რწმენით. რელიგიაში ეს რწმენა მოიცავს მოჩვენებების, სულების, განგების მოსწავების, თემური საიდუმლოების მფარველობის რწმენას. მაგიაში კი – მაგიისავე პირველყოფილი ძალის თუ ძალაუფლების რწმენას. როგორც მაგიის, ისევე რელიგიის საფუძველში მკაცრი მითოლოგიური ტრადიციაა. ორივე შემთხვევაში ის სასწაულის ატმოსფეროშია, გამუდმებით ამტკიცებს თავის სასწაულმოქმედ ძალას. ორივე გარშემორტყმულია ტაბუებით და წესებით, რომელნიც მათ პროფანული სამყაროსგან გამოყოფენ.

მაშ, რა განასხვავებს მაგიას რელიგიისგან? საწყის წერტილად ყველაზე განსაზღვრული და ხელშესახები გამიჯვნა შეიძლება ავიღოთ: განსაზღვრების თანახმად, საკრალური სფეროს ფარგლებში,

ჩვენ დავახასიათეთ მაგია, როგორც პრაქტიკული ხელობა. ის შედგება ისეთი აქტებისგან, რომელთა მიზანი წინასწარ განსაზღვრული და ცნობილია, ხოლო შედეგი – მოსალოდნელი. რელიგია კი, როგორც თვითკმარი აქტების ნაკრები, თვითონ არის შედეგი, აქტი კი – მიზანი. ჩავუღრმავდეთ ამ განსხვავებას. მაგიის პრაქტიკული აქტები შემოსაზღვრული და ლიმიტირებულია. ის სამი კომპონენტის: შელოცვის, რიტუალის და აქტის ჩამტარებლის მარტივი ერთობლიობაა. რელიგიას, მისი რთული ასპექტებით და მიზნებით, ასეთი მარტივი მეთოდები არ აქვს. ჩვენ ვერ დავინახავთ მისი ფორმის ან აქტების ერთიან სახეს, თვითონ შინაარსობრივ ერთიანობასაც კი. ერთიანობას დავინახავთ მხოლოდ იმ ფუნქციაში, რომელსაც ის ასრულებს და მისი რწმენის და რიტუალის ღირებულებაში. მაგიის რწმენა, მისი უბრალო პრაქტიკული ბუნების დარად, ძალიან მარტივია. ის ყოველთვის, კონკრეტული შელოცვის და რიტუალის შესრულების გზით ადამიანის კონკრეტული მოვლენების გამოწვევის უნარის დადასტურებაა. მეორე მხრივ, რელიგიის შემთხვევაში საქმე ზებუნებრივი სამყაროს რწმენასთან გვაქვს. სულების და დემონების პანთეონი, ტოტემის კეთილმოსურნე ძალები, მფარველი სული, ტომის ყოველთა მამა და მომავალი ცხოვრების ოცნება პრიმიტიული ადამიანისთვის მეორე, ზებუნებრივ რეალობას ქმნის. რელიგიის მითოლოგიაც ასევე უფრო მრავალფეროვანი, რთული და უფრო შემოქმედებითია. ის კონცენტრირებულია რწმენის გარკვეულ ასპექტებზე და ავითარებს მათ – აქედან ჩნდება კოსმოგონიები, თქმულებები კულტურულ გმირებზე, ღმერთების და ნახევარღმერთების საქმიანობის აღწერა. მაგიის მითოლოგია კი (რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის), მუდამ განმეორებადი ტრაბახია ადამიანის პირველყოფილი მიღწევების შესახებ.

მაგია, კონკრეტული ხელობა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მის ყოველ ფორმაში, ადამიანის მფლობელობაში საიდანაც მოვიდა და ის თაობიდან თაობაში, პირდაპირი ფილიაციით უნდა გადავიდეს. შესაბამისად, ის ყველაზე ადრეული დროიდან სპეციალისტების ხელშია. კაცობრიობის პირველი პროფესია კეთილი ან ბოროტი ჯადოქარია. მეორე მხრივ, რელიგია, პრიმიტიულ პირობებში, ყველას საქმეა, მასში ყველა აქტიურ და თანასწორ მონაწილეობას იღებს. ტომის ყველა წევრი გადის ინიციაციას, და შემდეგ თვითონ აზიარებს სხვებს. ყველა გოდებს, გლოვობს, თხრის საფლავს

და მოიხსენიებს და, თავის დროზე, თავად გახდება გლოვის და მოხსენიების ობიექტი. სულელები ყველასთვისაა, და ყველა ხდება სული. რელიგიის ერთადერთი სპეციალიზაცია, სპირიტუალისტური მედიუმიზმი (შუამდგომლობა), არა პროფესია, არამედ ინდივიდუალური ძღვენია. მაგიას და რელიგიას შორის კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ პირველში სახეზეა შავი და თეთრი მაგიის თამაში, ხოლო რელიგია, პრიმიტიულ სტადიაში, დიდად არ განასხვავებს კეთილსა და ბოროტს, კეთილისმყოფელ და არაკეთილმოსურნე ძალებს. აქ მიზეზი ისაა, რომ მაგია პირდაპირ, რაოდენობრივ შედეგებზეა ორიენტირებული, ხოლო ადრეული რელიგია, მართალია თვისობრივად მორალთა, მაგრამ ორიენტირებულია საბედისწერო, გამოუსწორებელ შემთხვევებზე და ზებუნებრივ ძალებსა თუ არსებებზე, ასე რომ ადამიანის ჩადენილის გამოსწორება რელიგიის საქმე არაა. მაქსიმა, რომელიც აცხადებს, რომ პირველ ყოვლისა შიშმა შექმნა სამყაროს ღმერთები, ანთროპოლოგიაში მართებული არ არის.

რელიგიასა და მაგიას შორის განსხვავების კიდევ უფრო უკეთ აღსაქმელად და მაგიის, რელიგიის და მეცნიერების სამწახნაგოვანი თანავარსკლავედის უკეთ ვიზუალიზაციისთვის, მოდიო, წუთით წარმოვიდგინოთ თითოეულის კულტურული ფუნქცია. პრიმიტიული ცოდნის ფუნქცია და ღირებულება უკვე ჩამოვაყალიბეთ და მისი აღქმა რთული ნამდვილად არაა. ადამიანი ეცნობა გარემომცველ სამყაროს, იყენებს ბუნების ძალებს, შესაბამისად მეცნიერება, პრიმიტიული ცოდნა ადამიანს უდიდესი ბიოლოგიურ უპირატესობით აჯილდოვებს ნებისმიერ სხვა ქმნილებაზე. რელიგიის ფუნქცია და ღირებულება ზემოთ აღნიშნული ველურთა რწმენის და კულტის აღწერისას ჩამოვაყალიბეთ. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ რელიგიური რწმენა აყალიბებს, ამყარებს და ავითარებს ყველა იმ ღირებულ მენტალურ მიდგომას, როგორებიცაა ტრადიციის პატივისცემა, ჰარმონია გარემოსთან, გამბედაობა და საკუთარი ძალების რწმენა სიძნელეებთან ბრძოლაში და სიკვდილის მოახლოებისას. ამ რწმენას, რომელიც განსაზიარებულია კულტსა და ცერემონიაში, უდიდესი ბიოლოგიური ღირებულება აქვს, რადგან ის პრიმიტიულ ადამიანს ჭეშმარიტებას უფრო ფართო, პრაგმატულ კონტექსტში აჩვენებს.

რა არის მაგიის კულტურული ფუნქცია? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ინსტინქტებმა, ემოციებმა, პრაქტიკულმა აქტივობებმა ადამიანი შეიძლება ჩიხში შეიყვანოს, რომ ცოდნის შემოსაზღვრულობამ და

დაკვირვების და გონების ძალის განუვითარებლობამ მას შეიძლება, ყველაზე კრიტიკულ მომენტში უღალატოს. ასეთ დროს ადამიანს ფიზიკური, სპონტანური აფეთქებები ახასიათებს, როდესაც წარმოიქმნება ქცევის რუდიმენტარული ფორმები და რუდიმენტარული რწმენები მათ ეფექტიანობის შესახებ. მაგია კი ამ რწმენებზე „ამყარებს“ რუდიმენტარულ რიტუალებს და მათ პერმანენტულ, ტრადიციულ ფორმას აძლევს. ამრიგად, მაგია პრიმიტიულ ადამიანს მზა რიტუალური აქტებით და რწმენებით ამარაგებს, რომელთაც განსაზღვრული მენტალური და პრაქტიკული მეთოდები ახასიათებთ და რომელთა ფუნქცია ნებისმიერი მნიშვნელოვანი წამოწყებისას ან კრიტიკული სიტუაციისას გაჩენილი შესაძლო დაბრკოლების გადალახვაა. ის საშუალებას აძლევს ადამიანს, თვითდაჯერებით შეუდგეს საქმეს, შეინარჩუნოს სილინჯე და მენტალური მთლიანობა ბრაზის მოზღვაების, სიძულვილის, უპასუხო სიყვარულის, სასოწარკვეთის და შფოთვის დროს. მაგიის ფუნქცია ადამიანის ოპტიმიზმის რიტუალიზაციაა, მისი წარმატების რწმენის და იმედის გაღრმავება. მაგია გამოხატავს დარწმუნების უპირატესობას ეჭვზე, სიმტკიცის უპირატესობას მერყეობაზე და ოპტიმიზმის უპირატესობას პესიმიზმზე.

შორიდან, განვითარებული ცივილიზაციის დაცული გარემოდან დაკვირვებისას, მაგიის უმწიფობა და არარელევანტურობა ადვილი დასანახია. მაგრამ მისი ძალის და დახმარების გარეშე, ადამიანი ვერ გადალახავდა პრაქტიკულ სიძნელეებს ისე, როგორც აკეთებდა. ის ვერ მიაღწევდა კულტურის განვითარების უფრო მაღალ ფორმას. სწორედ ამიტომაც მაგია პრიმიტიულ საზოგადოებებში ასეთი განვითარებული და უნივერსალური ძალაუფლების მქონე. ამიტომაც არის ის ადამიანის ყველა მნიშვნელოვანი აქტივობის უცვლელი თანამგზავრი. მე მგონია, რომ ჩვენ მასში უნდა დავინახოთ განდიდებული, უგუნური იმედის განსახიერება, რომელიც დღესაც ადამიანის ხასიათის შესწავლის საუკეთესო სკოლაა.

1. *The Elementary Forms of the Religious Life*, p.206.
2. *ibid.*
3. *J. Harrison, Themis*, p.42.
4. *ibid.*, p.44.

5. *Notes and Queries of Anthropology* – შენიშვნები და განმარტებები ანთროპოლოგიაში – კარგად ცნობილი და სოლიდური ბრიტანული საცნობარო გამოცემა სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში. პირველად გამოიცა 1874 წელს, შემდეგ კი 1892, 1899, 1912, 1929 და 1951 წლებში.
6. ბეტელის კაკალს ნარკოტიკული ზემოქმედება აქვს.
7. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სიტყვების მნიშვნელობას მათი ბგერითი არტიკულაციისგან დამოუკიდებლად. დღესდღეობით, ტერმინი, ფაქტობრივად, არქაულია. ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც სემანტიკის სინონიმი ან ქვედარგი.
8. არსებობის არსი, მიზეზი.
9. წინასწარ, ერთი შეხედვით, არგუმენტაციის გარეშე.
10. გრძივი, ღრმა ჩაჭრა სასქესო ასოზე, შარდსადენი მილის გასწვრივ.
11. ინგლ. *Bullroarer*, რუს. *зуделка*.
12. ამა თუ იმ გზით საკრალურთან დაკავშირებული, „გასაკრალურებული“.
13. იგულისხმება დღევანდელი პაპუა-ახალი გვინეა.
14. ხმა ღვთისა, ხმა ერისა.
15. ავსტრალიის მკვიდრ მოსახლეობაში გავრცელებული საფესტივალო ცეკვა და თამაშობები.
16. სანიმუშო, საუკეთესო, უპირატესი.
17. ვიატიკუმის საკრამენტი/ზიარება.
18. ტოტემის გამრავლების რიტუალი, რომელიც გავრცელებულია ცენტრალურ ავსტრალიაში
19. იგულისხმება ზეპირად გადმოცემული ტექსტი.
20. აქ (და შემდეგ სექციაში) ტრადიცია უნდა გავიგოთ, როგორც ზეპირსიტყვიერების, თქმულებების, მითების და ლეგენდების რეპროდუქცია/წარმოქმნა/კვლავწარმოქმნა.
21. სიზმრების დრო. ავსტრალიურ მითოსში – წმინდა დრო, როდესაც შეიქმნა სამყარო.
22. იგულისხმება ამერიკელი ინდიელების კულტურები.